



ციხესიმაგრე

№ 82 / 27 ივნისი - 3 ივლისი / 2011

- უნდა ვაღიაროთ თუ არა აფხაზეთის დამოუკიდებლობა? **გვ. 06**
- ტრაგედია უღელტევილზე **გვ. 22**
- დიდი პერძენული ვალი **გვ. 08**
- მსხვილი ჰესები: გადასახლების მოლოდინში **გვ. 26**
- შურნალისტური გამოყიერა: იაფი პრეზიდის ფასი **გვ. 30**
- მართვის მოწვევება მხოლოდ „ნორმალურებს“ **გვ. 36**
- ლაშა გულაძე: აქცენტილება **გვ. 39**
- სიყვარულის ძიებაში **გვ. 39**


ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



პრეზიდენტი გალარჩინს ჯანმრთელობას?

გვ. 14



FM

აცხოვი

98.0





თბილისის არამინცის კლინიკური საავადყოფა

ფოტო გ. გაგაძე

ცომერში:

- 02 „ლიბერალის“
ვებგვერდიდან
04 მოქლედ
06 ორი აზრი
უნდა აღიაროს თუ არა
საქართველომ აფხაზეთის
დამოუკიდებლობა?
მამუკა არქშიძე VS სერგი
კაპანაძე
მსოფლიო
დიდი ბერძნებული ვალი
11 ინტერვიუ
ევროზონაში გაწევრიანება
არ არის პანაცეა
ანდრეა ბუბლა
12 ავლანეთი
ესაუბრე მტერს

- მთავარი თემა**
14 პრივაზიტება გადაარჩენს
ჯანმრთელობას?
გარემოს დაცვა
22 ტრაგედია
უდელტეხილზე
26 მსხვილი ჰესები
გადასახლების მოლოდინში
უკრანალისტური გამომიქმა
30 იაფი კრედიტის ფასი
ეკონომიკა
34 დაბეგვრის ალტერნატიული
ფორმა
ადამიანის უფლებები
36 მართვის მოწმობა მხოლოდ
„ნორმალურებს“
საზოგადოება
39 სიყვარულის ძიებაში

თვალსაზრისი

- 42 აქცენტირება
ლაშა ბულაძე
ტექნოლოგიები


კულტურა

- 46 მსხვილი წითელი ხაზი
**ქალაქში მოხეტიალე კაცის
ჩანაწერები**
48 ისევ პარკებზე და ისევ
ყოფილ იპოდრომზე

გარეკანზე:

- პრივაზიტება გადაარჩენს
ჯანმრთელობას?



შურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ
„ლა საზოგადოება – საქართველოს“
მსარდაქტორით.

ავტორის/ ავტორების მიერ საინფორმაციო
მასალაში გამოიტანეთ მოსაზრება
არ გამოხატავს ფონდის „ლა
საზოგადოება – საქართველოს“
პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის
პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



აზერბაიჯანის სამათიცით

ქეთი ქანთარიას ბლოგი



ათონდე დღის წინ, 15 ივნისს, ბევრის-თვის მოულოდნელად, კავკასიის ექსპერტმა, მამუკა არქიტექტორმა და მორუკიდებლობის ცნობის იდეა წამოაყენა. ამ მოსაზრებას ის აფხაზების, როგორც ერის ფიზიკური გადარჩენის საჭიროებით ასაბუთებდა. „ტრანსიციული მიდგომების დრო წავიდა“, განაცხადა არქიტექტორმა. პოლიტიკურმა დონიზა ურებმა (სარიშვილი, თამრიკო ჩხეიძე) და forum.ge-ს პოლიტიკის განყოფილების ჭირებმა – ზოგადად, ქართული საზოგადოების ნაწილმა მას ღალაზში დასდო ბრალი.

აფხაზეთის ცნობის იდეა პირველად ახლა არ მომისმენია, ამაზე ერთი-ორი კვალი-ფიციური ადამიანის სტატია წამიკითხავს, მაგრამ ასე ხმამაღლა ეს განცხადება ჯერ არავის გუკეთებია. მამუკა არქიტექტორ მაღლე ნათევამი განმარტა – რომ არალიარების პოლიტიკას, რასაც ქართული მხარე აქა-

დე ეწეოდა, შედეგი არ მოაქვს. სანამ საერთაშორისო ორგანიზაციები აფხაზეთის ოკუპაციის კონსტატაციას ჯერდებინ, რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რომ იქ დემოკრატიული სურათი მკვეთრად შეცვალოს და თუ ჩანაფიქრს ბოლომდე განახორციელებს, აფხაზეთი არათუ საქართველოსთვის, აფხაზებისთვისაც სამუდამოდ დაიკარგება. პპრილში, გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, პრეზიდენტი ბალაფში არაოფიციალური ვიზიტით ჩავიდა თურქეთში, ამ შეხვედრების დროს ის თურქეთის აფხაზებს რეპატრირებას თხოვდა, იმ მოტივით, რომ თუ აფხაზეთს ეთნიკური აფხაზების ახალი შენაკადი არ შეემატებოდა, აფხაზები ენას და მიწას დაკარგავდნენ.

მთავრი ამ ინიციატივის მიზნც აფხაზურ-ქართული ურთიერთობის ხარისხობრივად ახალ დონეზე გადატანა და რეალური დია-

ლოგის დაწყებაა. ამ დიალოგის ჩარჩოებში, რა თქმა უნდა, ქართული მხარის მოთხოვნები იქნება განხილული: რესუელი არმიის ნანილების გაყვანა აფხაზეთიდან, გალის რაიონისთვის საგანგებო სტატუსის მინიჭება, დევნილთა დაბრუნება საკუთარ სახლებში და სხვა. თამარ ჩხეიძემ ამ ფონზე განაცხადა, რომ აფხაზეთს როდესმე აუცილებლად დავიბრუნებთ, მისი დაბრუნება კი მხოლოდ რწმენით და იმედით შეიძლება. ქართული საზოგადოება ასეთ განცხადებებს უფრო ენდობა, ურჩევნია, საკუთარი მომავალი მათ დააყრდნოს. მათ გამკეთებელს პასუხისმგებლობა არ მოეთხოვება. იდების გენერირებაში მთელი პასუხისმგებლობა იმას აწვება, ვინც რეალობას თვალს უსწორებს.

ამ დღების განმავლობაში აფხაზური პრესა ამ ინიციატივით თითქმის არ დაინტერესებული ჩემთვის ცნობილი აფხაზი ბლოგერები დუმან. ამას რამდენიმე მიზეზი უნდა ჰქონდეს: მოულოდნებლობა და მსგავსი განცხადებისთვის მოუწიადებლობა; სიურთხილე; უნდობლობა ნებისმერი ქართული ინიციატივისადმი; ისევ მოულოდნებელი არჩევნებისთვის მზადებება, რაც პრეზიდენტი ბალაფში უეცარ გარდაცვალებას მოჰყვა; და დაფარული შოკი, რაც მისი გარდაცვალების გავრცელებული ვერსითათვა გამოწვეული. გაკითხვა-გამოკითხვით გაირკვა, რომ დისკუსია მამუკა არქიტენის განცხადების გარშემო იპოზიციურ საიტზე www.aiaaira.com გამართულა. 18 ივნისს საიტზე კიბერშეტევა განხორციელდა. 24 რიცხვში ამ საიტზე დისკუსიის ვერანაირი კვალი ვერ ვიპოვე.

რეაგირებები: მთავრი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი /აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავა / კავკასია და კონფლიქტების სოფო ბუკა / საზოგადოება თამარ პატარაძე /

ახლან ამგები ნანა საჯავა / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარაშვილი

შარილისშიგ: მისა წიკაური, მარია ქოჩიაშვილი, ეკა ჭიათურება, რუსულან ფანიზებილი, თამარ ფარადშვილი, ნინო ჩიმაქაძე, ნინო რობაქეძე, ნათა გულიაშვილი

კონსილიუმი: მარკ მალენი, გიორგი ცხადასა, მანანა ვარდაშვილი, ნინია კაპაბაძე, დავით ბუხრიკეძე, გიო ახვლედაშვილი, კახა თოლორძავა, ლექსო ჩქარული, დანა ჩატურაძე, ნათა ახალშეილი, ნინო ბერძენიშვილი, დანიელ ნიჩი, ნიკო ნერგაძე

რეაგირებები: ფოთო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პატარ პატარაძე / კონექტორი თამარ ლინდაძე

გამოცემები: პრეცენტის მეცნიერების ქუთა ბაჟნუაშვილი / პროექტის მეცნიერების ასისტენტი ლელა შემითიძე / კლიენტთა მომსახურების მეცნიერების ნათა რუსაძე /

დისტრიბუტორი: შეადგინებელი

გამოცემები: შეს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალავშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

საპარავები: „ტელე შეკრიული“, „ტელე შეკრიული – ლიტერატურა“, „პირნესა: ადამიანები, მეოთხედი, სტრატეგიები“.

ლიბერალის: საცენტრო უფლებები დაცულია.

ურნილეშ: გამოცემების ურნილეში მასალების ნანილობრივი და/ან მოლიდის გამოცემები რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

პატივი: სტაბა „საზოგადო“. მისამართი: თბილისი, ნერგეთის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

გამოცემის კორისტის ერთხელ: კოველ ლორმებისთვის. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მასში. რეკომენდებული საცალი ფასი 2 ლარი.

www.liberali.ge

ISSN 1987-7528



სამაგიეროდ, აღფრთოვანებით შეხვდნენ არეშიძის წინადადებას ჩერქეზები და მას „რევოლუციური ინიციატივა“ უწოდეს. ცნობილმა ჩერქეზმა უურნალისტმა აფხაზთა დუმილის გამო მასზე არაფერი იცოდა. ჩემი გადაგზავნილი ლინქი რამდენიმე აფხაზ მე-გობარს გაუკავნა.

ზოგადად, გამოკითხებისას, ყველა პასუხში ჩანს, რომ აფხაზთა უმეტესობისთვის ლტოლვილთა დაბრუნება მტკიცნული, თოთქმის მიუღებელი საკითხია – ეს ის კატეგორიაა, ვინც საერთაშორისო სამართლის ნორმების მიმართ „ლობიობის“ ხანაშია გაყინული, და ეს ის პალეონტოლოგიური შრეა, რომლის გამყინვარებაშიც ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი იძყოფება; ნაწილი, რომელსაც ჯერაც ჰყონია, რომ „აფხაზეთის დაბრუნებას“ მისთვის ფართო ავტონომიის, ფედერაციული მოწყობის გადაგდებით თუ გინდაც სანუკვარი ომით შეძლებს. ოღონდ ყველა შეეცდება, ამ ოში

საკუთარი შეიღები არ გაუშვას. ისიც მართალია, რომ უკანასკნელ ვერსიაზე სულ უფრო და უფრო ნაკლები ქართველი ფიქრობს.

აფხაზეთში, გაგრაში ბოლოს 1992 წელს ვიყავი. ბოლო წლებში ჯიუტად მივუყვები გუნებაში ჩემს იქაურ მარშრუტებს, სადგურიდან მამაჩემის სახლიდან ზღვამდე და უკან. ბზის, მაგნოლიის და ოლეანდების სუნი, ტალღების, ჭრიჭინის სმები. ჩემ მუყასს წიგნები. ალბათ ბევრს ემართება ეს, ვისაც იქ თავისი არსების ნაწილი დარჩა. რაღაცით ეს იმ ფინანსურ მომენტს ჰყავს, როცა, როგორც ამბობენ, ცხოვრების კადრები თვალწინ მიგირჩის. როგორ შეიძლება შეელიო ამ სილამაზეს?.? მაგრამ ფანტზია აქ არ ჩერდება და რაღაც უფრო დიდი წარმომიდგება. როცა მთელ კავკასიაში ყველგან მიგესვლება და ყველგან შენი სახლია. რაღაცით დიდ მეგაპოლიში ხეტიალ გაეს ეს, სადაც ყოველ ნაბიჯზე რაღაც საინ-

ტერესო გაგულება. ასე შეიძლება შეიქმნას ვითარება, რომელშიც ამდენასირი შენაკადის შერწყმის შედეგად ხელოვნება, მეცნიერება, ყოფითი კულტურა სარისხობრივად ასალ სიმაღლეზე ადის. ეს ახალი, დიდი კავკასიაა, კონფედერაცია, შეიძლება თანამეგობრობა – რომელშიც საკუთარი ენერგიისა და ძალისხმევის ჩადება ღირს. ქრისული სახელმწიფო რომ კავკასიის მომავალ მოწყობაზე სერიოზულად ფიქრობდეს, მაშინ ხელს შეუწყობდა, რომ ქვეყანაში ამ თემაზე მუდმივი დისკუსია მაინც იყოს. თავისთავად ეს ფაქტი უკვე იმის ნიშანი იქნებოდა, რომ აფხაზეთის თვითგამორკვევის უფლებას პატივს სცემნ.

მაშევა არეშიძე არაპოპულარულ, მაგრამ პროდუქტიულ სააზროვნო თემას გვთავაზობს. ვითარება რაღაცით „კავკასიური ცარცის წრის“ ცნობილ სცენას ჰყავს – ბაგშვის ხელს პირველი ის უშვებს, ვისაც ტეივილსთვის არ ემეტება; უშვებს, რათა დაიცვას და შემდეგ სამუდმოდ დაბრუნოს.



**პროკრედიტის ბანკი მიჩრევაზე
ჩა ახის ჩამოვალის უკავისი**

220 22 22
www.procreditbank.ge



შსს-ტ "ქართული პარტიის" წინაბეჭი დანაცვა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის ბრალ-დებით, დანაშაულებრივი ჯგუფის 8 წევრი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ჯგუფი „ქართულ პარტიასთან“ იყო დაკავშირებული. სამინისტროს პრესსამსახურმა გაავრცელა რამდენიმე დაკავებულის აღიარებითი ჩვენებები და სატელეფონო ჩანაწერები, რომლის ავთენტურობასაც „ქართულ პარტიაში“ ეჭვქეშ აყენებენ. ჩანაწერებში დაკავებულები ყველაზე დიდი, რომ ჯგუფის წევრები „ქართული პარტიის“ ლიდერს – ირაკლი ოქრუაშვილს – სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე რესი აღიარების დახმარებით შეხვდნენ. „ოქრუაშვილმა მალხაზ კაკაშვილს და თამაზ ბეგიაშვილს ადმინისტრაციულ საზღვრებზე განლაგებული ქართული საგუშაგოების კოორდინატების გაგება დაავალა. კაკაშვილის თქმით, ოქრუაშვილ 200 რუს სპეცრაზმელთან ერთად შემოსვლას აპირებდა. მას 20-მდე შეიარაღებული ქართველი დახვდებოდა და საგუშაგოები უნდა განეარაღებინათ“, – ამბობს ერთ-ერთი დაკავებული გიორგი საათაშვილი. შსს-ტ ინფორმაციით, დაჯგუფება, მაისში მიმდინარე მიტინგების პარალელურად,

გორში მდებარე სპეცრაზმის შენობასა და შიდა ქართლის სამსარეო პოლიციაზე თავდასხმას და საქართველოში ხელისუფლების შეცვლას გეგმავდა. შსს-ში საქმის დეტალებზე არ საუბრობენ. არის თუ არა საქმეში არსებული ჩვენებების გარდა სხვა მტკიცებულებები, უცნობია. სამინისტროში აცხადებენ, რომ ამოღებულია რამდენიმე ყუთი იარაღი, დაჯგუფების 7 წევრი კი მიმაღვაშია.

„ქართული პარტიის“ ლიდერი ეროსი კინ-მარიშვილი „ოპერატორულ მასალას“ „ფალ-სიფიცირებულს“ და „ბასურდს“ უწოდებს. მისი განცხადებით, დაკავებული პირები-დან „ქართული პარტიის“ წევრი მხოლოდ ორია. მათგან ერთ-ერთის – აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულების ხელმძღვანელის – ლევან ტერაშვილის ბინაში ჩხრეკა კანონდარღვევებით ჩატარდა და მას იარაღი „ჩაუდეს“.

კინ-მარიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დაკავებულის აღიარებითი ვიდეო-ჩვენება გამოქვეყნდა, არცერთმა მათგანმა ბრალი სასამართლოზე არ აღიარა. მათ 23 ივნისს ნინასწარი პატიმრობა შეეფარდათ

ქორიანი ქოვენი ბამოსები იციანა

2011 წლის ერთამან ეროვნული გამოცდებისათვის მთელ საქართველოში 15 საგამოცდო ცენტრია გახსნილი. გამოცდები პირველი ივლისიდან იწყება. გამოცდებისათვის საჭირო ტესტები ბრიტანულმა კომპანია „სტივენ ისტინმა“ დაბეჭდა და ის უკევ საქართველოშა. ტესტების კონფიდენციალობას აქამდე ეროვნული ბანკი უზრუნველყოფდა, თუმცა ბანკს ზაფხულის პერიოდში საწყობის გამოყოფასთან დაკავშირებით პრობლემა შეემნა. ამიტომ ტესტები შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგიონალურ ცენტრებში შენახება.

თბილისს ცუკომაჩაბუა შეაცეს

13 ივნისიდან წყალმომარაგება, ეტაპის მომართვა, თოთქმის ნახევარ თბილის შეუწყდა. წყალი არ მიეწოდებოდა ვაკე-საბურთალოს ნაილს, გლდანისა და თებერის რაიონებს, საზორანას, მუხაბას, გურამშვილის გამზირს, კუკისა და ლოტკანის ქვედა დასხლებას, ნაალადევს, სვანეთის უბანს, ჩუღურეთისა და ავლაბრის ნანილს, მეტრომშენს და დილმის მასივს. კომპანია „ვორკიან“ უოთერ ენდ ფუურში მიზეზად კონკურენციაში დაგეგმილ აღდენებით სამუშაოებს, გამრიცხველანებას და 16 ივნისს თბილისში მოსულ დიდ წვიმას ასახელებდნენ.

ესაფთავების ბაზარი



საკრებულოს
გადაწყვეტილების
ბით 1 ივლისიდან
დასუფთავების
გადახდის წესი
შეიცვლება.

საკრებულომ
თბილისის მერის ინიციატივისას მხარი 34-ით
8-ის წინააღმდეგ დაუჭირა. დასუფთავების
ახალი ტარიფი მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობით განისაზღვრება და
ის დახარჯულ ერთ კილოვატ ელექტროენერგიიაზე 5 თეთრი იქნება. ანუ, თუ თქვენი ოჯახი თვეში 100 კილოვატ ელექტრო-

ენერგიის მოხმარს, დასუფთავებისთვის 5 ლარს გადაიხდით.
დედაქალაქის დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელმა ტარიელ სიზანიშვილმა განაცხადა, რომ 50-დან 200 კილოვატამ-დე ელექტროენერგიას დედაქალაქში 250 ათასი აპონენტი მოიხმარს. მისი თქმით, ამ ადამიანებს ტარიფი შეუმცირდებათ. „ჩვენ გამოვიკვლიერ და დავადგინეთ, რომ ვინც ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს ნაგავიც ნაკლები უგროვდება“, – განაცხადა ტარიელ სიზანიშვილმა.
საკრებულოს ოპოზიციური წევრების აზრით, ახალი ტარიფი უკანონოა.

ბაზოს შემაბეჭიდი

რამდენიმე ათეულ კერძო და საჯარო სკოლას განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექცია შეამოწმებს. შემოწმება მხოლოდ იმ სკოლებში ჩატარდება, რომელთა მოსწავლეებმაც საატესტაციო გამოცდებზე დაბალი აკადემიური მოსწრება აჩვენებს. დადგება ამ სკოლების სამეურვეო საბჭოების ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხიც.
„ამ სკოლებში დარღვეულია ზოგადი

განათლების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი, რომელიც სკოლის დირექტორს სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვას ავალებს. დარღვეულია მოსწავლისათვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, მიიღოს სრულყოფილი საშუალო განათლება“, – განაცხადა განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა ირაკლი ანდრიაშვილი.

საფინანსო ახნისში სამშენებლო წომაპარის

სამშენებლო კომპანიებს დაუმთავრებელი მშენებლობების გამო დაკისრებული ჯარიმები გაუუქმდებათ, თუმცა სანაცვლოდ მათ მშენებლობების განახლების ახალი ვადები დაუწესდებათ. მთავრობის შესაბამის კანონპროექტის პარლამენტი უკვე განიხილავს. აქამდე ვადების დარღვევის მიზნით კომპანიებს სამმაგი ჯარიმა ეკისრებოდათ. კომპანიებს, რომლებიც შესაბამის სახელმწიფო უწყებები მშენებლობების ახალ ვადებს არ წარადგენენ, ჯარიმები არ გაუუქმდებათ და მომავალში მათ მიმართ სხვადასხვა სახის

სანქცია შეიძლება გატარდეს. მთავრობის საპარლამენტო მდივნის განცხადებით, მათთვის მიზანია, როგორც სახელმწიფომ, ასევე მოქალაქეებში, რომელთაც ამ მშენებლობებში უკული აქვთ გადახდილი, ზუსტად იცოდნენ, როდის განახლება და როდის დასრულდება მშენებლობის პროცესს.

იმპერატორი

115,5
მილიონ ამერიკულ
დოლარს EBRD-ი ფარავან
ჰესის მშენებლობისთვის
გამოყოფს.

10

დაკავებული ონის
მცხოვრები ე.წ. სამხრეთ
ოსეთის მთავრობამ
გაათავისუფლა.

23

ადამიანი დაიღუპა ერაყის
დედაქალაქ ბალდადში
ტერორისტული აფეთქების
შედეგად.

ციტატები



„ხორციელ 80%-იანი ფასის ზრდა
იმ ზომებმა გამოიწვია, რასაც
საქართველოს მთავრობისგან
ევროკავშირის ექსპერტები
ითხოვდნენ“. „

გიორგი ბარამიძე,
ვიცე-პრემიერი
ევროინტეგრაციის საკითხებში

„ეს [პარლამენტის ქუთაისში
გადატანა] არ არის მარტივი
გადაწყვეტილება. ეს რეფორმა
არ არის „ნაციონალური
მოძრაობის“ ახილება, ეს კეთდება
საქართველოს სახელმწიფოს
კიდევ უფრო მეტად
გამყარებისთვის. საერთოდ,
დემოკრატია ხარჯებთანა
დაკავშირებული“. „

მიხეილ მაჭავარიანი,
საპარლამენტო უმრავლესობის
წევრი

„მივიჩნევთ, რომ ამგვარი
მანევრები ეწინააღმდეგება
რუსულ-ამერიკული
ურთიერთობების ამჟამინდელ
ხასიათს“. „

რუსეთის საგარეო საქმეთა
სამინისტროს განცხადება
ბათუმის პორტში ამერიკული
სამხედრო ხომალდ მონტერე-ის
შესვლის შესახებ



30

მამუკა არეშიძე
კონფლიქტოლოგი

ჩემი აზრით, აფხაზეთის პრობლემის მოგვარება ჩიხშია შესული. ყველა იდეა, რომლის რეალიზაციასაც ცდილობს ქართული მხარე ან საერთაშორისო თანამეგობრობა, გათვლილია ან ხანგრძლივ პერსპექტივაზე (საეჭვო შედეგით) ან სტატუს-კონს შენარჩუნებას ემსახურება.

რუსეთი კი აფხაზეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებული აქტიურობით მოქმედებს. სარგებლობს რა თავის მოწინააღმდეგების მოქმედების დაბალი ტემპით, ცდილობს, ისეთი სიტუაცია შექმნას აფხაზეთში, რომ 3-5 წლის შემდეგ პროცესი შეუქცევადი გახდეს.

რუსეთი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს:

- ▶ იყენებს მეორედს, რომელსაც პირობითად დემოგრაფიული სურათის შეცვლა შეიძლება დაგარქვათ. ეს მეორედი გულისხმობს ე.ნ. სამხედრო დასახლებების შექმნას. სამხედროები იყავებენ კონკრეტულ ტერიტორიებს, ქმნიან გამაგრებულ უბანს და შემდეგ მათი ოჯახების ჩამოსახლების მეშვეობით იქმნება დაბის ტიპის დასახლება. ასევე, რუსეთიდან ჩამოდიან მომლოცველთა ჯგუფები წმინდა ადგილების მოსალოცად და შემდეგ პატარ-პატარა თემების სახით რჩებიან აფხაზეთში (ახალი ათონის მონასტერი).

- ▶ შესაბამის ხელშეკრულებებით, რუსეთი იძულებულს ხდის აფხაზეთის ხელისუფლებას, თადარიგში გასულ რუს სამხედროებს (ძირითადად მესაზღვრეებს) დაუკანონოს საცხოვრებელი ფართი ან მიწის ნაკვეთი.

- ▶ რუსეთი აფხაზეთის დე-ფაქტო საკანონმდებლო ორგანოზე ზენოლით ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწის ყიდვის უფლება მიერიჭოს რუსეთის ნებისმიერ მოქალაქეს.

- ▶ საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთი ცდილობს, ფინანსურად მის მიერ კონტროლირებადი პატარა ქვეყნების მეშვეობით შექმნას აფხაზეთის საერთაშორისო ლობი, რომელიც ორიენტირებული იქნება აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის ცნობადობის ამაღლებაზე საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ამიტომაც არის აუცილებელი ახლა სიტუაციის გააქტიურება. კონცეფცია ასეთია: განისაზღვროს წინადადებათა პაკეტი, რომელშიც წამყვანი იქნება აფხაზეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანის მოთხოვნა და მხოლოდ ამ პირობით დამოუკიდებლობის აღიარებაზე მოლაპარაკებების პროცესის დაწყება. პაკეტის მეორე აუცილებელი პირობაა ლოტოლების დაბრუნების პროცესის დაწყება. რასაკვირველია, იქნება სხვა პირობებიც, გადადგმული ნაბიჯების დაცვის საერთაშორისო გარანტიების მოთხოვნა.

შენი იმისა, რომ აფხაზები რუსების ზენოლით დათანხმდებან წაყენებულ პირობებს მინიმალურია, მაგრამ ასეთ ვითარებაში შესაძლებელია სერიოზული საერთაშორისო რეზონანსის შექმნა, რადგან, ერთი მხრივ, გამოჩნდება, რომ რუსეთისათვის მთავარია არა აფხაზთა დაცვა, არამედ ტერიტორიის შენარჩუნება, მეორე მხრივ კი, ყველა აფხაზისათვის გახდება ნათელი, რას უქადის მათ რუსეთი. ■



ცნება ალიახოს თაფხაზათის ე.

■ კონცეფცია ასეთია: განისაზღვროს წინადადებათა პაკეტი, რომელშიც წამყვანი იქნება აფხაზეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანის მოთხოვნა და მხოლოდ ამ პირობით დამოუკიდებლობის აღიარებაზე მოლაპარაკებების პროცესის დაწყება. პაკეტის მეორე აუცილებელი პირობაა ლოტოლების დაბრუნების პროცესის დაწყება. რასაკვირველია, იქნება სხვა პირობებიც, გადადგმული ნაბიჯების დაცვის საერთაშორისო გარანტიების მოთხოვნა.

■ კონცეფცია ასეთია: განისაზღვროს წინადადებათა პაკეტი, რომელშიც წამყვანი იქნება აფხაზეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანის მოთხოვნა და მხოლოდ ამ პირობით დამოუკიდებლობის აღიარებაზე მოლაპარაკებების პროცესის დაწყება.



არა

სერგი კაპანაძე

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

„აფხაზეთის აღიარება“ არ არის დებატის თემა საქართველოში. საკითხის მსგავსი ფორმის დასმით იქმნება ილუზია, რომ ამ თემაზე ქართულ საზოგადოებში მიმდინარეობს დებატები. ამას კი ჩვენი მტერი ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ იყენებს. რეალურად კი, ამ თემაზე დებატი შეუძლებელია, რადგან აღიარების მომხრე მხოლოდ ორი-სამი თვითგამოცხადებული ჰეროსტრატეს რეფლექსების მქონე ექსპერტია, მეორე მხარეს კი ქართული საზოგადოება, ნახევარი მილიონამდე დევნილის ჩათვლით!

არსებობს დებატი იმის შესახებ, რომ საქართველო რუსეთს უნდა შეუერთდეს? ან რომ სახელმწიფო აღარ უნდა გვქონდეს? არ არსებობს! იგივე მდგომარეობაა ამ თემასთან დაკავშირებითაც. ამიტომ, ჩემი კომენტარი „აფხაზეთის აღიარებაზე“ ვერ იქნება სერიოზული დებატის ნაწილი.

თუ მაინც არსებობს ადამიანი, რომელმაც არ იცის, რატომ არ უნდა ვაღიაროთ აფხაზეთი, მათ გასაგონად შემიძლია აღვნიშნო: აფხაზეთში მოხდა ეთნიკური წმენდა, რის შედეგად ნახევარ მილიონამდე ადამიანი გამოდევნეს სახლებიდან. აღიარებით, უარს ვიტყვით მათი დაბრუნების უფლებაზე. აფხაზეთი დღეს არის ოკუპირებული რუსეთის მიერ, აკონტროლებს რა მთლიანად მარიონეტულ რეჟიმს და ამყოფებს რა რამდენიმე ათას შეიარაღებულ ძალას ამ რეგიონში. აღიარებით ჩვენ დავეთანხმებით რუსეთს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელია და რუსეთის სამშედვრო ყოფნა ამ რეგიონში გამართლებულია. აღარებით ჩვენ მწვანე შეუქმნებით რუსეთს მომავლი ეთნიკური წმენდებისთვის. აღიარებით ჩვენ წაგალთ საერთაშორისო თანამეგობრობის წების წინააღმდეგ და შეუერთდებით ნაურუს, ვენესუელას და ნიკარაგუას რიგებს.

მიამიტობა, არაპროფესიონალიზმი და, უარეს შემთხვევაში, „ყორლანაშვილობაა“ იმ არგუმენტის მოტანა, რომ აფხაზეთის აღიარებით, „აფხაზებს ჩვენსკენ შემოვაბრუნებთ“ და რუსეთისთვის „ზურგს ვაქცევინებთ“. მარიონეტული რეჟიმი მუდამ მარიონეტული იქნება, რადგან მოსკოვის ხელდასმულია და სრულად კონტროლდება. ჩვენს აფხაზ თანამემამულებითან საერთო ენის გამოსანახვად კი დღეს შემუშავებულია ჩართულობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც ხაზგას-მით არის აღნიშნული, რომ ხალხებს შორის თანამშრომლობის აღდგენა ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სხვა სფეროებში არის მთავარი გზა მშვიდობანად თანაცხოვრების-თვის.

რომ შევაჯამო: ამ დებატს ზუსტად ისევე არ აქვს აზრი, როგორც თავის დროზე არ ექნებოდა აზრი ჰეროსტრატესთან დავას არტემიდას ტაძრის ლირსებების შესახებ. ჰეროსტრატეს სხვა შიზანი ჰქონდა, როდესაც ტაძარს წვავდა. სამწუხაროა, რომ „აფხაზეთის დამოუკიდებლობის“ მომხრეთა მიზანიც იგივეა. ■

უ არა საჭახოველომ ამონაიღებობა?

■ „აფხაზეთის აღიარება“ არ არის დებატის თემა საქართველოში. საკითხის მსგავსი ფორმის დასმით იქმნება ილუზია, რომ ამ თემაზე ქართულ საზოგადოებაში მიმდინარეობს დებატები. ამას კი ჩვენი მტერი ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ იყენებს.

ერიზისი საბერძნეთში

ეიეი ბებნები ვაცი

ახალი საუკუნის საკრედიტო ბუმბა, ევროზონის სრულფასოვანი ქვეყნის იმიტაციის მცდელობამ და ტყუილის და კორუფციის ეპიდემიამ საბერძნეთის მთავრობა და საზოგადოება მორალურ კრახამდე მიიყვანა.

დიანა ჩაჩუა



ფოტო: AP / Getty Images, საბერძნეთი / REUTERS

საბერძნეთის ფინანსთა მინისტრობა დღეს მსოფლიოში ყველაზე არასასურველი თანამდებობაა. ევანგელიოს ვენიჭელოს არ გაუმართლა: საბერძნეთის ქუჩებში გამოსული უკმაყოფილო მოქალაქეების მთავრობის მკაფირი ეკონომიკური ზომების აუცილებლობაში დასაწინებლებლად და ზოგადად, ფინანსურ კრიზისთან გასამკლავებლად, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა გეორგ პაპან-დრეუმ ის ფინანსთა მინისტრად დანიშნა.

სამაგიეროდ, გაუმართლა ვენიჭელო-

სის წინამორბედ გიორგოს პაპაკონსტანტინუს, რომელმაც ესტაფეტა თავის კოლეგას გადააბარა. 2009 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული პაპაკონსტანტინუც საბერძნეთის ფინანსურ ქაოსში გარკვევას ცდილობდა. როგორც ჩანს, უშედეგოდ.

გიორგოს პაპაკონსტანტინუს მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნისას საბერძნეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 3,7 პროცენტიან ნიშნულზე იყო. ორ კვირაში, მაჩვენებლების გადახედვის

შემდეგ, დეფიციტი 12,5 პროცენტამდე, საბოლოოდ კი 14 პროცენტამდე გაიზარდა. ახალ ფინანსთა მინისტრს კრიზისის მიზეზები უნდა გაერკვია.

ბრიტანეთიდან ჩამოსულ Vanity Fair-ის ჟურნალისტთან მაიკლ ლიუსთან საუბარში პაპაკონსტანტინუ იხსენებდა, თურა პირობებში შეუდგა ის მოვალეობების შესრულებას. სამსახურის მეორე დესპერე მინისტრმა ყველა სათათბიროში შეკრიბა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესწავლა დაიწყო. ისინი ყოველდღე წარმოუდგე-

ნელ შეცდომებს პოულობდნენ.

„ყოველი დღის ბოლოს, როგორც კი
ვკითხავდი, სულ ეს იყო თუ არა, ბოლო
რიგში ვიღაცის ანეულ ხელს ვხედავდი,
რომელიც მეტყოდა, რომ სინამდვილეში
კიდევ 100-200 მილიონანი ხვრელი არ-
სებობდა, “ – იხსენებს პაპაკონსტანტიინუ.

ასე გაგრძელდა ერთი კვირის მანძილზე. აღმოჩენების ბოლო დღეს, როდესაც უკანა რიგებში ანტული ხელი აღარ ჩანდა, გარკვეა, რომ პროგნოზირებული 7 მილიარდიანი დეფიციტის ნაცვლად, სინამდვილეში, საქმე 30 მილიარდიან დეფიციტთან პქონდათ.

„ამ მომენტამდე, უბრალოდ, არავინ არაფერს ითვლიდა,“ – ამბობდა ყოფილი მინისტრი. საპერძეოს მმართველი პარტიი „კრესტიული ბუდალტერიის“ დახმარებით თავისითვის ხელსაყრელ რიცხვებს წერდა და ასეთი გზით ბრიუსელისთვის სასურველი სურათის იმიტაციას ქმნიდა.

„როდესაც ჩვენი ხალხი საბერძნეთში ჩავიდა, მათ სახელმწიფო ფინანსების კონტროლის წარმოუდგენელი მექანიზმი აღმართინება: მათ კარგად იცოდნენ, რამდენის დასარჯვება შეეძლოთ, მაგრამ არავინ ადევნებდა თვალს, რეალურად ვინ რამდენს ხარჯვადა. ასეთი რამ დამწყები საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაშიც კი არ ხდება. ეს მესამე მსოფლიოს ქვეყანას უფრო წააგვადა,” – იხსენებდა საბერძნეთში პირველი მისიის შემდეგ საერთა-

„დღის ბოლოს, როგორც კი ვიკიტხავდი, სულ ეს იყო თუ არა, ბოლო რიგში ვიღაცის ანეულ ხელს ვხედავდი, რომელიც მეტყოდა, რომ სინამდვილეში კიდევ 100-200 მილიონანი ხვრელი არსებობდა“.

შორისო სავალუტო ფონდის (IMF) წარმომადგენელი Vanity Fair-თან საუბარში.

კრიზისის გაღვივებასთან ერთად, ნელ-ნელა ფინანსების მართვის ბერძნული მოდელის ბევრ სხვა დეტალსაც აქადა ფარდა. მაგალითად იმას, რომ რეალურად საბერძნეთში მოსახლეობის უმცესობა გადასახადებს არ იხდიდა, სახელმწიფო სამსახურების თანამშრომლებს კერძო სექტორის დასაქმებულებზე მაღალი ხელფასები ჰქონდათ, საჯარო სკოლები კვრობპაში ერთ-ერთი ყველაზე

არაეცემულტური იყო და ამის მიუხედავად, ერთ მოსწავლეზე იოხევერ მეტი მასწავლებლი მოდიოდა, ვიდრე მაგალითად, ფინეტში და ა.შ. გადასახადისგან თავის დაღწევად საკმარისი იყო იმის თქმა, რომ გადახდა ნალი ანგარშსწორებით მოხდა, ან თითქოს განეულ მომსახურებაზე ქვითარი არ გაგაჩნდა.

ნაღლი ფულის გათეთრების კველაზე
მარტივ გზად უძრავი ქონების ყიდვა
ითვლებოდა. საქმე ის არის, რომ საპერძ-
ნეთში მიწების ეროვნული რეგისტრაციის
სისტემა არ არსებობს, შესაბამისად, არ
არსებობდა კონტროლის მექანიზმი.

საბერძნეთში გადასახადებისგან თავის
არიდების კიდევ ერთი, ყველაზე გავრ-
ცელებული საშუალება იყო გადასახადის
ამკრეფისთვის ქრთამის შეთავაზება. რა
თქმა უნდა, საბერძნეთში არსებობს კა-
ნონი, რომელიც ქრთამის ამღებ გადასა-
ხადის ამკრეფს სჯის, თუმცა ასეთი საქ-
მების გამოძიება 7-8 წლს გრძელდება,
ამიტომ ზედმეტი თავის ტკივილი იშვია-
თად თუ სურდა ვინმეტს.

„ადამიანების უმეტესობა იტყვება, გა-დასახადებს მაღავს და ქრთამს აძლევს. ეს რაღაც ეროვნულ დაავადებად იქცა. მაგრამ ყველაზე მეტს მიინც მდიდრები იპარავდნენ. ამიტომაც არის, რომ მდი-დრები კვლავაც მდიდრდებიან, ღარიბები კი ღარიბებიან.“ – განმარტავს „ლიტე-რალობას“ საბარემო კორრაციულ კოორდინა-

დი ათენილან.

„გადასახადებს ძირითადად დაბალ და საშუალოშემოსავლიანი ადამიანები იხდიან ან ისინი, ვისაც სხვა გზა არ აქვთ, მაგალითად, დიდი კორპორაციებისათვის მარტინობლები“, – ამბობს კიდევ ერთი ათანელი ალექსანდრა თეოდორიძი.

ბრიუსელის და ათენის მცდელობების მიუხედავად, ეკონომისტები აღარ ერი-დებიან იმის აღიარებას, რომ საბერძნეთი გაყოფრდა. მათი უმეტესობა დარწმუნებულია, რომ საბერძნეთის 1,2 ტრილიონი

ევროს ოდენობის ვალის გასტუმრების შანსი არ აქვს. ეს ერთ სულ დასაქმებულ მოსახლეზე 250 ათას ევროს უდრის. თვის დასაწყისში საკრედიტო რეიტინგულმა სააგენტო Standard & Poor's-მა საბერძნეთის რეიტინგი რეკორდულ, მსოფლიოში ყველაზე დაბალ ნიშნულა-მდე – CCC-მდე დანია. ეს ნიშნავს, რომ საბერძნეთს დეფოლტამდე ორი ნიშნული აკილებს.

ევროკავშირის ლიდერები ევროს გა-
დასარჩენად ყველაფერზე მზად არიან,
თუმცა ისიც კარგად აქვთ გაცნობიე-
რებული, რომ საბერძნეთის დეფოლტი
გარდაუვალია. ახლა გასარკვევი ისლაა,
თუ რა ფორმით მოხდება ეს. ბრიტანელში
„ვალის რესტრუქტურიზაციას“ უჭერენ
მასარს. ეს მარტივად იმას ნიშნავს, რომ
ბერძნებული ობლიგაციების მფლობელებ-
ს რეალურ ღირებულებაზე ნაკლების
მიღებაზე ან მსუბუქ რესტრუქტური-
ზაციაზე მოუწევთ დათანხმება. მეორე
შემთხვევაში, ფულის დაბრუნება ოდნავ
ხანგრძლივი დროის შემდეგ მოხდება. ეს
გზა ყველა მხარისთვის სასარგებლო შეი-
ძლება იყოს: მსესხებლებს დეფოლტისგან
დაიცავს, საბერძნეთს – დროს, ბანკებს
კი – მომავალ კრიზისებთან გასამტლავე-
ბლად კაპიტალის რეზივუის დაგროვების
საშუალებას მისცავს.

განიხილება ევროზონიდან გამოსვლის ვარანტებიც, თუმცა მაასტრინეტის ხელ-შეკრულება ქვეყანას ზონის დატოვებას უკრძალავს. ზოგი საბერძნეთს საერთო საკალაუტო ზონიდან „არდადეგბის“ აღებას ურჩევს. თუმცა ეკონომისტები ამბობენ, რომ ეს დეფოლტის ეკვივალენტი იქნება.

მოვლენების ყველაზე პიზიტიური
სცენარით განვითარების შემთხვევაშიც,
საერთაშორისო სავალუტო ფონდის შე-
ფასებით, საბერძნეთის ეკონომიკას კრი-
ზისამდელი მშპ-ის დონის მისალწევად
ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით 8
წლით თავისწორობა

დეფოლტის დაცვითი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მიზანით მიმდინარეობს ასახელებენ. ამის თავიდან ასაცილებლად (მოკლევადიან პერიოდში მაინც) ქვეყანას 12 მილიარდიანი სესხი სჭირდება, რომელიც დახმარების პირველი პროგრამის ფარავნების მიზანით მიმდინარეობს.

ლისწინებული. ამ თანხის გამოყოფაზე შეთანხმების მიღწევას ევროზონის ფინანსთა მინისტრებმა შვიდი საათი მოაწყობეს. თუმცა კონსენსუსი ვერ შედგა მეორე დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით. ეს მხოლოდ მას შემდეგ დადგება დღის ნესრიგში, რაც საბერძნეთის მთავრობა ქამრის შემოჭერის ზომებს პარლამენტში დამტკიცებს.

ქუჩაში მიმდინარე საპროტესტო აქციების ფონზე, მკაცრი ეკონომიკური ზომების პროგრამის დამტკიცებას სა-

ვალების ხაფანგში.

„ბერძნებს იმ წამლის მეტი დოზის მიღებას ურჩევენ, რომელიც დავადებას ვედარ შევლის,“ – განუცხადა ლონდონის ევროპული რეფორმის ცენტრის ეკონომისტმა საიმონ ტილფორდმა New York Times-ს.

მოსაზრება, რომ საბერძნეთი არა-სოდეს ყოფილა მზად ევროზონაში გა-სანერიანებლად, სულ უფრო ხშირად ისმის საერთაშორისო მედიაში. თუმცა 1990-იანი წლების ბოლოს ევროპელ

ბოლოს ბერძნებმა საკუთარი შანსი ევროზონაში გაერთიანებაში დაინახეს. განერიანების პირველსუე ტალღაში ვერ მოხვდნენ, რადგან პირობებს არ აკმაყოფილებდნენ. პირობები კი ასეთი იყო: ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებაში 3 პროცენტამდე უნდა ყოფილიყო, ინფლაცია კი გერმანიის დონეს უნდა გატოლებოდა. სტატისტიკური მანიპულაციების და „კრეატიული ბუღალტერიის“ წყალობით, საბერძნეთმა საჭირო მაჩვენებლებს მიაღწია და 2001 წელს დრაშმა ევროზე გაცვალა.

ევროზონაში შესვლამდე ერთი წლით ადრე 155 გერმანულად მოლპარაკე ეკონომისტი ხელს აწერდა დეკლარაციას, რომელშიც ისინი ბრიუსელს საბერძნეთის და სხვა პოტენციური წევრების ევროზონაში მიღების ვადების გადაწევისკენ მოუწოდებდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ამ ქვეყნებში სასურველი შედეგის წარმოსაჩენად „კრეატიულ ბუღალტერიას“ იყენებდნენ.

დღეს ამ დეკლარაციის ხელმომწერები კონტინენტის ყველაზე შორსმჭვრეტელ ეკონომისტებად მიიჩნევიან. თუმცა, ახლა ღიად თუ ანონიმურად უკვე ყველამ დაინტერეს იმ სქემებზე საუბარი, რაც თავის დროზე ევროზონაში შესაღწევად და შემდგენ იქ დასარჩენად გამოიყენებოდა. აღმოჩნდა, რომ საბიუჯეტო დეფიციტის შესამცირებლად საბერძნეთის ხელისუფლება სხვადასხვა სახის ხარჯებს საბიუჯეტო წიგნში საერთოდ არ ასახავდა. ინფლაციის დონის ხელოვნურად შესამცირებლად ბერძნები ელექტროენერგიის და წყლის ფასებს ყინულების და გაზის, ალკოჰოლის და თამბაქოს გადასახადებს ამცირებდნენ. ინფლაციის გაზიოგვის დღეს სტატისტიკულსები სამომზმარებლო ფასების ინდექსიდან ძვირიან პამიდვრებს აქრობდნენ. ამიტომაც იყო, რომ ბერძნული ფინანსური დოკუმენტების რიცხვების დაჯამება არასოდეს იძლეოდა ლოგიკურ შედეგს. ამაში მაღა ახალი ფინანსთა მინისტრი ევანგელის ვენიზელოს პირადად დარწმუნდება, როდესაც თათბირის ოთახის უკანა რიგში აწეულ ხელს დაინახავს.



ფოტო: AP / Getty Images, EPA / AP / Getty Images / REUTERIS

■ მოსაზრება, რომ საბერძნეთი არასოდეს ყოფილა მზად ევროზონაში გასანევრიანებლად, სულ უფრო ხშირად ისმის საერთაშორისო მედიაში.

ბერძნეთის პარლამენტი მიმდინარე კვირაში შეცდება.

მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი ეკონომიკური ზომების გატარება საერთაშორისო დახმარებების ახალ ნაკადებს უზრუნველყოფს, სულ უფრო მეტი ეკონომისტი აცხადებს, რომ საბერძნეთის მთავრობის ახალი პროგრამა მხოლოდ გადაავადებს დეფოლტს და ვალებს, რომელიც უკვე დღეს ქვეყნის მშპ-ის 150 პროცენტს წარმოადგენს. მეტიც, ეკონომისტების აზრით, დამატებითი სესხების აღებით საბერძნეთი კიდევ უფრო ეხვევა

ბიუროკრატებს იმდენად დიდი სურვილი ჰქონდათ ხორცი შეესხათ ერთიანი ვალუტის ზონის შექმნის იდეისთვის, რომ ბევრ სარვეზზე დახუჭეს თვალი.

1980-1990 წლებში საბერძნეთი გერმანიაზე 10 პროცენტით მაღალი საპროცენტო განაკვეთებით სარგებლობდა. საბერძნეთში არც სამომზმარებლო კრედიტი არსებობდა და არც საკრედიტო ბარათები. საბერძნეთის სურდა, ფინანსური ბაზრები მას ჩრდილოეთ ევროპული ქვეყნების მსგავსად მოპყობოდნენ. 1990 წლების

ევროპული ბაზეზისანება ახ ახის პანაზე

ინტერვიუ კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორთან,
ანდრეა ბუბულასთან.

პროფესორი ბუბულა თბილის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში სტუმრობს. პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება.

ბერძნული კრიზისის მიზეზებს ბევრი ეკონომისტი 1990-იანი წლების ბოლოში ეძებს, როდესაც დღის წესრიგში საბერძნების ევროზონაში განევრების საკითხი დადგა. დღეს ბევრი მიმწერებს, რომ ქვეყნა მზად არ იყო ამ ნაბიჯისთვის. თქვენი აზრით, რა არის საბერძნების კრიზისის გამომწვევი ფუნდამენტური მიზეზი?

ევროზონაში განევრებამდე საბერძნები 15%-იანი საპროცენტო განაკვეთით სარგებლობდა. შემდეგ ეს მაჩვენებელი 2-3%-მდე დაეცა. მაშინ საბერძნებისთვის, იტალიისთვის და სხვა ევროპული ქვეყნებისთვის სტაბილური, კარგი პერიოდი დადგა. სწორედ მაშინ დაუშვეს პირველი შეცდომა. ეს იყო მომენტი, როცა საბერძნების სახელმწიფო ხარჯები უნდა შეემცირებინა და გადასახადები გაეზარდა. ამის ნაცვლად, მათ თქვეს, რომ სურდათ შექმნილი სიტუაცია გამოეყენებინათ და სარგებელი მიეღოთ. ბერძნების დიდი შეცდომა ის იყო, რომ როდესაც დაბალ საპროცენტო განაკვეთზე გადავიდნენ, არ სებული ვალების გასტუმრების ნაცვლად, უფრო მეტი თანხის სესხება მოინდომეს.

დღეს, მოუხედავად იმისა, რომ საბერძნების ევროზონის ქვეყნაა, კრიზისული მდგომარეობის და მაჩვენებლების გაუარესების გამო, საპროცენტო განაკვეთი კვლავ 15%-ია. ახლა ბერძნები იძულებული არიან, ის გადამჭრელი ზომები მიღლონ, რომელიც 10 წლის წინ არ გაატარეს.

ბევრი ადანაშაულებს ევროკავშირს იმაში, რომ მთელი ეს წლები საბერძნების ენ. „კრატიული ბუბულატერიის“ გამოყენების უფლებას აძლევდა და თვალს შეგნებულად ხუჭავდა. რამდენად დიდია მიმდინარე კრი-



დობამ იცოდა საბერძნების „კრეატიული ბუბულატერიის“ შესახებ, რომელსაც ზურგს უკან დასცინდა კიდეც. თუმცა, ვიზიურობა, ამ კრიზისის შემდეგ ეს აღარ განმეორდება.

„ევროზონის არდადეგები“ რამდენად შეიძლება გამოსავალი იყოს და რა შედეგებს გამოიიდეს ეს ნაბიჯი?

მე არ ვფიქრობ, რომ ახლა ევროზონიდან დარღვებით გასულა საბერძნებისთვის ოპტიმალური ნაბიჯი იქნება. თუ საბერძნების ევროზონიდან გავა, ამას მაინც მოჰყვება ბანკების გაკოტრება და ბერძნული ობლიგაციების დრაპერაცია და დენომინაცია, რაც დეფოლტის ეკვივალენტი იქნება.

უნდა გამოიყენოს თუ არა ევროკავშირმა სადამჯელო ზომები და მისცეს საბერძნების დეფოლტის საშუალება?

ახლა ამაზე ევროპაში დიდი დებატებია. ზოგი (მაგალითად, ბრიტანების მოსახლეობა) ღმერთს მაღლობას უზდის, რომ არ არიან ევროზონაში, გერმანელები კი დასჯის მეთოდის გამოყენებას ცდლობზე და საბერძნების გაკოტრება სურთ. ისინი ამით აგზავნან სიგნალს, რომ საბერძნების ევროზონაში მიღება მთლად სწორი ნაბიჯი არ იყო. ამის გარდა, გერმანიას არ სურს, რომ საბერძნებით საკუთარი მოქალაქების გადასახადების ხარჯზე დააფინანსოს. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ბერძნები არ დაუშვებენ საბერძნების დეფოლტს, რადგან ერთიანი ვალუტის ზონის ფარგლებში ამ ყველაფერს გადამდები ეფექტის ძალიან დიდი საფრთხე ახლავს თან. **■**

ესაუბრა დიანა ჩაჩუა.

ზისში ბრიუსელის წელილი?

არსებობს ასეთი დამოკიდებულება, რომ როდესაც ყველაფერი კარგად მიღდის, მაშინ ბენელ მხარეებსაც გაპატიობენ. ბერძნებმა ქვეყნისთვის კარგი პერიოდი სათავისოდ გამოიყენეს. ისინი ამბობდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო და არ სურდათ მკაცრი ზომების მიღება. ეს არასწორია. სწორედ ასეთი დროს იყო მისაღები გაბედული, გადამწყვეტი ზომები გადასახადების გაზრდასთან და ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით. იყო თუ არა საერთაშორისო საზოგადოების ვალი, რომ ეძულებინათ საბერძნები, საჭირო ზომები დროულად მიეღოთ? შესაძლოა.

რა თემა უნდა, საერთაშორისო საზოგა-

ავღანეთი

ცხაბჩი მახს

ავღანეთიდან სამხედრო კონტინგენტის გაყვანის პარალელურად, თეთრი სახლი თალიბანთან მოლაპარაკებებს იწყებს.

ვასო კუჭუხიძე

საგანგებო პრესკონფერენციაზე აშშ-ის თავდაცვის მდივანმა რობერტ გეიტსმა დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია, რომ თეთრი სახლი მოლაპარაკებებს იწყებს თალიბანთან. გეიტსმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები ჯერ საწყის სატადაშია და მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში ავღანეთის ტერიტორიიდან სამხედრო შენაერთების გაყვანის პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდება.

ამერიკული შენაერთები ავღანეთის ტერიტორიაზე 2001 წელს გამოჩნდნენ და მათი უპირველესი ამოცანა ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ განადგურება იყო. მართლაც, პირველივე წელს ვაშინგტონმა „ალ ქაიდას“ სერიოზული დარტყმები მიაყენა - გაუნადგურა საწრთველი ბანაკები და რამდენიმე მნიშვნელოვანი ლიდერი. ამის შემდეგ, ავღანეთში თეთრი სახლის მიზნები შეიცვალა და მთავარი ამოცანა ქვეყნის დემოკრატიზაცია, ხელისუფლებაში მყოფი თალიბანის დამხობა და მათ ადგილას პროამერიკული ხელისუფლების დასმა გახდა.

ამ ამოცანის შესრულების შემთხვევაში ვაშინგტონი ერთი გასროლით ორ კურდელს კლავდა: საბოლოოდ გაანადგურებდა „ალ ქაიდას“ და ამით ალევეთდა ავღანეთის ტერიტორიაზე ტერორისტული ქსელის შექმნის წებილიერ სამომავლო მცდელობას, მეორე მხრივ კი მნიშვნელოვან რეგიონში შეიძენდა კიდევ ერთ მოკავშირე, რაც მას საშუალებას მისცემდა, სამხედრო ძალები ირანის აღმოსავლეთ საზღვაოთანაც განეთავსებინა.

თუმცა, ავღანეთში დემოკრატიის დანერგვა იოლი პროცესი არ აღმოჩნდა. ამერიკის სამხედრო და სადაზვერვო ძალებმა „ალ ქაიდას“ განადგურება საკმა-

ოდ სწრაფად შეძლეს და არც არსებული მთავრობის დამხობა გასჭირვებით, მაგრამ ხელისუფლებიდან პარტიზანულ ბრძოლაზე გადასულ თალიბანს კი უკვე ათი წელია, ვერაფერი მოუხერხეს.

ათი წლის თავზე უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ამერიკის მთავარმა მიზანმა ავღანეთში - გაენადგურებინა თალიბანი, კრახი განიცადა. ამერიკის ინტერვენციას ვერც გენერალ მაკარისტალის დევიდ ჰეტრეუსით შეცვლამ უშ-

■ მოლაპარაკებების

დაწყების წინ ყველაზე

მომგებიან პოზიციაზე მაინც

თალიბანი იმყოფება. დრო

მის სასარგებლოდ მუშაობს.

ამერიკამ ერთ თვეში

უნდა დაიწყოს ავღანეთის

ტერიტორიის დატოვება.

ველა და ვერც სამხედრო კონტინგენტის ერთი მეხუთედით გაზრდამ.

ამერიკასთან ბრძოლაში თალიბანს რამდენიმე უპირატესობა აქვს: 1. თალიბებს დასაყრდენი აქვთ ავღანეთის პუშტუნ მოსახლეობაში, რომელიც კვეყანაში უდიდეს ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს. განსაკუთრებული მხარდაჭერა მათ ჰელმანდისა და კანდაპარის პროვინციებში გააჩნიათ, ეს ორი რეგიონი თალიბების ციხესიმაგრებად ითვლება და ამერიკელებს დიდ თავსატეს უჩენს. 2. თალიბანის შებრძოლები არიან ავღანეთის სახელმწიფო სამხედრო შენაერთების ყოფილი წარმომადგენლები და კარგად

იცნობენ ქვეყნის ტერიტორიას, ასევე ამ ტერიტორიაზე ბრძოლის წარმოების უკვე კარგად გამოცდილ მეთოდებს, რაც ახლანდელი ხელისუფლების მიერ შეკრუბილ მოყვარულ მებრძოლებთან და ამერიკულ შენაერთებთან ბრძოლაში მათ დიდ უპირატესობას ანიჭებს. 3. თალიბები მშვენივრად სარგებლობენ ამერიკის ადმინისტრაციასა და ავღანეთის ხელისუფლებას შორის არსებული წინააღმდეგობებით, რომლებიც, ძრითადად, კორუფციითა და შეუთანხმებელი მოქმედებებითა გამოწვეული.

ამერიკის კიდევ ერთი თავსატეხი, მისი დასავლეთელი მოკავშირები არიან. ბრიტანეთში საზოგადოებრივი აზრი, მზარდი დანახარჯი და დიდი მსხვერპლი აიძულებს ხელისუფლებას ჯარის გამოყვანის გეგმის დაჩქარებაზე იზრუნოს. კიდევ უფრო რთულადაა სიტუაცია ევროპის კონტინენტურ ნაწილზე, სადაც მოსახლეობის უქმაყოფილებას მთავრობა ველარ აკონტროლებს. შესაბამისად, ვაშინგტონი იძულებულია, სათადარიგო გეგმაზე გადავიდეს, რაც თალიბანის მოლაპარაკებების მაგიდასთან დასმას ითვალისწინებს. თუმცა, არც ეს ამოცანაა იოლად შესარგებელი. სამხედრო დიპლომატიაში კარგადაა ცნობილი, რომ, თუკი არ გაქვს მონინააღმდეგებზე უპირატესობა და ის თავს არ თვლის წაგებულად, რთულია მისი მოლაპარაკებების მაგიდასთან დასმა. ეს განსაკუთრებით ნახევრად მომთაბარე თალიბებს ეხებათ. ისინი თავს დამარცხებულად ნამდვილად არ თვლიან, რადგანაც იბრძვიან არა ამერიკელებზე გამარჯვებისათვის, არამედ თვითგადარჩენისთვის. ეს კი დღემდე შშვენივრად გამოსალით. თალიბებს გათავსის აღვერული აქვთ, რომ ამერიკულ სამხედრო მანქანას პირდაპირ ბრძოლა-



ამერიკელი სამხედროები ავღანეთში, 12 ივნისი 2011

ფოტო: ბეს როუზი / REUTERS

ში ვერ გაანადგურებენ, ამიტომაც მათი სტრატეგია ითვალისწინებს ბრძოლის მაქსიმალურად განხელვას და ამერიკისთვის ახალი ვიეტნამის მოწყობას.

აქედან გამომდინარე, ამერიკის ბოლო-დროინდელი სტრატეგია არა თალიბანის მთლიანად განადგურება, არამედ მისი იმ დონემდე დასუსტებაა, რომ ისინი მოლაპარაკების მაგიდასთან დასვას. მართალია, ავღანეთში აშშ-ის ძალებმა თალიბანის დასუსტება ვერ მოახერხეს, მაგრამ ბინ ლადენის სიკედილმა და პაკისტანში წარმატებით მიმდინარე ანტიტერორისტულმა კამპანიამ ტერორისტულ ორგანიზაციაზე მაინც იმოქმედა და განაპირობა კიდეც თალიბი ლიდერების მოლაპარაკებზე დათანხმება.

სამშეიდობო მოლაპარაკებში მონაწილეობას ავღანეთის ამჟამინდელი ხელისუფლებაც იღებს. პამიდ კარზაი, ერთი მხრივ, დადებით მოვლენად აფასებს მიმდინარე მოლაპარაკებებს, მეორე მხრივ კი შიშობს, ამერიკულ შენაერთებთან პირდაპირ

გარიგება მისი ინტერესების ხარჯზე არ მოახდინონ, ანუ მშეიდობისა და სტაბილიზაციის სანუცვლოდ თალიბანი კვლავ ავღანეთის ხელისუფლებაში არ დააპრუნონ. ეს საკითხი ევროპელებსაც აშფოთებთ, რადგანაც ასეულობით ჯარისკაცის სიცოცხლე და მრავალი მიღლიარდი ევრო შესწირეს თალიბანის წინააღმდეგ ბრძოლას, ახლა კი შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ეს ხარჯი იყო ამათ და ხელისუფლება კვლავ თალიბანს დარჩეს.

მოლაპარაკების დაწყების წინ ყველაზე მომგებიან პოზიციაზე მაინც თალიბანი იმყოფება. დრო მის სასარგებლობა მუშაობს. ამერიკამ ერთ თვეში უნდა დაიწყოს ავღანეთის ტერიტორიის დატოვება, რაც საშუალებას აძლევს თალიბებს, მოლაპარაკების მათთვის არასასურველი კურსით წარმართვის შემთხვევაში, დატოვონ ის და მომდევნო რამდენიმე წელიწადი თავი შეიკავონ როგორც მოლაპარაკებისაგან, ასევე ამერიკულ შენაერთებთან პირდაპირ

ფართომასშტაბიან შეტაკებებისაგან. ამ პერიოდს ისინი ძალების მოკრებას მოანდომებენ და ამერიკელების გასვლის შემდეგ ეცდებიან ძალისმიერი მეთოდებით კვლავ ხელისუფლებაში მოსვლას.

თეორი სახლის გეგმის თანახმად, ივლისის ბოლომდე ავღანეთი 5 ათასშა ამერიკელმა სამხედრომ უნდა დატოვოს, რასაც დეკემბერში კიდევ 5 ათასი მიერაცხება. თუ გავთვალისწინებთ, რომ ავღანეთში ამერიკის 97 ათასიანი კონტინგენტია განთავსებული, მივხდებით, რამდენად უმნიშვნელოა პირველი ნაკადების ციფრები. ექსპერტთა გათვლით, იპარას ადმინისტრაცია ჯარის ყველაზე დიდ ნაწილს 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ გამოიყვანს და ამით ამომრჩეველთა ხმების მიზიდვას შეეცდება. ავღანეთის სამხედრო კამპანია აშშ-ის მოსახლეობაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს, რადგანაც ყოველწლიურად ის ქვეყნის ბიუჯეტს 110 მილიარდი დოლარი უჯდება. □

პოსტიტური სეზონი

პეტატიზა ბელარუს ჯანმხოვნებას?

საქართველოს თითქმის ყველა საავადმყოფოს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მალე კერძო მფლობელი ეყოლება.

რუსულან ფანზიშვილი, ეკა ჭითანავა

საავადმყოფოს ეზოში გაბმულ თოკებზე სარეცხია გაფენილი, ბავშვები ფეხბურთს თამაშობენ, ხანში-შესული მამაკაცი ვედროთი წყალს ეზიდება. სანზონაში, მერვე საავადმყოფოს ნაწილი, უკვე წლებია, დევნილებს უკავიათ.

კლინიკის ნაწილი გაარემონტეს, მაგრამ, ძირითადად, მაინც ჩამტვრეული ფანჯრები, ჩაბნელებული დერეფნები და ბეტონაყრილი კიბეები გვხვდება.

ქირურგის განყოფილებაში ექიმები დილის თათბირს ესწრებიან. ისინი ყოველდღე სამსახურში ისე მოდიან, რომ არ იციან, ერთი თვის თავზე აქ კვლავაც იმუშავებენ თუ არა. მათ ყურმოკვრით გაიგეს, რომ მერვე საავადმყოფო მალე გაიყიდება, ახალი მფლობელი კი თანამშრომლებს სახლში გაუშვებს.

ქალაქის მერვე საავადმყოფო, რომელიც ნლების განმავლობაში მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენ-

ტრის ფუნქციას ასრულებდა და რამდენიმე შენობას აერთიანებდა, კვლავაც საპრივატიზაციოდ გამზადებული საავადმყოფოების ნუსხაში რჩება. მისი გაყიდვის თემა ხელახლა აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც კომპანია „ბლოკ ჯორჯიამ“ ვალდებულება ვერ შეასრულა და, თბილისის სხვა კლინიკების მსგავსად, ვერც მერვე საავადმყოფოს რეაბილიტაცია შეძლო.

საბჭოთა პერიოდში აშენებული და თითქმის სრულად ამორტიზებული საავადმყოფოების მემკვიდრეობისაგან გათავისუფლებას სახელმწიფო ამჯერად ახალი პროექტით ცდილობს. პროექტს „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გეგმა“ ჰქვია და დაინტერესებული ინვესტორების მოზიდვას გულისხმობს, რომელთაც საქართველოს მასშტაბით უნდა ააშენონ ახალი საავადმყოფოებიც და განაახლონ ძველიც.

სახელმწიფოს ბალანსზე არსებული საავადმყოფოების პრივატიზება კონტროლის პალატის მთავარი რეკომენდაციაა. ეს რჩევა სამინისტროს კონტროლის პალატის ექსპერტებმა მას შემდეგ მისცეს, რაც რამდენიმე ათეული მცირე და მსხვილი საავადმყოფოს ერთნაირი მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნეს.

„სახელმწიფო ქონების არაეფექტურად მართვა“;

„არარსებული მეურნალობის დაფინანსების მოთხოვნა“;

„პაციენტთათვის გაწეულ მომსახურებათა არასწორი აღრიცხვიანობა“;

„პაციენტთა განმეორებითი მეურნალობის ხელმისამართი ანაზღაურების მოთხოვნა“ – ეს ის დარღვევებია, რომელთა გამოსწორებაც კონტროლის პალატის ნარმომადგენლებს მხოლოდ ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის შედეგად წარმოუდგენიათ.

შესაბამისად, გაყიდული და გა-



მთავარი თემა



იაშვილის სახელობის ბავშვთა ფენტრალური საავადმყოფო

ფოტო იაშვილ საავადმყოფო



ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი

ფოტო ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი

■ ჯანდაცვის ექსპერტები საფრთხეს საავადმყოფოების ერთი ხელის მოსმით პრივატიზებაში ხედავენ, რადგან სწრაფი და დაჩქარებული განკურძოების პროცესი მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს. ერთ-ერთი პირველი უკუჩვენება, რაც საავადმყოფოების მასობრივ პრივატიზაციას შეიძლება მოჰყვეს, პოსპიტალურ მომსახურებაზე ფასების ზრდაა.

საყიდად გამზადებული სახელმწიფო კლინიკების რაოდენობა სულ უფრო იზრდება. უკანასკნელი, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი გარიგება ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის რამდენიმე კვირის წინ შედგა: კერძო მფლობელი გამოუჩნდა იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს. გასაყიდი ობიექტების სიაში კი კვლავაც რჩება ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრი და რესპუბლიკური საავადმყოფო – კლინიკები, რომელთა გასახისების გზით რეაბილიტაცია ხელისუფლებამ, უშედეგოდ, უკვე სცადა.

ჯანდაცვის სამინისტროშიც ამბობენ, რომ განკურძოების მთავარი შედეგი გამჭვირვალე, ეფექტური და სარისხიანი სამედიცინო მომსახურება იქნება. „ზოგადად, კერძო საკუთრების თავისებურება ის არის, რომ ადამიანები უფრო გულიანად აკეთებენ თავის საქმეს, ზრუნავენ იმაზე, რომ მომხმარებლები კამაყოფილები იყენება. რაც არ უნდა ჭევიანი თანამშრომლები ჰყავდეს სამინისტროს, მათ ჩარევას, კონკრეტულ ობიექტზე უკეთ გათვითცნობიერებული კერძო მფლობელის დაეგმარება აჯობებს“, – ამპოსს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, მიხეილ დოლიძე.

პოსპიტალური სექტორის პრივატიზება სხვადასხვა ქვეყნების ჯანდაცვის სისტემაში მიღებული პრაქტიკაა. თუმცა, სექტორის სრული პრივატიზების მაგალითი დასავლეთის არცერთ განვითარებულ ქვეყანაში არ არსებობს. ეს არც საქართველოშია მოსალოდნელი. ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ რამდენიმე სტრატეგიული სამედიცინო დაწესებულების გაყიდვას არც ეცდებიან. ესენია: ფსიქიატრიული, ტუბერკულოზის, შიდსისა და მწვავე ინფექციების ცენტრები. დანარჩენ, მრავალპროფილიან და მსხვილ, თუ მცირე კლინიკას კი ახლო მომავალში კერძო მფლობელი გამოუჩნდება.

თუმცა, ჯანდაცვის ექსპერტები საფრთხეს საავადმყოფოების ერთი ხელის მოსმით პრივატიზებაშიც ხედა-

ვენ, რადგან სწრაფი და დაჩქარებული განკერძოების პროცესი მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს.

ერთ-ერთი პირველი უკუჩენება, რაც საავადმყოფოების მასობრივ პრივატიზაციას შეიძლება მოჰყვეს, ჰოსპიტალურ მომსახურებაზე ფასების ზრდა.

ყოფილი „არამიანცის“, იგივე №1 კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე, ერთ-ერთი კერძო კლინიკის ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში, წეროვანის დევნილთა დასახლებიდან ჩამოსული ცოლ-ქმარი ექიმთან რიგში დგას. სადაზღვევო კომპანიამ, რომელიც მათ სახელმწიფო დაზღვევის პროგრამით ემსახურება, ქალბატონი თინას მეუღლე საავადმყოფო ამ კლინიკაში გამოაგზავნა. თუმცა, მხოლოდ საავადმყოფოში მოსვლის შემდეგ გაარკვია ცოლ-ქმარმა, რომ კომპიოტერულ ტომოგრაფიას, რომელიც 400 ლარი ღირს და დევნილ მამაკაცს დიაგნოზის გასაგებად სჭირდება, სა-

დაზღვევო კომპანია არ ანაზღაურებს. კერძო კლინიკას კი არ ევალება, მათ შეღავათი გაუწიოს და ქერადლირებულ მომსახურებაზე ფასი დასწიოს. უახლესი, თანამედროვე აპარატურის შექნა და შენახვა კლინიკას ძვირი უჯდება და ჩადებული ინვესტიციის ამოღებას მენეჯმენტი, როგორც წესი, პაციენტების გადახდილი თანხიდან ცდილობს.

„ხომ შეიძლება, ერთი საავადმყოფო მაინც დატოვონ ისეთი, რომელსაც, ვთქვათ, მერია განკარგავს და არა კერძო მფლობელი და რომელიც ჩვენისთანა ადამიანებს უფრო შეღავათიან ფასებში მოემსახურება? თორემ ასე, არც დაზღვევა ანაზღაურებს ამ თანხას და კერძო კლინიკასაც როგორ მოვთხოვო, 400 ლარად ღირებული პროცედურა უფასოდ ჩაგვიტაროს?“ – ამბობს თინა.

ჯანდაცვის სამინისტროსა და კონტროლის პალატაში ფიქრობენ, რომ ფასებში კერძო ჰოსპიტალურ სე-

ქტორში პაციენტებისგან წამოსული მოთხოვნის შესაბამისად თავისით დარეგულირდება. ამ პროცესს ხელს ისიც შეუწყობს, რომ ბაზარზე ერთდროულად ბევრი კერძო მფლობელი გაჩნდება. ამიტომაც, რამდენიმე სპეციალური დანიშნულების ცენტრის გარდა, ისეთი მრავალპროფილიანი სახელმწიფო საავადმყოფო, როგორიც დენილ ქალბატონს წარმოუდგენია, საქართველოში, სავარაუდოდ, აღარ დარჩება. სამაგიეროდ, მოქალაქეთა ასეთი სეგმენტისთვის, სახელმწიფო „უმწეოთა სახელმწიფო დაზღვევის“ პროგრამებს გააუმჯობესებს. უშუალოდ ფასების დარეგულირებაში კი არ ჩაერცეა.

ექსპერტებისთვის ყველაზე სარისკო ხელისუფლების სწორედ მსგავსი მიღვიმაა. ისინი ფიქრობენ, რომ საავადმყოფოების ამ სპეციფიკურ სექტორზე ბაზრის სტანდარტული თამაშის წესები არ უნდა გავრცელდეს. „მედიცინა არაა ქარხანა,

ჰოსპიტალური სექტორის პარტნიური მსახურები

2000 წელს საქართველოში შეიქმნა სახელმწიფოს ბალანსზე არსებული საავადმყოფოთა სექტორის რესტრუქტურიზაციის ფონდი. ამ ათწლიანი გეგმის მიხედვით, სახელმწიფოს უნდა გაეყიდა ამორტიზებული ჰოსპიტები და ამ გზით, უნდა გათავისუფლებულიყო იმ ქარბი რესურსისაგან, რომელიც მას საბჭოთა კავშირის შემდეგ დარჩა. გეგმის შესრულების შემდეგ, 20 000 საწლიდან 13 000 უნდა დარჩენილიყო.

გაყიდებიდან შემოსული თანხა საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი დაგროვებოდა. ეს თანხები მოხარებოდა დარჩენილი საავადმყოფოების რეპილიტაციასა და ახალი ტერიტორიის მიმდევად. ეს თანხები მოხარებოდა დაგროვებოდნა.

საციების გადახდას.
ამ დროს საავადმყოფოების ნაწილი პირდაპირი გაყიდვის გზით გადაეცა სამედიცინო კოლეგიუმის შემსაც. ასე მოხდა, მაგალითად, ჩაჩავას სახელმწიფის ინსტიტუტის შემთხვევაში.

2004 წლიდან კი, ჯანდაცვის რეფორმასა და ჰოსპიტალური სექტორის რესტრუქტურიზაციაში მონაბრუნებული და გადამდებარებული დანიშნულებით გამოიყენებინათ საავადმყოფოს შენობა, თემები შეიცვალა. თუ მანამდე მოელ ამ პროცესს სახელმწიფო უწევდა მენეჯმენტს, ახლა გარკვეული დასტესისმებრობა კერძო სექტორზეც გადანაიღლდა.

ამ ახალ პრინციპზე დაყრდნობით, 2007 წელს ჰოსპიტალური სექტორის განვითარების ახალი გენერალური გეგმა დამტკიცდა. ის, პირველ რიგში, ერთ დღი მასურინ პროექტს - 100 ახალი და მრავალპროფილური

საავადმყოფოს შექმნას ითვალისწინებდა. გეგმის მიხედვით, საავადმყოფოთა დიდი ნაწილის შენებლობა 3 წლის ვადაში უნდა დასრულებულიყო. ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები შენობებს იყიდებნენ არა ნაღდი ფულით, არამედ - ვალდებულებით. მათ შეეძლებოდათ, ნებისმიერი დანიშნულებით გამოიყენებინათ საავადმყოფოს შენობა, თემები სანაცვლოდ უნდა აეშენებინათ ახალი საავადმყოფო.

თუმცა, ამ გეგმის შესრულებას 2008 წლის რესტრაქტურიზაციის მიზანი და ფინანსური კრიზისით დაემთხვა. ბანკ უბრავდა სესხების გაცემა შეაჩერებს. ამის გამო, კონკურსში მონაწილე კომპანიების ნაწილმა მშენებლობაზე უარი თქვა. საბოლოო ჯამში, „ასი საავადმყოფოს“ პროექტი ჩავარდა. 2010 წელს კი ჰოსპიტა-

ლური სექტორის განვითარების გეგმა კიღევ ერთხელ შეიცვალა და ამგვერად საავადმყოფოების პანიკება კერძო სადაზღვევო კომპანიებს დაევალათ. ახალი სტანდარტული საავადმყოფოების ამენება გახდა მთავარი პირობა სადაზღვეოებისთვის, რომ ისინი უმწეოთა დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულყოფილი იყო. ამ გეგმის მიხედვით, 2011 წლის ბოლომდე ათმა სადაზღვევო კომპანიამ საქართველოს სხვადასტური და აშენება ამ სექტორის 46 საავადმყოფო უნდა ააშენოს. მათ ანიღლის მუშაობა უკვე დაწყებული აქვს. „ლიბერალთან“ საუბარში 4 სადაზღვევო კომპანიის ნაწილმა მაღალი აცხადების, რომ ვადებში ჩაეტევიან და წლის ბოლოს სახელმწიფოს თანამედროვე სტანდარტული მქონე კლინიკებს ჩააბარებენ.

მთავარი თემა

ესაა სიცოცხლესთან დაკავშირებული პროცესი, რომლის დროსაც მარტო საბაზრო ურთიერთობები არ მუშაობს“, – ამბობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს კოორდინატორი, ამირან გამყრელიძე და ვარაუდობს, რომ თუკი სახელმწიფო მთელ სექტორს თავისი ნებაზე მიუშვებს, ამას ფასების სწრაფი ზრდა მოჰყვება. „ყველაზე ძლიერ ქვეყნებშიც კი არსებობს ფასების რეგულაცია სამედიცინო სექტორში, ეს ასეა თავისუფალი ეკონომიკის პირობებშიც კი“, – ამბობს გამყრელიძე.

თუმცა, შეიძლება, პირიქითაც მოხდეს – ფასები დიდად არ გაიზარდოს; ხოლო თუ კლინიკების ახალი მფლობელები გაითვალისწინებენ მოსახლეობის გადახდის უნარს და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, შესაძლოა, მომსახურებაზე ფასების ხელოვნურად დაწევაც კი მოუზდეთ. ამას შედეგად პაციენტების მომსახურების ხარისხის გაუარესება მოჰყვება.

როცა საავადმყოფოში მომსახურების ფასები მის თვითლირებულება-


ზე ნაკლებია, თუნდაც საუკეთესოდ აღჭურვილი კლინიკაც, რამდენიმე წელიწადში იგივე ხარისხით მუშაობას ვეღარ გააგრძელებს. კარგი სერვისის ერთ-ერთი გარანტი ხომ ძვირადლი-რებული სამედიცინო აღჭურვილობის მუდმივი განახლებაა. მკურნალობიდან შემოსულ დამატებით რესურსებს კერძო კლინიკები სწორედ ამისთვის იყენებენ. თუ კლინიკას მსგავსი დამატებითი თანხა მომსახურებიდან აღარ დარჩა, გამოდის, რომ ის ვერც აპარატურის განახლებას და სერვისის გაუმჯობესებას შეძლებს, ეს კი უარყოფითად ისევ პაციენტების მომსახურების ხარისხზე აისახება.

ჯანდაცვის ხარისხი – ეს ბევრი პაციენტისთვის ბუნდოვანი ტერმინი – სინამდვილეში, მხოლოდ შეღებილი კედლები, განათებული დერეფნები, სუფთა თეთრეული, პალატაში ტელევიზორი, ყურადღებიანი მედდა და ახლად შეძენილი სამედიცინო აპარატურა არაა. ეს ხარისხის ის გარეგნული ნიშნებია, რისი შეფასებაც პაციენტებისთვის მეტ-ნაკლებად ადვილია. თუმცა, ხარისხის განმსაზღვრელი

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი თვითონ მკურნალობის პროცესია. ესაა ის, რისთვისაც პაციენტები საავადმყოფოში მიდიან.

ერთი წლის წინ, 31 წლის ქეთევანმა თბილისის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიულ კერძო სამშობიარო კლინიკაში საკეისრო კვეთით იმშობიარა. საპერაციო ბლოკიდან პალატაში გადაყვანის შემდეგ, ქათევანის სიცხემ აუწია. ექიმებმა ჭრილობა გახსნეს და დაადგინეს, რომ მაღალი ტემპერატურის მიზეზი ჭრილობაში შეჭრილი ინფექცია იყო. „ხუთი დღის განმავლობაში სიცხე 38-ზე ქვევით არ ჩამომსვლია. ბავშვს ვერ ვნახულობდი და ვითხოვდი, აეხსნათ, თუ რა მჭირს. გამიკეთეს სისხლის ანალიზი და აღმოჩნდა, რომ ცე-რეაქტიული ცილა, რომელიც ანთებითი პროცესებისა და სეფსისის დროს იმატებს, ჩემს ანალიზში კატასტროფულად მაღალი იყო“, – იხსენებს ქეთევანი და ამბობს, რომ სამშობიაროში მაინც ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე, საიდან აღმოჩნდა მის ორგანიზმში ეს ინფექცია. „რაც მთავარია, გამოწერის შემდეგ ანკეტა გამომატა-

ეს პრიზის საუკამყოფო



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით, 2010- 2011 წლებში 13 სამედიცინო დაწესებულების პრივატიზაცია მოხდა. მათგან ათი კლინიკა ყოფილი არამანაციის, თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზეა. სიახლი ასევე შედის: იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი, ჩაფიძის სახელობის

ცენტრი და რეფერალური ჰოს-პიტალი.

2010 წელს ვე სახელმწიფომ გაასხვისა ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი. ის პირდაპირი მიყიდვის გზით გადაეცა კანალურ კომპანია Pegasus Pharmaceuticals Group Inc.-ს. „პეგასუს“, რომლის ცენტრალური ოფისიც ვანკუვერში მდებარეობს, იმ კომპანიების გაერთიანებაა, რომლებიც ბიოტექნიკოლოგიური ნამღების შექმნასა და მასპერაციურ კვლევებში მონაწილეობენ. კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მითითებულია, რომ „პეგასუს“ ის თანამდებობის ცენტრის განახლება-გაფართოებაში 20 მილიონ დოლარის ინვესტიციას ჩადებს. საბოლოოდ, უნდა შექმ-

ნას 600-სანოლინა სამედიცინო დაწესებულება, სადაც იქნება

ონკოლოგიის ცენტრი, კარიოლოგიური კლინიკა, მეტაბოლური დაავადებების ცენტრი, კლინიკა უფროსი ასაკის მენტალური პროცედურების მქენე ადამიანებისთვის და ასევე სილამაზისა და კვლევითი ცენტრებიც. 2011 წლის მაისში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარიგება შედგა. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო ელე-ქტრონულ აუქციონზე 10,450,000 ლარად შეისყიდა ქართულმა კომპანიამ, შეს „ვი ებ სი“-მ, რომელიც სამედიცინო რეესტრში აუქციონში დარღვევის ტრანსფორმირდა. კომპანიის მისამართი მისი

დამფუძნებლის საცხოვრებელი სახლის მისამართის ემთხვევა.

ახალი მფლობელის შესახებ იაშვილის კლინიკში, ვერჯივრობით, არაფერი იციან. ინგესტორების უმეტესობას სახლმწიფო ავალდებულებს, რომ სამედიცინო დაწესებულებებს პრიფილი 7 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდეს. სახელმწიფო ასევე წინასწარ განსაზღვრავს საავადმყოფოების მშენებლობის სტანდარტებს, რაც თავის მხრივ, გულისხმობის მისამართი კომპანია მაქსიმალურად უნდა მოერგოს სამედიცინო მომსახურების თანამედროვე მოთხოვნებს. მშენებლობის პროცესის შემოწებების თავისი თავიზე ჯანდაცვის სამინისტრო იღებს.

ნეს, რომელშიც ნახსნებიც კი არ იყო ის, რაც მშობიარობის შემდეგ თავს გადამხდა. არსად ეწერა არც იმ ანტიპოტიკის დასახელება, რომელსაც ლიტრობით მისხამდნენ“.

„პაციენტი ვერ შეამონმებს თავისი ჯანმრთელობის მეურნალობის ხარისხს ისე, როგორც მაგალითად, მაღაზიაში შევა და ფეხსაცმელს მისი ხარისხის მიხედვით აარჩევს. პაციენტმა თუ სუფთა, თეთრ ხალათში ჩაცმული, მომღიმარი ექიმი ნახა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას აუცილებლად კარგად უმკურნალებენ“, – ამბობს ჯანდაცვის ექსპერტი ირაკლი სასანია და აღნიშნავს, რომ პოსპიტალური სექტორის პრივატიზაციისას მნიშვნელოვანი სწორედ საავადმყოფოებში ხარისხის კონტროლია. ამ პროცესში კი სახელმწიფო უშუალოდ უნდა ჩაერიოს. მით უფრო, რომ ხარისხის შესაფასებლად წინასარ დადგენილი სხვადასხვანაირი კრიტერიუმი არსებობს. მაგალითად, ესაა გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაზრდილი ან შემცირებული პაციენტთა სიკვდილიანობა, საავადმყოფოში გავრცელებული შიდა ინფექციების დონე და ერთხელ განკურნებული პაციენტების საავადმყოფოში შებრუნების მაჩვენებლები.

ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ საავადმყოფოებს სწორედ ამ კრიტერიუმებით ამონმებენ. თუ-მცა, კვლევებით დასტურდება, რომ მაგალითად, შიდა ინფექციების დონე საქართველოს კლინიკებში ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.

„ლიბერალთან“ საუბარში ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, მიხეილ დოლიძე საავადმყოფოებში პაციენტების მომსახურების ხარისხის კონტროლის მექანიზმად ასახელებს შარმან შექმნილ მედიაციის სამსახურს. ეს უწყება აგვარებს დავებს სადაზღვევო კომპანიას, პაციენტსა და საავადმყოფოებს შორის.

დოლიძის თქმით, 2010 წლის დეკემბერში შეიცვალა ის სანებართვო პირობებიც, რაც სამედიცინო დაწე-



კლინიკა „გული“ თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე



ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი

ფოტოები: ფინანსთა მინისტრი

„პაციენტი ვერ შეამონმებს თავისი ჯანმრთელობის მკურნალობის ხარისხს ისე, როგორც მაგალითად, მაღაზიაში შევა და ფეხსაცმელს მისი ხარისხის მიხედვით აარჩევს. პაციენტმა თუ სუფთა, თეთრ ხალათში ჩაცმული, მომღიმარი ექიმი ნახა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას აუცილებლად კარგად უმკურნალებენ“, – ამბობს ჯანდაცვის ექსპერტი ირაკლი სასანია.

მთავარი თემა



ფოტოები გვიანდებული კორსოს მიერაცხვაში

■ **მედპერსონალი პრივატიზაციის პროცესს შერეული განწყობით ხვდება. ახალ მფლობელებზე ინფორმაციის ნაკლებობისა და წარსული, ჩავარდნილი პროექტების გამო, ბევრი ექიმი ამ სიახლეს შეიშით ელის. თუმცა, კერძო სექტორში გადასული ექიმები პრივატიზებულ კლინიკაში მუშაობის რამდენიმე მთავარ უპირატესობას უკვე გამოყოფენ.**

სებულების ფუნქციონირებისთვისაა საჭირო. „ახლა მათთვის განერილი სტანდარტები შედეგზე ორიენტირებული გახდა. ჩვენ აღარ ვინტერესდებით, როგორ მიაღწევენ კლინიკები ამ შედეგს, მთავარია, მათ შეასრულონ წინასწარ განერილი პირობები, მაგალითად ის, რომ რეანიმაციის ყველა ბლოკში ჰაერი ყოველ საათში ერთხელ 90 პროცენტით სუფთავდებოდეს“, – განმარტავს მიხეილ დოლიძე.

თუმცა, არასამთავრობო კვლევითი საგანმანათლებლო ორგანიზაცია „პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის“ (PSI) ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დასკვნაში წერია, ახალი ცვლილებები ჰოსპიტალურ სექტორში არასრულყოფილია. მაგალითად, მასში მაინც არაა გათვალისწინებული „სამკურნალო პროცესის ხარისხის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ასპექტები: სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციების (გაიდლაინების) და დაავადებათა მართვის სტანდარტების (პროტოკოლების) გამოყენების აუცილებლობა“.

ხარისხისა და ფასების ცვლილებასთან ერთად, ჰოსპიტალური სექტორის მასობრივი პრივატიზებისას, შეიძლება ცალკეული სერვისების გაქრიბის საფრთხეც გაჩინდეს.

ამაზე მიანიშნებს მოქმედი კერძო კლინიკების პრაქტიკაც. მაგალითად, კლინიკა „კურაციონში“ ამბობენ, რომ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი სერვისი დატოვონ, ორი მაჩვენებლის მიხედვით იღებენ: რამდენად ხარისხიანად შეუძლიათ ამ მომსახურების განვევა და როგორია ამ სერვისზე მოთხოვნა. სავარაუდოდ, კერძო საავადმყოფოების უმრავლესობა სერვისებს სწორედ ამ პრინციპით აირჩევს, რაც ნიშნავს იმას, რომ საავადმყოფოებისთვის ნაკლებად მომგებანი სერვისები შემცირდება, ან მთლიანად გაქრება მაშინ, როცა ამ სერვისებით სარგებლობა მოსახლეობის თუნდაც მცირე ნაწილს კვლავაც დასჭირდება.

ჯანდაცვის ექსპერტი ირაკლი სასანია იმ სერვისების შემცირების

რისკზეც საუბრობს, რომელთაც საწყის ეტაპზე დიდი ინვესტიცია სჭირდებათ. კერძო მენეჯმენტში გადასულმა კლინიკებმა კი შეიძლება, ამ თანხის გაღებაზე უარი თქვან, რადგან ურჩევნიათ, მეტი მოგება ნაკლები დანახარჯით ნახონ.

ჯანდაცვის სამინისტრო სერვისების გაქრობის საფრთხეს ვერ ხდავს, რადგან „ადამიანები ავად გახდომას არ შეწყვეტენ“. თუმცა, თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე დაავადების მკურნალობა ბიზნესისთვის წამგებიანი გახდება და სერვისების ნუსხიდან ამოღებას დაუპირებენ, სახელმწიფო მხოლოდ ამ შემთხვევში ჩაერევა. „მაგალითად ავილოთ ჰემოფილია, რომელიც იშვიათი დაავადებების სახელმწიფო პროგრამაში შედის. შეიძლება,

ეს დაავადება საზოგადოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდეს, მაგრამ სახელმწიფო ინდივიდუალურ დონეზე დაეხმარება ასეთ ადამიანს“.

თვითონ მედიერსონალი პრივატიზაციის პროცესს შერეული განწყობით ხდება. ახალ მფლობელებზე ინფორმაციის ნაკლებობისა და ნარსული, ჩავარდნილი პროექტების გამო, ბევრი ექიმი ამ სიახლეს შიშით ელის. თუმცა, კერძო სექტორში გადასული ექიმები პრივატიზებულ კლინიკაში მუშაობის რამდენიმე მთავარ უპირატესობას უკვე გამოყოფენ. რეანიმატოლოგი მერაბ მეცხოვრიშვილი დაახლოებით 20 წელია, უროლოგის ცენტრში მუშაობს, რომელიც კერძო მფლობელობაში ორი წლის წინ გადავიდა. მეცხოვრიშვილი ამბობს, რომ კერძო მფლობელის ხელში საავად-

მყოფოს ფინანსური მართვა უფრო ეფექტუანი გახდა. „ადრე თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა, რადგან ფულს მაინც სახელმწიფო გვაძლევდა. ექიმები წამლებსაც მეტს წერდნენ, ამის კონტროლზე კი არავინ ზრუნავდა. ახლა კი, რადგან ეს ყველაფერი კერძო მფლობელისაა, ელექტროენერგიასაც, წყალსაც და სამედიცინო რესურსებსაც უფრო რაციონალურად ვიყენებთ“, – ამბობს მეცხოვრიშვილი.

საბოლოო ჯამში, საავადმყოფოების პრივატიზაცია გარდაუვალი პროცესია. მთავარი ის არის, როგორ მომსახურებას შესთავაზებს კლინიკა პაციენტს, როგორ გაკონტროლდება ხარისხი კლინიკებში და რამდენად ხელმისაწვდომი გახდება მკურნალობის ფასი საშუალო ფენისთვის? 

ჩატარება

ახალი გაღაზია „საქართველოს დვინოები“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის DUTY FREE ზონაში



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და ხელშეწყობით ATU Duty Free გეგმავს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განთავსებული DUTY FREE-ის მაღაზიებიდან ერთ-ერთი აქციოს ღვინის მოყვარულებისა და ექსპერტების შეხვედრის ადგილად, სადაც მათ საშუალება ექნებათ დატყპნენ განუმეორებელი ქართული ღვინით.

DUTY FREE-ს მაღაზიაში სახელწიფით „საქართველოს ღვინოები“, რომელსაც 205 კვადრატული მეტრი ფართობი დაეთმობა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული ცხრაზე მეტი ღვინის მნარმანებელი კომპანიის მიერ ყურძნის ადგილობრივი ჯიშებისაგან, როგორიცაა საფერავი, რქანითელი, მწვანე და სხვა დამზადებული

ასზე მეტი სახელის ღვინის ბრენდი გამოიფინება. მგზავრებს საქართველოდან გამგზავრებისას არამარტო შესანიშნავი საჩუქრების შექნის საშუალება მიეცემათ, არამედ აქვე შეეძლებათ ღვინის დაგემოვნებაც. ATU Duty Free-ს მაღალგვალიფიური გაყიდვების ჯგუფი კი მათ სწორი არჩევანის გაკეთებაში დაესმარება ამა თუ იმ ღვინის სახელმისამართის და არამატულ თვისებებსა თუ შემადგენლობაზე ინფორმაციის მიწოდების სახით ღვინოების დაგემოვნება, რასაც რეგულარული ხასიათი ექნება განაპირობებს მათი გამოცდილებისა და ცოდნის კიდვე უფრო გამდიდრებას ქართული ღვინის ნაირსახეობებში. გარდა ამისა, მაღაზია „საქართველოს ღვინოები“ მგზავრებს საშუალებას მისცემს დაგემოვნონ ქართული ცქინიალა ღვინოების ფართო ასორტიმენტი.

ATU Duty Free ასევე ქართული ღვინის დახვეწილ კოლექციას ყოველწლიურად 20 მილიონზე მეტ მგზავრს შესთავაზებს სტამბულის საერთაშორისო აეროპორტის Duty Free-ს მაღაზიებში. ATU Duty Free უბრანველყოფს უპატა ვაჭრობას თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში. თბილისის აეროპორტში ფუნქციონირებს სამი ხელო ბათუმის აეროპორტში ერთი Duty Free-ის მაღაზია.

კომპანია ATU დაარსდა 2000 წელს როგორც ერთობლივი საწარმო ტავ პოლიტიკა, Unifree Duty Free-სა და Gebr. Heinemann-ს შორის. ATU Duty Free თბილისის და ბათუმის აეროპორტების გარდა Duty Free-ს მაღაზიების აპერიტივას ახორციელებს სტამბულის, იმირის, ანკარის საერთაშორისო აეროპორტებში, ტუნისის ენფიდას აეროპორტში, მაკედონიის სკოპიესა და ორჩიდის აეროპორტებში და რიგის საერთშორისო აეროპორტში.



სოფელი ჩუმათელეთი სტიქიის შემდეგ, ივნისი 2011

აზოვი რეპორტი ჰაკალა

სტიქი

ტაბაიის ცლაცხილი

რიკოთის უღელტეხილზე მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა. შესაძლებელი იყო თუ არა ამ შემთხვევის პრევენცია?

ცირკა გვასალია

„ამ სიმაღლის რომ გახდა წყალი“, – იხსენებს 62 წლის ნუგზარ კორკოტაძე და საუთარ მხარზე უთითებს, – „მაგიდაზე ავედი, ვიფიქრე, ამდენი რა წყალი იქნება, ოთახს ხომ არ გაავსებს-მეტქი. მაგრამ ოთახი თანდათან იცხობდა. დარჩა პატარა ადგილი ჭერამდე. ერთა-დერთი ფანჯარა წყლის მოტანილმა ქვე-ბმა გაავსო. შუქი ჩაქრა და დაბნელდა.

ამ დროს წყალმა რაღაც მორი მოიტანა, ერთი ხელით მას მოვეჭიდე და მეორეთი სახურავს. მალე, წყალმა სახურავს მიაღწია და გაანგრია.“

18 ივნისს, საღამოს 6 საათი იქნებოდა, როცა რიკოთის უღელტეხილზე კოკისპირული წვიმა დაიწყო. ბატონი ნუგზარი ყვება, რომ რესტორან „რიკოთში“, სადაც ის მეუღლესთან ერთად

მუშაობდა, ამ დროს რამდენიმე ათეული თანამშრომელი და 5 კლიენტი იმყოფებოდა. წვიმა ისეთი ინტენსიური იყო, რომ წყალმა მალე შეაღწია ოთახში, სადაც სტუმრები სადილობდნენ. ნუგზარ კორკოტაძის თქმით, ის სწორედ ამ დროს მიხვდა, რომ რაღაც საშინელება ხდებოდა. სასწავლი შევარდა სასადილოში და იქ მყოფებსაც უთხრა, სასწრა-



ფოტოები: ერთობის გამოცემა

„ოთახი თანდათან ივსებოდა. დარჩა პატარა ადგილი ჭერამდე. ერთადერთი ფანჯარა წყლის

მოტანილმა ქვებმა გაავსო. შუქი ჩაქრა და დაბნელდა. ამ დროს წყალმა რაღაც მორი მოიტანა, ერთი ხელით მას მოვეჭიდე და მეორეთი სახურავს. მალე, წყალმა სახურავს მიაღწია და ჩაანგრია“.

ფოდ გაცლოდნენ იქაურობას.

წვიმა რამდენიმე საათს გაგრძელდა. უკვე გვიან ლამით, მოგლევილი ხეებით, ქვა-ლორლით, მდინარის ნატანით თითქმის დაფარული რესტორან „რიკოთის“ თანამშრომლები ერთმანეთს და სტუმრებს ნანგრევებში ეძებდნენ. იმ ლამეს რიკოთის უღელტეხილზე უკარმა ლვარცოფმა 6 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. 4 ცხედარი მაშინვე იპოვეს, 2 ადამიანი რამდენიმე დღე დაკარგულად ითვლებოდა. მათ შორის, ნუგზარ კორკოტაძის მეუღლეც, 56 წლის ციური კორკოტაძე.

უკვე მეორე დილით, რესტორან „რიკოთის“ სიახლოეს ბევრად მეტი ხალხი ტრიალებდა, ვიდრე სტიქიის დროს. თბილისელი უურნალისტების კამერები აფიქსირებდნენ ბუნებრივი კატასტროფის ადგილს: წვიმიან ამინდში, ყვითელ საწვიმარში ჩატარდა, თბილისელი და შიდა ქართლელი მაშველები ჩაპნელებული და ქვა-ლორლით თითქმის პირამდე ავტებულ რესტორნის ინტერიერში განათების მოწყობილობას ამონტაჟებდნენ. ათეულობით ადგილობრივი მოსახლე ნიჩბებით მოვიდა, რათა იქაურობა გაესუფთავებინა. ტერიტორია დაახლოებით

4 მეტრით მაღლა იყო აწეული წყლის მიერ მოტანილი ქვა-ლორლით. იქვე მდგარი ორი მინახაპია ადგილს ასუფთავებდა. ორ საათში, ბუღლოზერიც მოვიდა, რესტორნის დარჩენილი ნაწილის დასაშლელად, ნანგრევებში დაკარგული ინი ადამიანის პოვნის იმედით.

„აქ წებისმიერ ადგილას შეიძლება გარდაცვლილი იპოვონ“, – მეუბნება ერთ-ერთი ადგილობრივი, რომელიც სასტუმროსთან ბარით ხელში მოვიდა, რომ მეზობელს მეუღლის პოვნაში დამარცხოდა.

უკარმა ლვარცოფმა სულ ოთხი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, დაანგრია 90-იანი წლების ბოლოს იქვე აშენებული რესტორანი და დააზიანა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი გზა. სტიქიამ აზარალა შიდა ქართლის სიფლები: ფონა, ჩუმათელეთი, იტრია და სურამი.

სოფელ ჩუმათელეთს, რომელიც რიკოთის რესტორნიდან დაახლოებით 3 კილომეტრშია, ლვარცოფი ნაკლებად შეეხო, თუმცა მაინც დააზარალა: ზოგს უცებ მოვარდნილმა წყალმა საქონელი წაართვა, ზოგს – ათობით შინაური ფრინველი, უმრავლესობას გაუნადგურა

საუცხომოაიღო ბალაზილება

დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი რიკოთის უღელტეხილის გზის აღდგენითი სამუშაოები უწყვეტრეული მიმდინარეობს.

გზაზე გაწმენდითი სამუშაოები უკვე დასრულებულა, ინერტული მასალების მოპოვების მიზნით, მიმდინარეობს აფეთქებითი სამუშაოებიც, რითაც დაზიანებული უპნები უნდა აღდგეს.

მსუბუქი ავტომანქანები საჩხერის გავლით მოძრაობენ, დასავლეთიდან აღმოსავლეთში მიმავალი ტრაილერები კი – რიკოთის შემოვლითი გზით.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილუ ნუგზარ გასვანი ამბობს, რომ 27 ივნისისთვის იგეგმება ორმხრივი საავტომობილო მოძრაობის აღდგენა რიკოთის შემოვლითი გზის გამოყენებით.

ივლისის პირველი რიცხვებისთვის კი, რიკოთის უღელტეხილი პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდება. აღნიშნული მონაკვეთის სრული სახით აღდგენას 14 მილიონი ლარი დასტირდება.

გარემოს დაცვა



დაზიანებული რესტორანი „რიკოთი“, 20 ივნისი 2011

კი, როგორც გეოლოგი მერაბ ჩალათაშვილი ამბობს, საკმაოდ „რთულია“ იქიდან გამომოდინარე, რომ ხეობების ფერდების დახრილობა დაახლოებით 70-80 გრადუსია.

„ქანები ინტენსიურად იფიტება და არამდგრადია ეროზიის მიმართ“, – ამბობს გეოლოგი მერაბ ჩალათაშვილი, რომელიც გეოლოგების იმ ჯგუფში შედიოდა, რომელიც პირველი მოვიდა ტერიტორიის დასათვალიერებლად. — „ტემპერატურული ცვლილებების გამო, კლდოვანი ქანი ზედაპირზე იფიტება, იშლება და გრავიტაციით ეს ქანები კალაპოტში ჩამოდის. როცა ინტენსიური წვიმია, ირეცხება, ადვილად იძრის და მოაქცის წყალს. ფერდობებზე გაშენებული მცენარე შემაკავებელია, მაგრამ მცენარეს იმდენად მოშლილი აქვს ფესვთა სისტემა, რომ 50 წლიანი ხეები კალაპოტში ჩაყრილი.“

როგორც გეოლოგი ამბობს, სტიქიის შემდეგ ხევის ვანრო კალაპოტის ყოველ 50 მეტრში ასეთი ბუნებრივი მასა იყო გაჩერილი: მდინარის მიერ მოტანილი ქვა-ლორი, მოგლეჯილი ხეები და ნაშალი ქანები. ჩალათაშვილი ამბობს, რომ თუ კალაპოტის გაწმენდა დროზე არ მოხდა, მსგავსი ღვარცოფული მოვარდნები, თუმცა ნაკლები მასტების, კიდევ არის მოსალოდნელი. საფრთხეს ქმნის გაწყლოვანებული, დატენარენებული, ზოგჯერ წყლით გაჟღენთილი ფერდები, რომელთა მდგრადობა შესუსტებულია და ასეთი წვიმის დროს შეიძლება ისევ ჩამოშალოს.

გეოლოგების რეკომენდაციით, ერთადერთა, რითაც მომავალი სტიქიის თავიდან არიდება შეიძლება, კალაპოტის გაწმენდა. კალაპოტი ისე უნდა გასუფთავდეს, რომ წყლის გამტარიანობა გაიზარდოს.

გეოლოგი მერაბ ჩალათაშვილი ფიქრობს, რომ ბუნებრივი კატაკლიზმების ზარალის მხრივ სიტუაცია კადვა უფრო დამძიმდა, მას შემდეგ რაც სახელმწიფო გეოლოგიური სამსახური გაუქმდა. ამ სამსახურის არსებობისას ყველა რეგიონს თავისი, ადგილზე მოშემავე გეოლოგი ჰყავდა, რომელიც სავალის ტუალეტი

■ 2004 წლიდან გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების დაფინანსება მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ 2004-ში ასეთი საქმიანობისთვის 282 ათასი ლარი გამოიყო, 2008 წელს ეს თანხა 30 ათასი ლარი იყო.

ნათესავი და ბევრს – საჭირო საშინაო ტექნიკა.

ჩუმათელეთელი ნინო კაკიაშვილი, მეუღლესთან ერთად, ხის სახლში ცხოვრობს, რომელიც მიწიდან დაახლოებით 1 მეტრზე, ხის ფეხებზე დგას. სახლის ქვემოთ, ხელოსანი მეუღლე, სხვადასხვა ხელსაწყოს: ჩაქუჩის, სახერხს ინახავდა. ყველაფერი წყალმა ნაიღო. იქვე გაშენებული ბოსტნის – ლობიოს, ხახვის, ნივრის და ქინძის ადგილის ახლა მოშიშვლებული ტრიალი მინდორია.

„ისე მალე დაიწყო წვიმა, რომ ვერც მივხვდით, რა ხდებოდა“, – იხსენებს ქალბატონი ნინო.

მათი სახლი მდინარე სურამულას მარჯვენა მხარესაა. როცა მდინარე ნაპირებიდან გადმოვიდა და სახლის საძირკვლამდე მოაღწია, კაკიაშვილები მეორე ნაპირზე ხის გრძელი კიბით ერთი საათის შემდეგ მოსულმა მაშველებმა გადაიყვანეს.

წყალმა ნაიღო სოფელ ჩუმათელეთის მცხოვრებ ეთერ კორკოტაძის ტუალეტი

და საქათმე, შიგ მსხდომი 10 ქათმით.

„საღამოს 8 საათი იქნებოდა. კოკისპირულად წვიმდა. მერე უცეპ, ზღვასავით აბობოქრდა წყალი, საქათმე მოგლიჯა და წაიღო“, – იხსენებს ქალბატონი ეთერი.

მოვარდნილმა წყალმა ამოძირკვა დიდი კაკლის ხეები, მოთხარა ბოსტნები და ხეხილი. ჩუმათელეთელ ქალბატონ ნონა ჩადუნელს სახლი წყლის მოტანილი ქვა-ლორითა და დიდ ხებით აქვს ჩახერგილი და დღემდე ვერ ახერხებს შიგნით შეღწევას.

სტიქიის ადგილას 20 ივნისს უკვე მუშაობნენ ახლად შექმნილი ბუნებრივი რესურსების სააგენტოსა და გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგები, რომლებმაც სიტუაცია ადგილზე შეისწავლეს.

ხეობა ნარსულში მკაცრი სტიქიური მოვლენებით არ ხასიათდებოდა. რიკო-თულა, რომელიც რუკებში მდინარედაც კი არაა მოხსენიებული, მდინარე სურამულას მარჯვენა შენაკადია. რელიეფი

„აქ გეოლოგს, ალბათ, ოცი წელი არ გაუვლია. თავისი დროზე რომ ყოფილიყო დაფიქსირებული, ნახავდა ის გეოლოგი და იტყოდა, რომ აი, აქ ეს გასახმენდია. ანუ გაფრთხილება მაინც იქნებოდა“, – ამბობს ჩალათაშვილი.

სახელმწიფო გეოლოგიური სამსახური, დაფინანსების სიმცირის გამო, 2004 წელს გაუქმდა. სამსახურის 380 გეოლოგიდან გარემოს დაცვის სააგენტოს გეოლოგიურ დეპარტამენტში მხოლოდ 30 მათგანი გადავიდა. სწორედ ისინი შეისწავლიან ქვეყნის გეოლოგიურ სიტუაციას. მიღებული შედეგებით, გეოლოგები ბიულეტენს ადგენენ, სადაც მითითებულია ქვეყნის გეოლოგიურად ახელი წერტილები, რომლებიც რისკის კატეგორის მიხედვით არის რანჟირებული.

„რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ ვწვდებით. საქართველოს ტერიტორია 69

ათასი კვადრატული კილომეტრია და მას მთლიანად ვერ მოვიცავთ“, – ამბობს ემილ წერეთელი, რომელიც მასინდელ სახელმწიფო გეოლოგიურ სამსახურს ხელმძღვანელობდა და ახლა გარემოს ეროვნულ სააგენტოში მომუშავე გეოლოგებს ხელმძღვანელობს.

2004 წლიდან გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების დაფინანსება მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ 2004-ში ასეთი საქმიანობისთვის 282 ათასი ლარი გამოიყო, 2008 წელს ეს თანხა 30 ათასი ლარი იყო.

„ეს თანხები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს,“ – ნათქვამია ანგარიშში, რომელიც ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ 2008 წელს შეადგინა.

„მწირი დაფინანსების გამო გეოლოგები მხოლოდ იმ ადგილას გადიან, სადაც ხალხი მათ გამოიძახებს, პროგრამული მონიტორინგი კი არ გააჩნიათ“, – ამბო-

ბს რეზო გეთიაშვილი, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენელი.

ფინანსების სიმწირის გამო, თითქმის არ არსებობს ხალხის ინფორმირების და წინასწარი მომზადების პროგრამები, რომელიც სტიქიის მართვის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.

18 ივნისს მოვარდნილი ღვარცოფის შედეგად დაზარალებულია ხაშურში, ჩუმათელეთსა და სურამში მცხოვრები 1500-მდე ოჯახი. პრეზიდენტის რწმუნებულს – ზურაბ არსოშვილის თქმით, შეიდა ქართლის ადგილობრივი მთავრობა, აქტიურად მუშაობს ხევის განმეოდაზე, რომელიც ჯერ კიდევ ჩახერგილია.

„დიდი ნაგავია ჩამოტანილი, ზუსტად არ ვიცით, სამუშაოები როდის დასრულდება. მუშაობს როგორც ცოცხალი ძალა, ისე ტექნიკაც“, – აცხადებს არსოშვილი. **¶**

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 505 955



ბიზნესის პარსონალური რადიო

Commersant.ge



ფოტო ლეიტონ კარლისონი

მსხვილი ჰესები

ბალასახის მოცოლინი

საბჭოთა პერიოდში შეჩერებული მსხვილი ენერგეტიკული პროექტი – ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა – კვლავ აქტუალური ხდება. ადგილობრივი მოსახლეობა კი გადაწყვეტილების მიღების პროცესს მიღმა რჩება.

ცირკა გვასალია



ნამახვანის ჰესის აშენების საკარაულო ადგილი

80 წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მდინარე რიონის აუზში გაშენებული სოფლის, ქვემო ონჭების მცხოვრებლებმა პირველად გაიგეს, რომ რიონზე, მათი კარ-მიდამოს ადგილას, პიდროლექტროსადაგურის აშენება იგემებოდა. ნამახვანის ჰესი – ასე დაერქმეოდა კაშალის, რომელსაც საბჭოთა საქართველოს ელექტრომარკეტის მიერ და დაგინდებოდა.

„მახსოვეს, სკოლაში ცანავლობდი, ქალაქიდან რომ გვესტურნენ სპეციალისტები.

აღნერაზე იყვნენ, გარემოს სწავლობდნენ. ადგილობრივებსაც შეხვდნენ, ბოლოს ჩემს ლეკვით ერთად ფოტო გადამიღას“, – იხსენებს ქვემო ონჭების თემურაზ მანაგაძე და ამბობს, რომ მაშინ პირველად გაიგო, მის რჯახსა და თანასოფლელებს, დაგეგმილი მშენებლობის გამო, სხვაგან გადასახლება რომ მოუწევდათ.

თემურაზ მანაგაძე ახლა 57 წლისაა, მაგრამ იმ ადგილას, სადაც ჰესის აშენება მის ბავშვობაში დაიგეგმა, ჯერაც ხელუხლებელია პატარა სოფელი, ქვემო ონჭები. მშენებლობა ათწლეულების შემდეგაც არ დაწყებულა. სწორედ ამიტომ ყველაზე მეტად, რაც ამ სოფელში იგრძნობა, ადგილობრივების მოლოდინია: თემურაზ მანაგაძე დიდ სახლს იმიტომ ვერ აშენებს, რომ ჰესის მშენებლობის ეშინა – ვაითუ, ერთ დღეს მართლაც დაიწყონ კაშხლის შენება, ჩვენ გასახლებაში მოვყევთ და შრომაც წყალში ჩამეყაროსო.

ნამახვანის კაშხლის აშენების იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც საბჭოთა ენერგეტიკოსებმა მდინარე რიონის ელექტროენერგიის ნარმოებისთვის გამოყენება დაიწყეს. თუმცა მშენებლობის დაწყება რამდენჯერმე შეფერხდა. ბოლოს კაშხლის იდეა დღის წესრიგიდან 1990-იანი წლების დასაწყისში მოიხსნა, როცა ორგანიზაცია „მწვანეებისა“ და მათი ლიდერის, ზურაბ უგვიანის კამპანიის შედეგად, ხელისუფლებამ დიდი კაშხლების, მათ შორის სუდონებესისა და ნამახვანის ჰესების აშენებაზე უარი თქვა. ამის შემდეგ ეს თემა მთელი 1990-იანი წლების განმავლობაში – მხვავე ენერგეტიკული კრიზისის პერიოდშიც კი – აღარ წამონებულა.

2008 წელს კი საქართველოს ხელისუფლებამ ახალი ენერგეტიკული სტრატეგია დასახა და დიდი ენერგოპრესებით მსხვილი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გადაწყვიტა. გამოკვეწნდა იმ 80 მცირე და სამუალო პოტენციური სადგურის ნუსხა, რომელთა აშენებასაც სახელმწიფო ინვესტიციების სთავაზობდა. სწორედ ამ კონტექსტში, თითქმის ათწლიანი ფუმილის შემდეგ, კვლავ განახლდა სამ მასშტაბურ ენერგოპროექტზე საუბარი. ეს იყო სუდონის ჰესი და ონისა და ნამახვანის ჰესების კასკადი.

ნამახვანში სამი 450-მეტავატიანი ჰესის

მშენებლობის წინადადებით ორი წლის წინ თურქეთი კომპანიების ჯგუფი Nurol Energy Production and Marketing Inc. და SK E&C დაინტერესდა. დღეს სწორედ მათი გეგმების გამო ეუბნებიან რიონის ნაპირზე გაშენებული სოფლების მოსახლეებს, რომ მშენებლივ კარ-მიდამოდან აყრა ახლა უკვე დანამდვილებით მოუწევთ.

პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, თურქები სამი კაშხლის აშენებას გეგმავნ – ტემშის, ნამახვანისა და უნეთის. მათი აშენება კი ქვემო ონჭების სრულ და დანარჩენი სოფლების ნაწილობრივ დატბორვას გამოიწვევს. ის ადგილი, სადაც თემურ მანაგაძეს პატარა ხის სახლი და ერთგანყოფილებიანი სურსათის მაღაზია უდას, წყლით მთლიანად დაიფარება. იგივე ემუქრება თითქმის ყველა მის მეზობელს – 35 რჯახს. მთელ ამ ტერიტორიაზე, მშენებლობის დაწყების შემდეგ, ხეებიც გაიჩეხება და სახლებიც დაინგრევა.

სოფლიდან აყრის პერსპექტივა რიონის-პირა სოფლების ზოგ მცხოვრებს ერთადერთ გამოსავლად მიაჩნია. მაგალითად, სოფელ უონეთის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც რიონთან ახლოს ცხოვრობს, ყოველი გაზაფხულის მოსვლას შიშით ელოდება, რადგან ადიდებული მდინარე მათ კარ-მიდამოს ტბორავს. ამიტომ იმედი აქვთ, რომ კაშხლის პროექტის გამო კარგ კომპენსაციას მიიღებენ და უკეთეს ადგილას გადასახლდებიან.

თუმცა, არიან ისეთებიც, რომელებიც ამ პროექტს კატეგორიულად უპირისპირდებიან, მაგრამ წინააღმდეგობის განვითარების მიზანის სიტყვა რას შველის, თუ სახელმწიფომ ასე გადაწყვიტა“, – ამბობს გადასახლების აზრს ბავშვობიდან შეჩვეული მანაგაძე.

მას ყველაზე მეტად შექმნილ სიტუაციაში გაურკევევლობა აფრთხობს. გასახლების თითქმის მუდმივი პერსპექტივის მიუხედავად, იქაურებისთვის ნათლად არასდროს განუმარტავთ, თუ სად გაასხლებდნენ და როდის. თუმცა, ბოლოს სოფლის მცხოვრებლებს გამგებელმა აცნობა, რომ ქუთაისის გამგეობაში ნამახვანის ჰესის შესახებ საჯარო განხილვა გაიმართება. განხილვას კომპანიის ნარმომადგენლებიც დაესწრებიან და ადგი-

გარემოს დაცვა

ლობრივების კითხვებს გასცემენ პასუხს.

ირმა სულაძე სოფელ ნამახვაში ცხოვრობს და დათქმულ დღეს საჯარო განხილვაზე დასასწრებად კონკრეტული პასუხების მოსმენის მიედით მიდის. მან დაგენერილი შეხვედრის შესახებ თოთქმის შემთხვევით, ორგანიზაცია „მწვანე აღტრენატივის“ ნარმომადგენლისგან – დავით ჭაპაშვილისგან – შეიტყო. არც მისი სოფლისა და არც სოფელ მექენის მოსახლეობა გამგებელს წინასწარ არ გაუფრთხილებია.

ირმა სულაძე კაშხლის აშენებისა და გასახლების წინააღმდეგია მიუხედავად იმისა, რომ სახლი 5 წლის წინ ხანძარში დაეწვა და ორ შეილთან ერთად ახლა ერთოთაბიან ფარდულში ცხოვრობს: „აქჩემი მამა-პაპის სახლია. ანი როდის იქნება, მე რომ სხვა სოფელში წავალ, ხებს დავრგავ და ის მომენტობა?!“ – ამბობს ირმა სულაძე.

ინვესტორი კომპანიისთვის ადგილობრივების მსგავსი განწყობები, მეტ-ნაკლებად უკვე ცნობილია. თურქულმა მხარემ 2010 წელს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესადგენად კვლევა ჩატარა. ამ დოკუმენტის თანახმად, გამოიკითხული მოსახლეობის 82.7 პროცენტისთვის კომპენსაციის ყველაზე ხელსაყრელი ფურმა ნაღდი ფულია. კომპენსაციის არც ერთი ფურმა კი მისაღები არ არის მხოლოდ 1.3 პროცენტისთვის.

კვლევის თანახმად, კიდევ ერთი მოლოდინი, რაც 80 წლის განმავლობაში გადასახლების რეჟიმში მცხოვრებ მოსახლეობას აქვს, დასაქმებაა. მაგალითად, სოფელ ალპანაში მცხოვრებ 50 წლის ზაურ ფრუნძეს იმედი აქვს, რომ პროექტის დაწყების შემდეგ, დასაქმდება.

„ადგილობრივი, ლეჩეუმელები უნდა დასაქმდნენ და არა სხვები. მოიყვანონ თავიანთი ინჟინრები, მაგრამ ჩვენ შავ მუშად მაინც აგვიყვანონ. თუმცა, დღეში 10 ლარად არავინ იმუშავებს“, — ამბობს ის და საჯარო განხილვაზე წასვლის აპირებს.

ქუთაისის გამგეობის შენობაში, 10 ივნისს შეკრებილ 60-მდე ადამიანს ყველაზე მეტად კომპენსაციისა და დასაქმების თემები აინტერესებს.

მრგვალი მაგიდის გარშემო მსხდომი ენერგეტიკის სამინისტროსა და ინვეს-

ტორი კომპანიის ნარმომადგენლები კი სხდომას ეკოლოგიურ საკითხებზე მსჯელობით იჩინებენ. თურქი ბიოლოგი ნილია აუგოუნეი აუდიტორიას ინგლისურ ენაზე აცნობს გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ფირმა „ენკონის“ ანგარიშს გარემოზე ზემოქმედების შესახებ. კარგი თარგმანის მიუხედავად, მისი სპეციფიკური ტერმინებით გადატვირთული მსჯელობა ადგილობრივებისთვის მაინც გაუგებარი რჩება, ზოგი მთქანებას იწყებს და მრგვალი მაგიდის გარშემო შეკრებილებს არც უსმენს, ზოგი დარბაზიდან გასასვლელად ემზადება.

ფლორა და ფაუნა, მათი ჰაბიტატები, ჰაერში გამოტყორცნილი ბგერების ჰერცებში გამოთვლილი რაოდენობა, რიხტე-

■ ნამახვანის ჰესების აშენების გამო გარემოზე პოტენციური

ზიანი საკმაოდ დიდია. პროექტის ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორისა და ფაუნის ნაწილი როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო წითელ ნუსხაში შედის.

რის შეალით დათვლილი სეისმური და გეოლოგიური საშიშროება – მოსახლეობას განხილვაზე ამ საკითხებს აცნობენ მაშინ, როცა კომპენსაციების ოდენობასა და გადასახლების სავარაუდო ადგილმდებარეობის შესახებ კითხვებზე არც ინვესტორს და არც სახელმწიფოს ნარმომადგენლებს პასუხის არ აქვთ.

„ჩემი მოლოდინი, როგორც მოსახლის, არის ის, რომ საშევლი დაადგეს ჩემს სახლს. რომელიც მოუვლელობის გამო, წლების განმავლობაში ლპება. ვერ გავიგე, გავარმონოთ ეს სახლი თუ ახალი ავაშენო. სადარდებელია ის, რომ ბუნებაში ცვლილებები მოხდება, მაგრამ მაინტერესებს, კონკრეტულად როდის მივა ვინმე მოსახლეობასთან და როდის აღუწერებს სახლს“, – აცხადებს ერთი ქალაგატონი კითხვა-პასუხის დაწყების შემდეგ.

ნამახვანელი ირმა სულაძე კი შეხვედრის ამ ნაწილს არც ელოდება, დარბაზიდან ისე გადის. „რა პასუხს ველოდი? ეკოლოგიაზე ლაპარაკობენ და სოფელზე საერთოდ არ უსაუბრიათ. ყველაფერი ეს უშედეგოა“, – აღნიშნავს ის.

„რაც არ უნდა ბევრი ასეთი შეხვედრა ჩავატაროთ, ინდივიდუალური კონკრეტულ პასუხს ასეთი შეხვედრიდან ვერ მიიღებს;“ – ასე ეხმაურება მოსახლეობის უმაყოფილებას საჯარო განხილვის ერთ-ერთი მონაწილე, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე, მარიამ ვალიშვილი, – „ასეთი თემებისთვის ლოკალური შეხვედრები უნდა მოეწყოს ინვესტორისა და მოსახლეობასთან, რომელზეც ინდივიდუალურად გადაწყდება კომპენსაციის საკითხები“.

საჯარო განხილვები მოსახლეობის მონაწილეობით, მსხვილი საინვესტიციო პროექტების განვითარების ერთ-ერთ შემადგენლელ ნაწილად ითვლება. მსგავს შეხვედრებზე კომპანიის ნარმომადგენლები, რომელთა პროექტის გამოცდობების ცხოვრება რადიკალურად უნდა შეიცვალოს, კითხვებს პასუხობენ და ადგილობრივებს გეგმებს აცნობენ. ისეც ხდება ხოლმე, რომ ესათუ ის პროექტი, სწორედ გარემოზე გავლენის გამო, მოსახლეობის აქტიური პროცესების დამსახურებით ჩერდება და ინვესტორსაც უკან დახვა უწევს. თუმცა ასეთი რამ თითქმის არ ხდება საქართველოში, სადაც თითქმის არც ერთი მსგავსი, მსხვილი პროექტის განხილვის ცხოვრების პროცესში, ადგილობრივებს თავიანთი თავი გადაწყვეტილების მიმღებ მნიშვნელოვან ფინანსურად არ წარმოუდგენიათ. ამის ნაცვლად, ისინი თითქმის ყოველთვის დინების მიყოლას არჩევენ. ნამახვანის პროექტების შემთხვევაშიც, რინონიპირა სოფლების მცხოვრებლების პოზიცია თითქმის ერთნაირია – ისინი ფიქრობენ, რომ ჰესის აშენებას წინააღმდეგობას მაინც ვერ გაუწენებენ და ამიტომ ამჯობინებენ, მოცემულ მომენტში სახელმწიფოსა და ინვესტორისგან მაქსიმალური ხერი მაინც ნახონ – მაღალი კომპენსაციის სახით.

მოსახლეობის მორჩილება, ერთი მხრივ, მოსალოდნებრიცაა. უკიდურესი გაჭირვე-

ბა და ამის გამო გამოწვეული მიგრაცია – სოფლების დაცარიელება, უმუშევრობა და ადგილობრივი მოსახლეობის დაბერება – ეს ის პრობლემებია, რომელთა გამოც ადგილობრივებს უჭირთ, საკუთარ საცხოვრებელ გარემოზე ზემოქმედების შესაძლო საფრთხეები გააცნობირონ და შემდეგ ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოსა და ინვესტორ კომპანიას ზომების მიღებაც მოსახლეობა. ბევრი მათგანი „ლიბერალთა“ საქართველოს იმასაც ამბობს, რომ საჯარო განხილვას ერთი მიზეზით ვერ ესწრება – ქუთაისა-მდე ჩასასვლელი ავტომუსის ფული არ აქვს.

არადა, ნამახვანის ჰესების აშენების გამო გარემოზე პოტენციური ზიანი საკმაოდ დიდია. პროექტის ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორისა და ფაუნის ნაწილი როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ნითელ ნუსაში შედის. გარდა ამისა, ტვიშის კაშხლიდან დაახლოებით 100 მეტრში, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერ შემოთავაზებული სარეზიურო ტერიტორიებიდან დატბორვა ემსუქრება ხევამლის სატყეო კვარტალს. ამიტომ ასოციაცია „მწვანე აღტერნატივა“ წარმომადგენლების თქმით, პროექტი

ამ ნაკრძალის მიეროულიმატზეც მოახდენს გავლენას.

სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი საკუთარ საცხოვრებელ გარემოზე ზრუნვაში ადგილობრივებიც ჩაერთონ. ამის-თვის კი აუცილებელია, საჯარო განხილვები მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე, მარტივი ტერმინოლოგით ტარდებოდეს. ასე არ მოხდა, ნამახვანის პროექტის განხილვისას. ქუთაისის გამგეობიდან გამოსული მოქალაქების ნანილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ ისიც კი ვერ გაიგო, რომ წარმოდგენილი 1000-გვერდიანი ანგარიშის თემა სწორედ მათ საცხოვრებელ გარემოს ეხებოდა.

„როგორც წესი, ანგარიშების გარდა, მზადდება ე.წ. „არატენიკური რეზიუმე“, რომლის დანიშნულებაცაა, ინფორმაცია მიაწოდოს არასპეციალისტებს, ანუ მოქალაქებს, რომელთაც არ გააჩნიათ სპეციფიკური ცოდნა, – განმარტავს ასოციაცია „მწვანე აღტერნატივას“ ანალიტიკოსი, ქეთი გუჯარაძე, — ქუთაისში 10 ივნისს გამართული შეხვედრა კი იმის მაგალითი იყო, რომ არც მოსახლეობა იყო ინფორმირებული და არც პროექტის მხარდამჭერები იყვნენ მომზადებული მოსახლეობისთვის საკითხებზე.

პასუხის გასაცემად.

ქეთი გუჯარაძე ამბობს იმასაც, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (გზშ) ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი თითქმის არ ყოფილა. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი გავრცელდა მხოლოდ თბილისში, რაიონულ ცენტრებში და გამოქვეყნდა ინტერნეტით. რომნისპირა სოფლებში მცხოვრები ადამიანები კი, რომელთაც ხშირად ცენტრამდე ჩასასვლელად ტრანსპორტის საფასურის გადახდაც უჭირთ, რომ აღარავერ ვთქვათ ინტერნეტის ხელმისაწვდომობაზე, ამ დოკუმენტს არ გაცნობიან.

ამ ფონზე, სავარაუდოდ, ერთადერთი თემა, რისი გადაქრაც თურქულ კომპანიას ნამახვანის კასადის აშენების პროცესში მოუწევს, ადგილობრივების კომპენსაცია და არა პროექტის ისე დაგეგმვა, რომ გარემოზე პოტენციური ზიანი საგრძნობლად შეამციროს. მით უფრო, რომ გარემოს დაცვა – ეს ის თემაა, რომელსაც სახელმწიფოსა და ინვესტორობისთვისაც, როგორც წესი, ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაპირება იოლად სწორების და აშენების შესახებ.

კარიბი ცენტრის გადაცემა

საქართველოს მთავრობა 2008

წელს ქვეყნის ენერგეტიკის სფეროში ახალი კონცენტრაცია შეიმუშავა – „განახლებადი ენერგეტიკა 2008“

და ინვესტორებს 80-მდე მცირება და სამი დიდი ჰესის სია შესთავაზია

– საშუალო სიმძლავრით 100 მეგავატი. ტენცერზე გასატანად

გამზადდა სამი დიდი პროექტი:

ხუდონცესის, ნამახვანის ჰესებისა და ანის ჰესების კასადები. მათი

ჯამური სიმძლავრე 1,500 მეგავატია.

ეს სია იმ პოტენციურ ჰესებს

შეიცავს, რომელთა აგებაც საქართველოში ნებისმიერ

დაანტერესებულ ინვესტორს შეუძლია. მთავრობა ბიზნესმენებს

ურთიერთობის ახალ პრინციპისაც სთავაზობს. ამ პრინციპს, რომე-

ლიც საერთაშორისო ბაზარზეა

აღიარებული და ძირითადად სწორედ ენერგოსექტორში იყნებენ,

BOO: Build-Operate-Own ჰქვია.

მის თანახმად, ინვესტორს ეძლევა

ჰესების როგორც აშენების,

ისე პოტერიულისა და ფლობის

საშუალება.

სახელმწიფოსა და დაინტე-

რესპულ ინვესტორს შორის

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ფორმდება. ამ დოკუმენტის

მიხედვით, პირის ენერგეტიკოსადან

აღმორად შეთანხმების საფუ-

ძელზე ირჩევს იმ დარჩენილ 3

თვესაც, როცა ელექტროენერ-

გის სრული იდენტობა მხოლოდ

საქართველოს შიდა მოხმარების

ბაზარზე უნდა გაიტანოს. ამ 3

თვის განმავლობაში მის მიერ

გაყიდულ ელექტროენერგიაზე

საქართველოს კანონმდებლობის

მიერ დარეგულირებული ტარიფი

გავრცელდება.

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ში, მდინარე აკავრეთაზე, მერიის ჰესის აშენებით დაანტერესდა.

Ozgucu Energy-მ განაცხადი

ჰესის მშენებლობისა, ფლობისა და

პრეირირების მიზნით, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების

სამინისტროში უკვე შეიტანა.

ამავე პრინციპით აშენებს

ჰესებს ის თურქული კომპანიაც,

რომელიც ნამახვანის კასადით

დაანტერესდა.

2008 წლის შემდეგ ზემოთ

აღნიშნული სიიდან მთავრობამ ზოგი მოილობ, ზოგი დაამატა.

2011 წლის 3 ივნისის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პრინციპის თანახმად კი, სახელმწიფო ინვესტიციების აუგვის შემდეგ უკვე შეიტანა არ მოიხდობა. კი ამავე კონცენტრირებულ მიზნის სამართლებრივი მინისტრის მიზნის დამტკიცებული და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაპირება იოლად სწორების საკითხებზე.

იაფი ბაზისის ფასი

იმის გამო, რომ იაფი სესხი სახელმწიფომ მენარმეებს 2008 წლის აგვისტომდე გამოუყო, მათ უმრავლესობას სესხის გადახდის პრობლემა შეექმნა – რუსეთ-საქართველოს ომმა ბიზნეს გარემო მნიშვნელოვნად დააზიანა.

მარი როჭიკაშვილი, სტუდია „მონიტორი“

„იაფი კრედიტის“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა 2007 წლის 6 დეკემბერს გამოაცხადა.

„ჩვენ ვამზადებთ და ვაცხადებთ იაფი სახელმწიფო კრედიტის ახალ პროგრამას. რა არის იაფი კრედიტი? ეს ნიშნავს, რომ უახლოეს თვეებში სახელმწიფო გასცემს 300 მილიონამდე ლარს და უახლოეს წლებში, 3 მილიარდამდე ლარს იმისათვის, რომ ყველა მსურველმა სახელმწიფოსგან აიღოს კრედიტი 5,10, 20, 25 წლით, 10-იდან 4%-მდე განაკვეთით. ეს არის ბევრად უფრო იაფი, ვიდრე ნებისმიერი კრედიტი, რომელიც არის დღეს ბაზარზე“, - განაცხადა მაშინ სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილის მეორე ვადით არჩევის შემდეგ, 2008 წლიდან, „იაფი კრედიტის“ პროგრამა მართლაც ამოქმედდა. პროექტების შერჩევა და სესხების გაცემა ეკონომიკის სამინისტროსა და მუნიციპალური განვითარების ფონდს დაევალა. პროექტის მიზანი კერძო მენარმეებისთვის შეღავთიანი საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა იყო. პრიორიტეტი ექსპორტის წახალისებას, რეგიონალური ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და ხალხური რეწვის განვითარებას მიენიჭა.

დაუსრულებელი ფინანსი

ზუგდიდელმა ეთერ ცხადას მ „იაფი კრედიტის“ შესახებ განცხადება ტელევიზიით მოისამინა და პრეზიდენტს წერილი გაუგზავნა.

„ბატონი პრეზიდენტი! მინდა, ბიზნესი წამოვინწყო, ამისათვის მჭირდება თანხა, რომელიც არ გამაჩინა. გთხოვთ, ვინმე ხელქვეითს დაავალოთ და მცირებროცენტიანი სესხი მომცეთ. რეგიონებში საქმე



ისე არ არის, როგორც თქვენ გვონიათ. ზუგდიდში არაფერია გაკეთებული, თუნდაც უმუშევრობის მხრივ. ვწერ ამას პენსიონერი, 81 წლის. პატივისცემით, ეთერ ცხადაია.“

„საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდი იყო. 2008 წლის აპრილში მიენერე წერილი და პრეზიდენტი 18 მაისს ჩამოვიდა სამეცნიეროში. თათბირი ჩაატარა, სადაც გამოუცხადება, ვიღაც ხანდაზმული ქალბატონი მწერს მნიშვნელოვან წერილს და იმ ქალბატონს მიხედეთო,“ - იხსენებს ეთერ ცხადაია.

თათბირის მეორე დღესვე ეთერ ცხადადია, რომ იაფი კრედიტის პირველი ტრანზაქცია მიმდინარეობდა 2008 წლის 20 მაისის 12:00-ის შემდეგ. მათ შემდეგ მენარმეების მიზანი კრედიტის განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა იყო. პრიორიტეტი ექსპორტის წახალისებას, რეგიონალური ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და ხალხური რეწვის განვითარებას მიენიჭა.

„იაფი კრედიტის“ პირველი

ტრანზაქცია ათვისებულია. მის

დაბრუნებას ეთერ ცხადაია

ფინანსის შედეგად მიღებული მოგებით გეგმავდა.

ახლა მას არანაირი შემოსავალი არ აქვს, შესაბამისად, პრეზიდენტისგან ნაყიდი მინის და ფინანსურის სახელმწიფოსთვის დაბრუნება მოუწევს.

დაიას ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა ეკატერინე შარმშიძემ პირადად დაურევა და ბიზნეს გეგმის მომზადება სთხოვა. სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ ცხადაიმ ბიზნეს გეგმა დაწერა. მასთან სტუმრად მისულ სამინისტროს წარმომადგენლებს ცხადაიმ 30 000 სული ქათმის მოსაშენებლად და ფერმის გასამართავად ნაევარი მილიონი ლარი მოსთხოვა. თუმცა, მას განუმარტეს, რომ პირველ ეტაპზე მხოლოდ 180 000 ლარს მისცემდნენ, შემდეგ კი, თუ საჭირო გახდებოდა, დამატებით თანხებს მიიღებდა.

მართლაც, ეთერ ცხადაის 180 000 ლარი 7 წლით, 7 პროცენტანი კრედიტით გამოეყო. პარალელურად, პრეზიდენტმა მას პირდაპირი მიყიდვის წესით 31 000 კვადრატული მეტრი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების და 8 ჰექტარი სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მინა 6 000 ლარად გადასცა და პირობებიც დაუწესა. ეთერ ცხადაის დაევალა, 2009 წლის ბოლომდე ამ მინაზე არანაკლებ 30 000 ფრინველზე გათვლილი ფერმის მოწყობა.

ეთერ ცხადაიმ 180 000 ლარი ეტაპობრივად აითვისა – 12 000 ლარად სადისტრიბუციო მანქანა შეიძინა, 130 000 ლარამდე დაკვდა 1 200 კვადრატული მეტრის ფერმის შენებლობა, 16 000 ლარი – ინჯუსტრიული 15 000 ლარი ცხადაიმ ფერმაში ელექტროგავყანილობის მოწესრიგებაში გადაიხადა. ქათმების შესაძენად მას თანხა აღარ ეყო. ამ ეტაპზე ეთერ ცხადაიმ ეკონომიკის სამინისტროსგან დაპირებული 200 000 ლარი მოითხოვა, თუმცა მათგან პასუხი ვეღარ მიიღო. დახმარების მოთხოვნით მან პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მთავრობას, ეკონომიკის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარლამენტს არაერთხელ მიმართა, თუმცა უშედეგოდ. ერთადერთ გამოსავლად პრესიონერმა პრეზიდენტთან შეხვედრა მიიჩნია. იმ პერიოდში, მიხეილ სააკაშვილი ზუგდიდის ერთ-ერთ უბაში ბუნებრივი აირის გაშევის პრეზიდენტაციას ესწრებოდა. მიხეილ სააკაშვილი იქვე შეკრებილ მოსახლეობასთან გავიდა და მათ გაესაუბრა. პრეზიდენტთან შეხვედრა სცადა ცხადაიმაც.

„მოვიდნენ ბიჭები – ქალბატონი, პრე-

ზიდენტთან გინდათ შეხვედრაო? ჰოდა, ჩვენ წაგიყვანთ ადმინისტრაციაში და შეგახვედრებთ პრეზიდენტსა. არავითარი ხელის შეხება, მე თვითონ ჩავვეტი მანქანში და წავედით. წაგიყვანეს და დამტოვეს სადღაც ტრასაზე „ბრაძიაგასავით“. მომატყუეს. თვითონ ჩასხდნენ მანქანში და წავიდნენ“, – იხსენებს პრესიონერი ეთერ ცხადაის.

მისი თქმით, ასეთი შემთხვევა განმეორდა 2010 წლის 30 ნოემბერსაც, როდესაც სააკაშვილი ზუგდიდის აეროდრომს სტუმრობდა.

ორივე შემთხვევა ცხადაიმ ზუგდიდის პროექტურატურაში გაასაჩინორა. წერილი მან პირადად სამეცნიერო-ზემო სვანეთის პროექტოროს როლანდ ახალის გაუგზავნა: „ძალიან შეურაცხყოფილი ვარ. მითხვან, ვინ დაავალა გამტაცებლებს ასე მოქცევა. ეჭვები მაქს, რომ ხელოვნურად მბლოკავენ და ეს მინდა გაირკვეს“. ეთერ ცხადაია წერილში ეჭვს გამოთქვამს, რომ პრეზიდენტმა მისვლაში ხელს მას რეგიონის გუბერნატორი ზაზა გოროზია პირადად უშლის ხელს.

„გუბერნატორის ვთხოვე, ბატონ პრეზიდენტს შემახვედრე ან ჩააყენე საქმის კურსმი-თქო. მიპასუხა, ახლა რომ მოდინარ, ფული რომ აიღე, მაშინ რატომ არ მოხვედიო. პრეზიდენტს რომ შეგახვედრო, მერე, მე რაი?“

მის პრეტეზიდებს აბსურდულს უწოდებს გუბერნატორი ზაზა გოროზია. „ეს არის ყველაზე დიდი სისულელე, რაც შეიძლება ადამიანმა თქვას. თუ ჩემმა რომელიმე თანაბმრომელმა ხელი შეუშალა, მე გარნებუნებთ, რომ ის ადამიანი დაისჯება“, - აცხადებს გოროზია.

უკვე წელიწადზე მეტია, ცხადაის პროექტურატურაში საჩივარი აქვს დაწერილი, თუმცა, მისი გატაცების საქმე დღემდე არ გამოიმიტებულა.

ეთერ ცხადაია დაწერმუნებულია, რომ ადგილობრივი მთავრობის წევრები ცდილობენ, მისი კუთვნილი ქონება ჩაიგდონ ხელში. „2011 წლის მარტში მიწევს კრედიტის გადახდის დაწყება, რასაც ვერ გავაკეთებ. მერე მოცვივდება ყველა – აუკიონზე უნდა გაიტანონ ჩემი ფერმა და ეს უნდათ, რომ ჩაიგდონ იაფად“, - ამბობს ცხადაის.

მეფრინველების ფერმა დღემდე ცარიელია, რადგან ქათმების ყიდვა უსახსრობის გამო ეთერ ცხადაიმ ვერ შეძლო. სესხის გადახდის დროც დადგა - ცხადაიმ მუნიციპალური ფონდიდან გაფრთხილება უკვე მიიღო.

„მიუხედავად იმისა, რომ ათვისებული აქვს მთლიანი თანხა (180 000 ლარი), ამენებულია ფერმა, ელექტროგავყვილობით, ფერმა მანც არ ამოქმედებულა, რადგან არ შეძინილა ქათმები. აღნიშნულ სიტუაციაში, სესხის დაფარვის გრაფიკის სამჯერ ზედიზედ დარღვევისას, ფონდი ვადამდე შეწყვეტს ხელშეკრულებას და სრულად მოითხოვს ბენეფიციარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაუყოვნებლივ შესრულებას, თუმცაც იძულებით გზით“, – ნათელად მიერ გაგზავნილ წერილში.

ცხადაიმ გაფრთხილება მიიღო ეკონომიკის სამინისტროსგანაც. სამინისტრო ცხადაისათან გაფორმებული ხელშეკრულების მოშლას და პრეზიდენტის ბრძანებულებით გადაცემული მიწების და მასზე აშენებული ფერმის სახელმწიფო საკუთრო ლონისძებების განხორციელებას ითხოვს.

„84 წლის დედაბეკმა ამდენი ვიშრომე, ამდენი გავაკეთე და ახლა ეს სხვამ უნდა ჩაიგდოს ხელში. ცოცხალი თავით არ დავანებებ ამას,“ - ამბობს ეთერ ცხადაის. თუმცა, მას საკუთარი ფერმის შენარჩუნების შანსი აღარ აქვს – თანხას, რომლითაც ცხადაის ფერმის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი – ქათმები უნდა შეეძინა, მას სახელმწიფო აღარ აძლევს. „იაფი კრედიტის“ პირველი ტრანზი კი ათვისებულია. მის დაპრუნებას ეთერ ცხადაი ფერმის ამუშავების შედეგად მიღებული მოგებით გეგმავდა. ახლა მას არანაირი შემოსავალი არ აქვს, შესაბამისად, პრეზიდენტისგან ნაყიდი მიწის და ზედ აშენებული ფერმის სახელმწიფოსთვის დაპრუნება მოუწევს.

საფიქრო ძალანი საჩუქრად

2008 წელს სახელმწიფო დიზაინერთათა ვარდანაშენილს საფეიქრო ქარხნის მშენებლობისთვის 1 მილიონ 350 ათას ლარიანი კრედიტი 7 წლით 9%-ში გამოიყო. პარალელურად, პროფესიული სასწავლებლის ჩამოყალიბებისთვის ვარდანაშენილს

შურნალისტური გამოძიება

სახელმწიფომ თბილისში „წულაძის №22“-ში მდებარე 2 771 კვადრატული მეტრი შენობა-ნაგებობების სიმბოლურ ფასად - 1000 ლარად გადასცა. ერთ წელში „წულაძის 22“-ში პროფესიული სასწავლებელიც გაიხსნა და საფეიქრო საწარმოც. სასწავლებელში დღეს 103 მოსწავლე სწავლობს, საწარმო კი სრული დატვირთვით მუშაობს და ძირითადად თავდაცვის სამინისტროს დაკვეთებს ასრულებს - აქ ჯარისაცებისთვის ფეხსაცმელი იყერება. ობიექტი საქართველოს პრეზიდენტმა გახსნა და იაფი კრედიტის ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად შეაფასა:

„მიზეზი, რატომაც მიიღეს იაფი სესხი, არის ის, რომ თუ საქართველოში ეს დარგი აღორძინდება, მარტო ხალხი კი არ დაასაქმდება, არამედ შეიქმნება ტრადიცია. ასეთ ხალხს სჭირდება დახმარება“.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმო მომგებიანი იყო, 2010 წლის 31 აგვისტოდან საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელი, ვარდანაშილის ნაცვლად, სახელმწიფო გახდა. ნასყიდობის ხელშეკრულებაში ვკითხულობთ, რომ თათა ვარდანაშილმა მთელი თავისი ქონება სახელმწიფოს აჩუქა. ყოფილი მესაკუთრე ამბობს, რომ მისი ქონება დაახლოებით 10 მილიონ ლარს შეადგენდა და წილის დათმობის შესახებ შეთავაზება სახელმწიფოსგან მიიღო.

„მე დავკარგე ძალიან დიდი შემოსავალი, მაგრამ მეამაყება და მეიმედება ის, რომ სახელმწიფომ შეიძლება ეს ყველაფერი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მაგაზე დიდი ბედნიერება რა უნდა არსებობდეს, რომ ჩამოაყალიბო ფარიკა სახელმწიფოს ხელშეწყობით, მიიღო სახელმწიფოსთვის სასარგებლო პროექტი და სახელმწიფოს ვერ ნარმომოდგენია, სხვა უკეთესი რა უნდა არსებობდეს“, - ამბობს ვარდანაშვილი ტელეკამერის წინ.


თუმცა, ინტერვიუს შემდეგ ვარდანაშვილი აღიარებს: „შეიძლება გულის სიღრმეში ღამე ვტირივარ. ამხელა რაღაცის პატრონი ვიყავი და ამის დათმობა მარტივი არ იყო, მაგრამ თუ ესე მოხდა, ესე იგი, ასეთია ღვთის ნება.“

დღეს ვარდანაშილი „იაფი კრედიტით“ და საკუთარი შრომით შექმნილ საწარმოში წილს აღარ ფლობს. მას აქ დირექტორის თანამდებობა უკავია.

საჩვენებელი რეაბილიტაცია

2006 წლის ბოლოს ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია დაიწყო. ერთ წელში 38 სახლის და 3 ქუჩის რეკონსტრუქცია განხორციელდა, რაც 30 მილიონი ლარი დაფინანსდა. ძველ უპანში ერთსართულიანი მაღაზია ქერნდა ქუთაისელ ავთანდილ ხორგუაშვილს. რეაბილიტაციის პროექტით კი აქ რამდენიმესართულიანი სასტუმროს განთავსება დაიგეგმა. ამასთან დაკავშირებით ხორგუაშვილი ქუთაისის ადმინისტრაციაში დაბარეს.

„გამომიძახეს მაშინდელმა ხელმძღვანელი შემომავა და გეგმა დაწერა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგინა. პროექტის მიხედვით, 2 100 000 ლარის სესხის გამოყოფის შემთხვევაში, ხორგუაშვილი ხუთსართულიანი, 34 ნომერზე გათვლილი სასტუმროს აშენებას გეგმავდა. ამიქედების შემდეგ სასტუმრო 22 ადამიანს დაასაქმებდა. ხორგუაშვილი ამბობს, რომ პროექტის წარდგენის შემდეგ გუბერნატორმა ჩიგოვაძემ კვლავ დაურევა და უთხრა, რომ მასთან შეხვედრა ერთ თანამდებობის პირს სურდა.



■ „მე დავკარგე ძალიან დიდი შემოსავალი, მაგრამ მეამაყება და მეიმედება ის, რომ სახელმწიფომ შეიძლება ის ყველაფერი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მაგაზე დიდი ბედნიერება რა უნდა არსებობდეს, რომ ჩამოაყალიბო ფარიკა სახელმწიფოს ხელშეწყობით, მიიღო სახელმწიფოსთვის სასარგებლო პროექტი და სახელმწიფოს ვერ ნარმომოდგენია, სხვა უკეთესი რა უნდა არსებობდეს“. ეს ყველაფერი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მაგაზე დიდი ბედნიერება რა უნდა არსებობდეს“.

ლობამ - გუბერნატორმა ჩიგოვაძემ - და მითხრეს, თქვენი შეინბა არ შეესაბამება გარემოს, უნდა გადაკეთდეს და თქვენის საშუალება გაქვთო. მე ვუთხარი, რომ გადაკეთების საშუალება არ მქონდა, ძლიერ დავფარე ბანკის ვალი, რითაც ეს მასაზია 2004 წელს სახელმწიფოსგან შევიძინება, - იხსენებს ხორგუაშვილმა ამის შემდეგ ხორგუაშვილმა ადგილო-

ბრივი ხელისუფლებისგან ახალი შეთავაზება მიიღო. შეთავაზების მიხედვით, მას მაღაზია ან იმავე ფასად უნდა დაეთმო, რა ფასადაც 2004 წელს შეიძინა, ან „იაფი კრედიტის“ პროგრამაში უნდა მიეღო მონაწილეობა და საკუთარი შენობის რეკონსტრუქციისთვის სახელმწიფოსგან სესხი აეღო. ხორგუაშვილმა „იაფი კრედიტის“ პროგრამაში მონაწილეობა არჩია, ბიზნეს გეგმა დაწერა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგინა. პროექტის მიხედვით, 2 100 000 ლარის სესხის გამოყოფის შემთხვევაში, ხორგუაშვილი ხუთსართულიანი, 34 ნომერზე გათვლილი სასტუმროს აშენებას გეგმავდა. ამიქედების შემდეგ სასტუმრო 22 ადამიანს დაასაქმებდა. ხორგუაშვილი ამბობს, რომ პროექტის წარდგენის შემდეგ გუბერნატორმა ჩიგოვაძემ კვლავ დაურევა და უთხრა, რომ მასთან შეხვედრა ერთ თანამდებობის პირს სურდა.

„შემხვდა ეს პიროვნება და მეუბნება, შენ მოგეცემა 800 000 ლარი. დაიწყება მშენებლობა და შემდეგ ვნახოთო. მე წარდგენილი სულ სხვა თანხაზე ქერნდა, მაგრამ მანც დავთანხმდი. მთავრობის წარმომადგენელი იყო, რა უნდა მექნა?“ - ამბობს ხორგუაშვილი.

ხორგუაშვილის თქმით, მთავრობის ამ წარმომადგენელმა მას ის სამშენებლო კომპანიაც შეურჩია, რომელსაც სასტუმრო უნდა აეშენებინა. ეს ის კომპანია იყო, რომელიც იმ პერიოდში ქუთაისის ძველი უბნის რეაბილიტაციას ახორციელებდა - სამშენებლო კომპანია „თბილისი“.

ხორგუაშვილი ამბობს, რომ ოფიციალურად მართლაც 800 000 ლარი გამოიუყვეს, თუმცა ანგარიშზე მხოლოდ 700 000 ლარი დაერიცხა. ამას გარდა, ხორგუაშვილს მაღაზიას მახლობლად კაფე-ბარიც ჰქონდა, რომელიც „ბანკ რესპუბლიკაში“ 100 000 ლარის სანაცვლოდ იპოთეკით იყო დატვირთული. სახელმწიფომ მას შესავაზა, გადაკიცეული თანხიდინ გაესტუმრებინა ბანკის ვალი და კაფე-ბარი კი იაფი კრედიტის სანაცვლოდ გირაოში ჩაედო. ასეც მოხდა - სახელმწიფომ 700 000 ლარში ბარიც და მაღაზიაც გირაოში დატვირთა, 100 000 ლარი ხორგუაშვილმა „ბანკ რესპუბლიკას“ გადაურიცხა. დარჩე-

ნილი 600 000 ლარი კი მითითებისამებრ სამშენებლო კომპანია „თბილის“ შეიღობილ კომპანია „მერეტომშენს“ გადაურჩა და მშენებლობაც დაიწყო.

„თავიდანვე შევატყვე, რომ მშენებლობა უკედა მიდიოდა, არავითარ სტანდარტებს არ ექვემდებარებოდა. დაიწყეს ნინა მხარის ამოშენება, მერე მისი მოპირკე- თება, კარ-ფანჯრების ჩასმა, როცა უკან არაფერი არ კეთდებოდა. ეს გავაპროტესტე, რაზეც მითხრეს, ესეა საჭირო და ესე უნდა გაცეთდეს. ბოლოს ჩაბარდა ქვეყ- ნის ხელმძღვანელობას შენობა, რომელსაც მთელი დასავლეთ საქართველო ეძახის პოტიომეტის სახლს“, - ამბობს ხორგუაშ- ვილი.

გარდა იმისა, რომ სამშენებლო კომპა- ნიამ სასტუმროს შენობის ნაცელად მხო- ლოდ მისი ნინა კედელი ააშენა და გაარე- მონტა, ხორგუაშვილს ამ კომპანიის მიერ თანხების ხარჯების მიზნობრიობაშიც შეე- პარა ეჭვი და ექსპერტიზის ჩატარება გა- დაწყევთა. ამისთვის მან კომპანია „დაგი“ დაიქირავა. კომპანიის დასკვნაში წერია, რომ სამშენებლო კომპანია ხორგუაშვილს ზედმეტ თანხებს თხოვდა, სულ ზედმეტად მოთხოვნილმა თანხამ 54 000 ლარი შეად- გინა.

საამ ხორგუაშვილი კომპანია „თბილის- თან“ ხარჯების მიზნობრიობას არ კევდა, თანამდებობიდან გადააყენეს მიხელ ჩო- გოვაძე. სამშენებლო კომპანია „თბილი- სი“ გაკოტრდა, მისი ხელმძღვანელები კი დაიჭირეს.

„როგორ წარმოვიდგენდი, რომ სამშენე- ბლო კომპანია ამას ჩაიდენდა. ეს კომპა- ნია იყო ასოცირებული სახელმწიფოსთან, ამიტომაც ვეზდობოდა. სახელმწიფო მირ- ჩია, მირჩია კი არა, მითხრეს, იმათ უნდა გააკეთონო,“ - ამბობს ხორგუაშვილი.

დღეს ხორგუაშვილი ფლობს ერთ მო- პირკეთებულ კედელს და დაგირავებული აქვს მთელი ქონება. იმის გამო, რომ შე- ნობა დაუსრულებელია, სასტუმრო ვერ აამუშავა. შესპამისად, „იაფი კრედიტის“ პროგრამით აღებულ სესხს ვერ იხდის და სახელმწიფოსთან პრობლემები აქვს. უა- ხლოეს პერიოდში თუ სესხს არ დაფარა- ვს, ხორგუაშვილს მის სახელზე არსებული ფართი და კაფე-ბარი ჩამოერთმევა და აუ- ქციონზე გაიყიდება.

იმის გამო, რომ იაფი სესხი სახელმწი- ფომ მენარმებს 2008 წლის აგვისტომდე გამოიყო, მათ უმრავლესობას სესხის გა- დახდის პრობლემა შეექმნა - რუსეთ-სა- ქართველოს ომა ბიზნეს გარემო მნიშვნე- ლოვნად დააზიანა.

„ომის შემდგომ მკვეთრად შეიცვალა მდგომარეობა და ამიტომ ჩვენს ბიზნეს გეგმებში ჩადებული პარამეტრები აღ- მოჩნდა ზედმეტად ოპტიმისტური“, - ამ- ბობს ხორცპროდუქტების მნარმებელი კომპანია „მესხეთი პროდაქტის“ ხელმძ- ღვანელი გორგი გოდერძიშვილი.

პროგრამის მიხედვით, მენარმებს სეს- ხი 5-7 წლიანი ვადით, 7-9%-ში გამოიყოთ. სესხის გადახდა 2009 წლიდან უნდა და- ნებებულიყო, თუმცა აგვისტოს ომის გამო ეს პროცესი ერთი წლით გადავადდა. ორნლიან საშეღავათო პერიოდში დარი- ცხული პროცენტები მენარმებს დარჩე- ნილ წლებში გადაუნანილდათ და ახალი გრაფიკი შედგა. კორექტირებული გრა- ფიკით, 2010 წლიდან ყოველწლიურად საკრედიტო განაცემთმა 30%-ს გადააჭარ- ბა. ამიტომ გოდერძიშვილმა და 20-მდე ბიზნესმენმა, რომლებიც უკვე გაძვირე- ბული „იაფი კრედიტით“ სარგებლობდნენ, დახმარებისთვის პრემიერ-მინისტრი ნიკო- ლოზ გილაურს წერილით მიმართეს:

„ბატონო ნიკოლოზ! მოგმართავთ სა- ხელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში გაცემული სესხების ბენეფი- ციარების ნანილის სახელით. აქ ნარმოდ- გენილი ყველა საწარმო ფუნქციონირებს და უშვებს შესაბამის პროდუქციას, თუმცა კრედიტის დაფარვის არსებული გრაფიკე- ბით გადახდის შემთხვევაში 2-3 თვის შემ- დეგ ჩვენი უმრავლესობა დარჩება ისედაც მწირი საბრუნვი თანხების გარეშე, რაც გამოინვეს მუშაობის შეფერხებას. საფრ- თხის ნინაშე დადგება კრედიტის დაფარ- ვის შემდგომი გრაფიკი. უმრავლესი ბე- ნეფიციარის ნინაშე დადგება საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სანქციების ამოქმედების საკითხი.“

მენარმებმა მთავრობას პრობლემის მოსაგვარებლად ინციატივებიც შესთავა- ზეს.

„ვითხოვდით ვადის გაგრძელებას - კრედიტის გადახდის 10 წლიან გრაფი-

კს“, ამბობს გოდერძიშვილი. მთავრო- ბამ მენარმების თხოვნა არ დააკმაყო- ფილა.

„იაფი კრედიტის“ პროგრამის მნიშვნე- ლოვან ნაკლად მენარმები იმასაც მიიჩ- ნევენ, რომ მასში მონაწილე პროექტების შერჩევა ეკონომიკის სამინისტროში შექმ- ნილ უწყებათაშორის კომისიას დაევალა. კომისიის შემადგენლობაში მუნიციპალუ- რი განვითარების ფონდის, პრეზიდენ- ტის ადმინისტრაციის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ნარმომადგენლები შედიოდნენ. მათ მიერ შერჩევული პროექტები კი მთავრობის სხდომაზე მტკიცდებოდა. ექსპერტების აზრით, ხელისუფლების უმთავრესი შე- ცდომა ის იყო, რომ პროექტების შერჩევა და სესხის გაცემა სახელმწიფო მოხელეე- ბს მიანდო და არა ბანკებს.

„ბანკებს უკეთ შეუძლიათ კონკურეტული კომპანიის, ინდივიდუალური მენარმის შე- საძლებლობების, გადახდისუნარაობის, მათი ბიზნეს გეგმების და მოსალოდნელი რისკების შეფასება. ამიტომ, უმჯობესი იყო, პროექტები ბანკებს შეერჩიათ და არა სამინისტროს. სამინისტროს თანამშ- რომლების დიდ ნაწილს ბიზნესთან შეხება არასდროს ჰქონია“, - ამბობს ეკონომიკის ექსპერტი დავით ნარმანია.

პროგრამის კიდევ ერთი ნაკლი ის იყო, რომ მცირე მენარმების დასახმარებელ პროექტში ისეთი კომპანიები მოხვდენ, რომლებისთვისაც სესხის ხელმისანვდო- მობა პრობლემა არ იყო. მაგალითად, კომპანია „გეოპლანტს“ სახელმწიფოსან 1 250 000 ლარი იაფი სესხი გამოიყო. კომ- პანის პარტნიორებს შორის არიან მაბუკა ხაზარაქე და ბადრი ჯაფარიძე - „თი ბი სი ბანკის“ დამფუძნებლები.

„იაფი კრედიტის“ პროგრამით 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 62,4 მი- ლიონი ლარი გამოიყო და 117 პროექტი დაფინანსდა, 2009 წელს 2,5 მილიონი ლარი გაიცა 17 პროექტისთვის. 2010 წლი- დან კი პროგრამა შეწყდა. ■

სტატია დაფინანსებულია „ევროკომი- სიის“, „ლია საზოგადოება - საქართველოს“ და „ევრაზის თანამშრომლობის ფონდის“ მიერ.

ერქო სასტუმროები

ლაპაბზე აცუაჩნატიცი ფოჩა

კერძო საოჯახო სასტუმროების მფლობელები აჭარაში ახალ საზღვაო სეზონს სიფრთხილით ხვდებიან.

სოფო ჟლენტი, ბათუმი



წელს აჭარის რეგიონში ხელისუფლება მიღიონნახევარ ტურისტს ელის. სტუმრების ამ უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის მისაღებად, ტურიზმის ადგილობრივ დეპარტამენტით ერთად, ემზადებიან ის აჭარლებიც, რომელთაც მცირე საოჯახო ტიპის სასტუმროები აქვთ.

ტრადიციულად, დამსვენებელთათვის მისაღები ფასის გამო, ტურისტების დიდ ნაწილს სწორედ საოჯახო ტიპის სასტუმროები მასპინძლობენ. წელსაც, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის გათვალისწილების მიზნით, საოჯახო ტიპის სასტუმროები

დანაწილდება შავი ზღვის სანაპიროზე დასასვენებლად ჩასული ტურისტების უმრავლესობა. შარმანდელი მონაცემების გათვალისწინებით, საოჯახო სასტუმროებში 43 ათასამდე ადამიანის დაბინავებაა შესაძლებელი.

თუმცა, მეტი დამსვენებელი ამ სასტუმროს მფლობელთათვის სულაც არ ნიშნავს მოგების უპირობოდ გაზრდას. უფრო პირიქით, ახალ სეზონს მათი ნაწილი სიფრთხილით ელოდება. მიზეზი საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებია, რომელთა მიხედვითაც იცვლება საოჯახო ტიპის სასტუმროს

მეპატრონეთა დაბეგვრის წესი.

ცვლილებების თანახმად, აჭარის შემოსავლების სამსახური სასტუმროების მეპატრონეებს გადასახადის გადახდის ალტერნატიულ გზას შესთავაზებს – კერძო საოჯახო სასტუმროების მფლობელებს შეეძლებათ, გადასახადი გაქირავებული ფართის მიხედვით გადახადონ – 1 კვადრატულ მეტრზე 10 ლარი. თუმცა, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, კვლავაც ძალაში დარჩება გადახდის ძელი წესიც, რომლის მიხედვითაც შარმან ინდ. მენარმედ დარეგისტრირებულმა 243

აქარის სანაპირო ზოლი

**■ ბათუმში, ძირითადად,
კერძო ბინები ქირავდება,
რომელთა მეპატრონებიც
ხშირად გადამხდელებად
რეგისტრირებულები არ
არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ
შარშან ბევრს არც მოგების 25
პროცენტი გადაუხდია. წელს კი,
იციან, რომ გადასახადის თავიდან
აცილებას ვეღარ შეძლებენ.**

სასტუმროს მეპატრონებ ბიუჯეტში სეზონის პილოს მიღებული შემოსავლის 25 პროცენტი გადარიცხა.

საგადასახადო კოდექსში ცვლილება კიდევ ერთ საგულისხმო დეტალს შეიცავს – ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია, მიმართოს საქართველოს მთავრობას და ფიქსირებული 10-ლარიანი გადასახადი შეამციროს ან გაზარდოს.

თამაზ ჯინჭარაძეს საოჯახო ტიპის სასტუმრო ქობულეთში აქვს. მისი სახლის გასაქირავებელი ფართი 400 კვ/მეტრს შეადგენს. ამბობს, რომ ახალი ტიპის გადასახადი მისთვის წამგებიანი იქნება.

„ჩემი ფართის მიხედვით თუ დავიანგარიშებთ, სეზონზე, ბევრის სახით, 4 000 ლარის გადახდა მინევს. ეს ძალიან დიდი თანხაა ჩემთვის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაძვირდა წყლისა და ელექტროენერგიის გადასახადი, გაზის საფასურიც, თან მე ახლაც ვიხდი სასტუმროს გაფართოების მიზნით 2008 წელს ბანკიდან გამოტანილ სესხს. ამ ყველაფერს ახლა დამსვენებელთა მომსახურების ხარჯებიც დაამატეთ და გამოვა, რომ, პრაქტიკულად, ჩემს ბიზნესს აზრი ეკარგება. გამოდის, შეცდომა იყო, როცა თავის დროზე სასტუმროს გაფართოვება მოვინდომე, ძველი სახლი რომ დამტოვებინა, ახლა ხომ უფრო ნაკლებს გადავიხდიდი“, – ამბობს თამაზ ჯინჭარაძე.

თამაზ ჯინჭარაძის მსგავსად, 400 კვადრატული მეტრის ფართის მქნე სახლები, დამსვენებლებზე გაქირავების იმედთ, აჭარაში ბევრს აქვს. რაოდენობრივად ყველაზე მეტი საოჯახო ტიპის სასტუმრო კვარიათში, ქობულეთსა და გონიოშია. ამ სახლების დიდი ნაწილი კი 3-სართულიანია და მათი ფართიც 300-დან 500 მ²-მდე მერყეობს. ამიტომ შედარებით მოზრდილი კერძო საოჯახო სასტუმროების მფლობელები საკანონმდებლო ცვლილებაში, პირველ რიგში, რისკს ხედავთ.

„ვთქვათ, გადავწყვიტე, ჩემი სახლის კვადრატულობის მიხედვით ნინასნარ გადავიხდოთ თანხა. მერე რა გარანტია

მაქვს, რომ სასტუმროს ნომრებს მაქსიმალურად დავტვირთავ და სეზონზე იმაზე მეტი მოგება დამრჩება, ვიდრე ბევრის სახით გადავიხადე? თან ყველამ ხომ კარგად იცის, როგორი არასტაბილური ამინდა აჭარაში, ამიტომ წინასწარ ვერასდროს გათვლი, მომგებიანი სეზონი გექნება თუ არა“, – ამბობს კვარიათელი თემურ ცერცვაძე, რომელიც საკუთარ სახლში გახსნილ საოჯახო სასტუმროს უდღევბა.

გადასახადის ახალი ფორმა შესაძლოა, უფრო მისაღები აღმოჩნდეს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც კორპუსებში ცხოვრობენ და ბინებს აქირავებენ.

მაგალითად, ბათუმში მხოლოდ რამდენიმე საოჯახო ტიპის სასტუმროა რეგისტრირებული. ქალაქში, ძირითადად, კერძო ბინები ქირავდება, რომელთა მეტატრონებიც ხმირად გადამხდელებად რეგისტრირებულები არ არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, შარშან ბევრ მათვანს არც სეზონური მოგების 25 პროცენტი გადაუხდია. წელს კი, იციან, რომ გადასახადის თავიდან აცილებას ვეღარ შეძლებენ.

ბათუმელი ცისანა ღლონტი ზაფხულის სეზონზე თავის ბინას აქირავებს ხოლმე. ინდენარმედ შარშან არც ის დარეგისტრირებულა, მაგრამ წელს პირებს, ეს საკითხი მოაგვაროს. „ამბობენ, საგადასახადო უწყება კონტროლს ამკაცრებს და მისი თანამშრომლები ახლა ყველგან იქნებიან. დავარიმებას, რა თქმა უნდა, მირჩენია დაგრეგისტრირდე“. მისი ბინა სულ 50 კვადრატული მეტრი ფართისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის გადასახადის ალტერნატიული ფორმა უფრო ხელსაყრელი იქნება: ”თუ მოვახერხებ და ამ 50 კვადრატს მთელი სეზონი გავაქირავებ, მირჩენია 500 ლარი გადავიხდო, ვიდრე მთელი შემოსავლის 25 პროცენტი. მართალია, პატარა ფართია და ერთდროულად ბევრ დამსვენებელს ვერ ვატევ, მაგრამ რაღაც მაინც დამრჩება. მგონი, ეს კვადარტულობით გადასახდელი ბევრა ჩემნაირი გამქირავებელებისთვის უფროა – ვისაც მცირე ფართი აქვს“. **■**

ადამიანის უფლებები

შეცვლილი შესაძლებლობები

მართვის მონობა მხოცო "ნოჩალის ხებს"

თუ თქვენი „დიაგნოზია“

„შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე“,
მაშინ ავტომობილის მართვის
მოწმობის ასაღებად ექიმებთან
და სახელმწიფოსთან ბრძოლა
მოგიწევთ.

მარიკა ქოჩიაშვილი



„გავცემთ ფორმა №100“-ს; „ფსიქო – მართვის მოწმობისთვის“; „ჯანმრთელობის ცნობა. გვყავს ექიმი-სპეციალისტები“ – ქალაქის მთავარი ფსიქიატრიული კლინიკის კედლები აბრებითა და განცხადებებითაა აჭრულებული.

36 წლის მაბუკა ტერტერაშვილი ერთ-ერთ ასეთ წარნერას მიჰყება და კაბინეტიდან გამოსულ შუაბნის მამაკაცს თავის დაქნევით, უსიტყვიდ ესალმება.

– რა გნებავთ?

– მართვის მოწმობის აღება გვინდა, აი, ამ ბატონისთვის, – პასუხობს მა-მაკაცს მამუკას თარჯიმანი.

პროფესიონისტების მამუკას ოთხი შვილი ჰყავს. ის სმენადაქვეითებულია და სასაუბროდ უესტიკულაციის ენას იყენებს, კერძო შეკვეთებზე მუშაობს და ოჯახსაც ასე არჩენს. ქალაქში გადასაადგილებლად მანქანა ძალიან სჭირდება. ამიტომ უკვე 1 წელია, მართვის მოწმობის აღებას ამაღლ ცდილობს. ბევრი ინსტანცია მოიარა, ახლა

ბედს ფსიქიატრიულ კლინიკაში ცდის.

იქ კი, სიტყვა „ყრუს“ ხსენებაზე, კლინიკის თანამშრომელი იძაბება და აღელვებული და ოდნავ ხმამაღლა იწყებს ახსნას:

– თუ ჯანმრთელი არაა ადამიანი, „სპეც-რაზრუშენია“ საჭირო, მაგას კიდევ ისინი [ჯანდაცვის სამინისტრო] გასცემენ”.

– და ექიმი გვავთ, რომ მამუკას უნარები შეამოწმოთ? იქნებ, სმენის დე-ფექტის მოუხედავად, მას მაინც შეუძლია, ჩვეულებრივ მართოს მანქანა? – ეპასუხება მამაკაცს „თარჯიმანი“.

– არა, ბატონი! ჩვენი ექიმი ავადგახდა და არ არის. თანაც, ჩვენ მარტო ისეთებს ვაძლევთ მოწმობას, ვინც ნორმალურია.

– რას ნიშნავს ნორმალური?

– როგორ თუ რას ნიშნავს, – ხმას უწევს მამაკაცი, – ნორმალურია ის, ვინც ლაპარაკობს და ესმის. აბა, თუ „შიზოფრენიია“, სულით ავადმყოფია, ან ფეხი აკლია, ხელი აკლია, თვალები აკლია, რო-

გორ მივცე ცნობა? – გულწრფელად გაოცებულია კლინიკის წარმომადგენელი.

ცნობის გამცემმა მამაკაცმა ზუსტად არ იცის, რომელი კანონი უკრძალავს მას, სმენდაქვეითებულისთვის მართვის მოწმობის მიცემას, მაგრამ იცის, რომ ოფიციალურ ბრძანებაში, რითაც მისი უწყება ხელმძღვანელობს, ასეთი კატეგორია არ შედის.

„ბუნებრივია, რომ სმენის დაქვეითება – ეს შეზღუდული შესაძლებლობაა, რომელიც პრობლემად იქცევა მექანიკური ტრანსპორტის მართვისას, რადგან მძლოლს მანქანის სამართავად წამდგილად სჭირდება სმენა და არაფერია ამაში არა-არგუმენტირებული“, – ავხადებს „ლაბერალთან“ საუბარში ეკა პატარგილიც – ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამართველოს უფროსი.

თუმცა, ამ მოსაზრების სისხლორე უკვე წლებია, ეჭვეკვეშ დააყენეს შტატებსა და ევროკაუშირის ქვეყნებში და ახლა იქ სმე-



ფოტო გამოქვეყნდა მეცნიერებელთა კურსისა და მუნიციპალიტეტის მიერ

ნადაქვეითებულ და ყრუ მოქალაქეებზე ავტომობილის მართვის მოწმობას ჩვეულებრივ გასცემენ. აზის ზოგიერთ ქვეყანაში, აფრიკაში და ასევე, საქართველოში, ყრუებს მანქანის მართვა კანონით დღმდე ეკრძალებათ.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანს არ აქვს უფლება, მართოს ავტომობილი, თუ ჩვეულებრივ საუბარს ვერ ალიქამს არანაკლებ 3 მეტრის დისტანციაზე, ხოლო ჩურჩულს არანაკლებ 1 მეტრზე ორივე ან ერთი ყურით.

მაშეა კი ამტკიცებს, რომ სმენის დაუჭერი მას მანქანის მართვაში ხელს არ უშლის. „ჩემნაირა ადამიანები ძალიან ყურადღებით ვართ საჭესთან, სულ სარკეებში ვიყურებით და ყველაფერს ვაკონტროლებთ. ძალიან ფრთხოლად დამყავს“, – ჟესტებით გვიხსნის მამუკა და ისენებს, რომ მანქანის მართვა რამდენიმე წლის წინ, საზღვარგარეთ ისავლა, სადაც ავტომობილების მომსახურების ცენტრში

მუშაობდა. თბილისში კი მოწმობის აღებას ვერ ახერხებს, ამიტომ ქალაქში ველოსიპედით, ან მცირედრაგანი მოტოციკლით დადის, რასაც საგანგებო ნებართვა არ სჭირდება.

სახალხო დამცველის აპარატი მუშაობს იმ საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორებაზე, რაც მამუკასნაირ ადამიანებს ქალაქში გადადგილებას ურთულებს. მათ მიერ გამოქვეყნებულ 2010 წლის ანგარიშში მართვის მოწმობის პროცედურას საგანგებო ქვეთავი ექლვნება. თუმცა, ძირული ცვლილების მიღწევას ადამიანის უფლებათა დამცველები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელი აქვს მოწერილი ევროკავშირის კონვენციაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების შესახებ. არსებობს ყრუთა მსოფლიო ფედერაციის 2009 წელს გამოქვეყნებული საგანგებო რეკომენდაციაც. ამ დოკუმენტით ფედერაცია მოითხოვს, სახელმწიფო კანონმდე-

ბლობასა და დირექტივებში არ ფიქსირდებოდეს დისკრიმინაცია ყრუ ადამიანების მიმართ. დოკუმენტში წერია:

„არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ყრუ მძლოლები უფრო მეტ ავტოსაგზაო კატასტროფას ინვევენ, ან უფრო სარისკონი არიან გზაზე, ვიდრე ნორმალური სმენის მქონე ადამიანები. ფინეთსა და სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, დგინდება, რომ ყრუ ადამიანების მიერ ჩადენილი ავარიების რიცხვი უფრო ნაკლებია, ვიდრე – სხვა მძლოლების“.

იმავეს ამტკიცებენ ამერიკელი ექსპერტებიც, რის საფუძველზეც, ვაშინგტონის მართვის ლიცენზიების დეპარტამენტის მიერ შედგენილ მძლოლის სახელმძღვანელოში წერია: „სმენის პრობლემის მქონე, ანდა ყრუ მძლოლებს, შეუძლიათ, საჭესთან უსაფრთხონი იყვნენ. ისინი სწავლობენ, საჭესთან ჯდომისას მაქსიმალურად გამოიყენონ მხედველობა და სხვაზე მეტად კონცენტრირებულნიც არიან. სმენადაქვეითებული ადამიანების მართვის შესაძლებლობები ისევე კარგია, როგორც სრულფასოვანი სმენის მქონე მძლოლებისა“.

საქართველოში კი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ამტკიცებენ, რომ საკანონმდებლო ხარვეზებთან ერთად, მათთვის დიდი პრობლემაა საზოგადოებაში ფესვების უფლება სტერეოტიპები და სამედიცინო პერსონალის წინასწარგანწყობები.

სწორედ მსგავსი დამოკიდებულების მსხვერპლი გახდა ნიკა დონვაშივილი, რომელსაც ოთხივე სახსრის პარა-პარეზი აქვს. მისი ეს დიაგნოზი საქართვის აღმოჩნდა პოლიკლინიკის ექიმისთვის, რომ ნიკასთვის ფორმა-100-ის გაცემაზე უარი ეთქვა. ექიმმა ნიკა ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაამისამართა. ჯანმრთელობის ცნობის გაცემაზე უარის თქმამდე პაციენტის უნარების შემოწმება არც იქ მიიჩნიეს საჭიროდ. ბოლოს დონჯაშვილმა ბედი ქალაქის ერთ-ერთ კლინიკაში სცადა. იქაური ექიმი კი ისე მოიქცა, როგორც მისა წინამორბედი ორივე მედიკოსი უნდა მოქცეულიყო – ნიკას ჯერ გამოკვლევა ჩაუტარა, მისი შესაძლებლობები შეამობდა და ჯანმრთელობის ცნობა საგანგებო დანართით გასცა: „ესაჭიროება სპეციალიზი-

ადამიანის უფლებები

რებული მანქანა“.

„შენ – ექიმი – რატომ მიზღუდავ უფლებას, რომ გამოცდაზე გავიდე, იქნებ ვახერხებ მანქანის მართვას?!“ შენი მოვალეობაა, მხოლოდ გამოკვლევები ჩამიტარო და მომცე ცნობა, რომ მესაჭირობა, ვთქათ, ხელზე ადაპტირებული მანქანა. გამიშვი გამოცდამდე, თუ ჩაბარა, ესე იგი, შეძლება მართვა და თუ ჩავიქწრი, მაშინ ამასაც გავიგინა“, – ამბობს ნიკა, რომელმაც გამოცდა მართლაც წარმატებით ჩაბარა და დღეს, გულისხმიერი ექიმის წყალობით, არაადაპტირებულ, ავტომატური კოლოფის მქონე მანქანას მართავს. „არადა, წარმოიდგინე, მოქმედი კანონის მიხედვით, მეც კი, რომელსაც ჩვეულებრივად დამყავს გადაუკეთებელი მანქანა, არ მაქს უფლება, ავილო მართვის მოწმობა“, – დასხენს ნიკა.

შტატებში იმ პროცედურათა რიგი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები მართვის მოწმობის მისაღებად გადიან, ასეთია: ავტომანქანის მართვის მსურველები პირველ რიგში, არკევენ, რა სახის მანქანა მათთვის გამოსადეგი. შემდეგ სპეციალისტები მათ ფიზიკურ და კოგნიტურ ექსპრტიზას უტარებენ, უმომხებენ ვიზუალურ და მერტალურ უნარებს, ასევე რეაქციას და ავტომობილის მართვის უნარს. სპეციალისტების შეფასების შემდეგ, მოქალაქე ან იღებს სწავლის უფლებას, ან – ვერა. თუკი მას ნებას დართავენ, გაიაროს სწავლება, ის ინსტრუქტორის თანხლებით, პრაქტიკული გამოცდისთვის იწყებს მზადებას. „ცადია, ეს ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ იმედი არ გაგიცრუვდეთ, ბოლოს თქვენ, მართვის მოწმობასთან ერთად, ულევ სარგებელს მიღებთ“, – ნერია ორგანიზაციის ვეგბევრდზე, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს პრაქტიკული ინფორმაციით ამარავებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგნენტოს კი – ანუ უწყებას, რომელიც მართვის მოწმობის გასაცემად მოქალაქეებისგან პრაქტიკულ ტესტებს იძარებს – ჯერ არცერთი სპეციალიზირებული მანქანა არ ჰყავს, რითაც ინვალიდობის მქონე ადამიანი გამოცდის ჩაბარებას შეძლებდა.

– ინვალიდს არ სჭირდება განსაკუთრებული მანქანა, ამიტომაც ვისაც გამოცდის ჩაბარება უნდა, ჩევეულებრივი მანქანით აძარებს, – ამტკიცებს სააგნენტოს დირექტორი, ლევან სანოძე, – ისინი კი, ვისაც ხელით სამართავი მანქანა სჭირდებათ იმიტომ, რომ ქვედა კიდურები არ უმუშავებთ, თვითონ გადააკეთებენ თავიანთ მანქანებს და ისე მოვლენ ჩვენთან.

– თვითონ გადააკეთებენ მანქანას და გამოცდის ჩასაბარებლად თვითონვე მოვლენ?

– დიახ, მაგრამ უხელო და უფეხო კაცის შემთხვევა ჯერ არ გვქონა, აბა, უფეხო კაცი გრინსახავთ მანქანაზე, ან სადმე არის ეგეთი ვარიანტი?

– ვისაც ქვედა კიდურის პროთეზი აქვს?

■ უწყებას, რომელიც

მართვის მოწმობის გასაცემად

მოქალაქეებისგან პრაქტიკულ

ტესტებს იძარებს – ჯერ

არცერთი სპეციალიზირებული

მანქანა არ ჰყავს, რითაც

ინვალიდობის მქონე ადამიანი

გამოცდის ჩაბარებას

შეძლებდა.

– გიმეორებთ, სპეციალურად ადაპტირებული მანქანა არ არსებობს, არ გვაქას და ჯერ ასეთი შემთხვევაც არ გვქონა, რომ ეგეთს მოქართოს ვინმეს.

– ავტომატური მანქანა გყავთ იმ ადამიანებისთვის, ვინც ქვედა კიდურებს ვერ ხმარობს?

– არა.

– აბა, რა უნდა ქნას, გამოცდა როგორ ჩაბარობს?

– არ გვქონა ეგეთი შემთხვევა და როგორ გითხრათ? როცა გვენება კონკრეტული ვარიანტი, მერე რაღაცას გადავწყვეტო და ვნახავთ.

ასეთი უხერხული სიტუაციების რიცხვი, რაც სააგნენტომ პრობლემა, პოლიკლინიკებში და სხვა სახელმწიფო უწყებებში დღესაც ხშირად იქმნება, შესაძლოა ჯანდაცვი-

სა და შეს სამინისტროების ერთობლივმა დადგენილებამ შეამციროს. ეს დოკუმენტი მანქანების მართვის მოწმობის მისაღებად საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების წესებს ადგენს და გაცილებით უფრო პროგრესული მიდგომით გამოირჩევა, ვიდრე მოქმედი კანონმდებლობა. წინასწარი ვარაუდით, ეს დადგენილება სექტემბერში შევა ძალში და უკვე სექტემბრიდანვე მართვის მოწმობის ასაღებად საჭირო ჯანმრთელობის ცნობის გაცემისას ადამიანის დიაგნოზი კი არ გახდება გადამწყეტილი ფაქტორი, არამედ ინდივიდუალური მიდგომა და „პირის ფუნქციონალური შეზღუდვის ხარისხი“. ანუ ამ გეგმის მიხედვით გამოიდის, რომ ნიკა დონჯაშილს სექტემბრში მოუცადა, მართვის მოწმობის აღებას უკვე უპრობლემოდ შეძლებდა – მის საკითხსა და დიაგნოზს ექმები ინდივიდუალურად განიხილავდნენ და გადამწყეტილებასაც მისი უწარების გათვალისწინებით მიიღებდნენ.

თუმცა, ამ დადებითი სიახლის გამო მაინც არაფერი შეიცვლებოდა მამუკა ტერტერაშვილისთვის. ჯანდაცვის სამინისტროს ეს ახალი ინიციატივა ადგენს დაავადებათა და ფიზიკურ ანომალიათა ახალ ჩამონათვალსაც, რომლის მიხედვითაც ადამიანებს გარკვეული ფუნქციების შესრულებისას შეზღუდვები უწესდებათ. ამ ახალ წუსხაში კი მაინც უცვლელადაა გადმოტანილი შეზღუდვა სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის მანქანის მართვიზე.

სწორედ მსგავსი, ერთი შეიცვლებით, წვრილმანი ხარვეზების გამო, ადამიანის უფლებათა დამცველები ამბობენ, რომ შესაძლოა, ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივა მართლაც იყოს წინგადადგმული ნაბიჯი, თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების უფლებები საქართველოში დაუცველად მანამ ჩაითვლება, ვიდრე არ შეცვლება მთლიანად სისტემა, რომელიც ადამიანებს დღემდე „წორმალურებად“ და „ავადმყოფებად“ ჰყოფს; ხოლო მართვის მოწმობის საკითხის გადაწყვეტილა კონკრეტული ვარიანტი შესაძლებლობების მქონე ადამიანების უფლებები საქართველოში დაუცველად მანამ ჩაითვლება, ვიდრე არ შეცვლება მთლიანად სისტემა, რომელიც ადამიანებს დღემდე „წორმალურებად“ და „ავადმყოფებად“ ჰყოფს; ხოლო მართვის მოწმობის საკითხის გადაწყვეტილა კონკრეტული ვარიანტი შესაძლებლობების მქონე ადამიანების დამოწმების პრობლემა, რაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს დღემდე აფერებინებს, რომ ქალაქში გასვლას ისევ შინ გამოკეტვა სჯობს. ■

სიყვარულის ქიბაში

სიყვარულის ქიბაში

ნინო ნატროშვილი

„— მინდოდა, დაბრუნებულიყავი, მაგრამ ასე მაღლე არ გელოდი.

— ხომ ხედავ, არ შემიძლია შენ გარეშე. ან ამიტანე ასეთი, ან მითხარი, რომ საერთოდ დაგანებო თავი.

— არა. მე ვერ გაგიშვებ, თუ გინდა თვითონ წადი.

— გენატრებოდი ეს დღეები? მე — ძალიან. განსაკუთრებით გუშინ: გხედავდი, რომ ერთე, მინდოდა მომენტერა, მაგრამ... მთელი დღე შენს ფოტოებს ვათვალიერებდი, მერე საღამოს სანაპიროზე გავედი. ტალღებს ვუყურებდი და ვფიქრობდი, რა კარგი იქნებოდა გვერდით რომ მყოლოდი... მოგხვევდი ხელს და საათობით ვიქნებოდით ასე. დღეს უკვე ველარ გავძელი. კი გითხარი, აღარ მოგწერ—მეთქი, მაგრამ ხომ ხედავ...

— გუშინ მეც... ძალიან, ძალიან... მერე ის წითელი კაბა ჩავიცვი, შენ რომ მოგწონს და საცეკვაოდ წავედი.

— ვის ეცეკვბოდი?

— სამწუხაროდ, შენ არა...

— სასტიკი ხარ! მიდი რა, დამენახე.

— მოიცა ერთი წამი...

— შავებში რატომ ხარ?

— ეგ კომპლიმენტია?

— ჩემს თვალებს შეხედე, შენთვის ეს საკვარისი კომპლიმენტი არ არის? ვგიუდები შენზე, თავიდან ფეხის თითებამდე.

— ინტერნეტით? იოცნებე...

— უკვე ვოცნებებ... ყელი რომ ლამაზი გაქვს და თვალები, იცი?

— გეჩვენება... გამიშვი რა, 10 წუთში შეხვედრა მაქს.

— წადი მერე.

— შენ წადი, მე ვერ გტოვებ.

— მიდი, გადარეულო, დაგაგვიანდა.

— კოცნა?

— ტუჩჩებზე გაქვს ;)

ეს სკაიპი-დიალოგია 27 წლის ნანასა



და 35 წლის მამაკაცს შორის, რომელიც საქართველოდან შორს ცხოვრობს. ვირტუალური მეგობარი ნანამ 3 წლის წინ შემთხვევით ინტერნეტში გაიცნო. მათი ურთიერთობა დღემდე გრძელდება, კვლავ ვირტუალურად.

„გაცნობის თარილიც კი მახსოვს – 4 სექტემბერი იყო. თავიდან თითქოს არაფერი, მაგრამ თანდათან მიიქვდი, რომ უკრასურად მიზიდავდა, უპასუხოდ ვერ ვტოვებდი. მერე უფრო ხშირად მწერდა და სულ სხვა ცხოვრება დაწყები: დილით, გაღვიძებისთანავე, კომპიუტერს

ვრთავდი, მაშინვე ვამოწმებდი იყო თუ არა ონლაინ, თუ არ იყო ვლელავდი

— რა მოუვიდა, სად არის ამდენ ხანს, თუ იყო, მაინც ვლელავდი – რატომ არ მწერს, რამე ხომ არ ვაწყენინე...“

მართალია, ერთმანეთი არასოდეს უნახავთ, მაგრამ ნანას და მისი მეგობრის ურთიერთობა იმაზე ინტენსიურია, ვიდრე მათი, ვინც ერთმანეთს ყოველდღე ხვდება. პირველი კონტაქტი დილის 8 საათზეა – „აიღვიძე?“ ადექი, სამსახურში დაგაგვიანდება“. შემდეგ, დღე სკაიპით ლაპარაკში გადის.

საზოგადოება

„სკაიპის პროგრამა ტელეფონშიც კი ჩავწერე, რომ ის დროც, რასაც ტრანს-პორტში ვატარებ, არ დაგვარგო. ის 5 წუთიც მენანება, როცა პასუხს ვუგვიანებ,“ – ამბობს ნანა.

ნანას მეგობრები ამბობენ, რომ თავიდან გაუჭირდათ მისი ვირტუალური გატაცების გაგება. „დილაობით ისე იპრანქებოდა, როგორც პაემანზე წასვლის წინ. რაღაცნაირად, გალამაზდა კიდეც. ვატყყობდით, იცვამდა მისთვის, მაკაუს იკეთებდა მისთვის, თმას ივარცხნიდა მისთვის. ეს ყველაფერი გასაგები იქნებოდა, ეს ადამიანი ერთხელ მაინც რომ ჰყავდეს ნანაზი“, – ამბობს თამუნა, რომელიც წანას ბავშვობიდან იცნობს, ახლა კი მისი თანამშრომელია ერთ-ერთ იურიდიულ ფირმაში.

ვირტუალურმა ურთიერთობამ წანას სამუშაო გრაფიკიც შეცვალა. იმის გამო, რომ მთელ დღეს პირად მიმოწერაში ატარებდა, სამსახურის საქმების კეთება გვიან ღამით უწევდა. „საღამოს იმ დღის მიმოწერას მინიმუმ სამჯერ გადავიკითხავდი ხოლმე – სასწაული ემოცია იყო... მერე საქმეს შევუდგებოდი. სამსახურში შუალამემდე ვრჩებოდი, რომ დედლაინებს არ ჩამოვრჩენილყავი“

ფსიქოლოგების მტკიცებით, ვირტუალური სიყვარული ზუსტად ისე ვითარდება, როგორც „რეალური“: ფლირტი, პირველი წაბიჯები გულაზდილობისკენ, მოსაუბრის საკუთარ სამყაროში შეშვება და მიჩვევა, ანუ როცა გრძნობ, რომ მის გარეშე ვეღარ ძლებ. იგივეა გრძნობებიც, რომელსაც ვირტუულურად შეყვარებული წყვილი განიცდის – სინაზე, მონატრება, ეჭვიანობა, ბრაზი, პატივება. თუმცა, ექსპერტების აზრით, ელექტრონული გრძნობა შეიძლება რეალურზე ძლიერიც აღმოჩნდეს.

„ინტერნეტით გაიცანით? გულაზდილები ხართ ერთმანეთთან? კარგად გრძნობთ მასთან თავს? ცდლობთ წარმოიდგინოთ მისი ღიმილი? თქვენი გული სხვა რიტმში იწყებს ცემას, როდესაც მონიტორიზე წაცნობ სახელს ხედავთ? ყოველდღე, ყოველწუთ გწყვრიათ მასთან საუბარი? გილო-ცავთ: ვირტუალურად შეყვარებული

ხართ“, – ასეთია ამერიკელი ფსიქოლოგების დასკვნა.

ინტერნეტმა მართლაც ყველაფერი შეცვალა, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო ადამიანების გაცნობის ადგილი და მათთან ურთიერთობის ფორმაც. თუმცა, იდუმალი კონტაქტები და „შორით ტრფობა“ ახალი მოვლენა სულაც არ არის. ინტერნეტამდე იყო კალმით წაწერი და ცრემლით დანამუშლი უსტრები. მეოცე საუკუნის ბოლოს კი სასიყვარულო წერილები „უცნობი თაყვანისმცემლისგან“ ანონიმურმა სა-

მოუტანა. ონლაინ-სიყვარულის შესახებ დაწერილი პირველი რომანი 2001 წელს და მომდევნო 2 წლის განმავლობაში ბესტსელერთა ჩამონათვალში იყო. ვიშნევსკის რომანის გმირები ერთმანეთს ელექტრონული ფოსტით და ICQ-თი ესაუბრებოდნენ. აქ იყო ყველაფერი, რაც რომანტიული ახალგაზრდების გულს ათრთოლებს – იდეალური მამაკაცი რთული წარსულით, ლამაზი ქალი, რომელიც ოჯახის, სტატუსის მსხვერპლია, შეხვედრა პარიზში, ეჭვიანობა, ღალატი, სექსი,



ტელეფონო ზარებმა შეცვალა. აქრეფდნენ ნომერს და თუ ყურმილის იქეთა მხარეს საპირისპირ სქესი აღმოჩნდებოდა, ეკითხებოდნენ: „შენი გაცნობა შეიძლება?“ ხმა, ინტონაცია, სიტყვები საკმარისი იყო ადამიანებს ერთმანეთი უნახავად შეჰყვარებოდათ. ამ პერიოდში „ტელეფონით გაცნობილი“ არაერთი ოჯახიც შეიქმნა.

დღეს ტელეფონის აპარატები თითქმის ყველა სახლში მოწყენილად დუმს, სამაგიროდ, არ ცხრება კომპიუტერის ეკრანები. სიყვარულის ინტერნეტიზაციის ბუმი დასავლეთში ათიოდე წლის წინ დაიწყო. სწორედ მაშინ გამოქვეყნდა პოლონელი მწერლის იანუშ ვიშნევსკის საკულტო რომანი „მარტობა ქსელში“, რომელმაც ავტორს არახული პოპულარობა

სიკვდილი... „მარტობა ქსელში“ მთელი ევროპის ინტერნეტ-ფორუმების განხილვის თემა გახდა. წიგნმა მნიშვნელოვნად გაზიარდა ონლაინ-ურთიერთობების მიმართ ინტერესი და ამგვარი კონტაქტების რომანტიზებას შეუწყო ხელი. თანამედროვე ჩატება, გაცნობის საიტებმა და სოციალურმა ქსელებმა კი ვირტუალური ურთიერთობები კიდევ უფრო მასობრივი და მარტივი გახდა. სტატისტიკური მონაცემებით, 2010 წლის ბოლოსთვის მარტოხელა ადამინების 68% სიყვარულს სწორედ ინტერნეტით ეძებს.

გაცნობა, ფლირტი, სიყვარული, მიჩვევა, ვნება და სურვილი – კვლევების მიხედვით, ყოველ მესამე ინტერნეტ-მომხარებელს რომელიმე ეს გრძნობა

ერთხელ მაინც აქვს ვირტუალურ სივრცეში განცდილი.

„ერთ მშენებელ დღეს მოულოდნელად მითხრა, მივდივარო. გააზრებაც ვერ მოვასწარი, ისე გაქრა. მთელი 2 თვე არ გამოჩენილა და ამ პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ მასზე არ მეფიქრა, აუტანლად მენატრებოდა, ვისესწებდი ჩვენს ტექსტებს და მოგონებებით ვცხოვრობდი. არ ვიცოდი, სად მომექძნა, არც სახელი ვიცოდი და არც გვარი... და როცა საბოლოოდ ვიფიქრე, რომ დავკარგე, რომ ინტერნეტით გაიცანით?

კარგად გრძნობთ მასთან თავს?
ცდლობთ წარმოიდგინოთ
მისი ლიმილი? თქვენი გული
სხვა რიტმში იწყებს ცემას,
როდესაც მონიტორიზე ნაცნობს
სახელს ხედავთ? გილოცავთ:
ვირტუალურად შეყვარებული ხართ, – ასეთია ამერიკული ფსიქოლოგების დასკვნა.

გამოჩნდა... მოულოდნელად, მომწერა, როგორ ხარო და იმ ერთმა შეტყობინებამ ისევ წარმოუდგენლად შემცვალა: მომენტალურად, ზუსტად იმ წამს დამიღრუნდა ხალისა, – იხსენებს ნანა.

საქართველოს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია „ნდობას“ დორექტორი ნანა ალაპიშვილი ამბობს, რომ ინტერნეტმა ადამიანებს შორის ურთიერთობები, მათ შორის სასიყვარულოც ძალიან გაამარტივა: „ნდის-მიერს აქვს სურვილი, რომ ვიღაცას უყვარდეს, მოსწონდეს და თვითონაც უყვარდეს და მოსწონდეს. ცხოვრების რაღაც ეტაპზე ყველას გვაქვს სითბოს და სიყვარულის ნაკლებობა და შესაბამისად, მისი შევსების სურვილიც. ვირტუალურად კი დაქმაყოფილებას შედარებით იოლად ვდებულობთ. თუ–

მცა, ეს არ ნიშნავს, რომ ინტერნეტით შეყვარება შეუძლებელია. ვირტუალური ურთიერთობები ხომ თავისთავად სიყვარულის ძიებაა...“

დამოკიდებულება „ვირტუალური რომანტიკის“ მიმართ არაერთგვაროვანია. ისინი, ვისაც სასიამოვნო მოგონებები აქვთ, თვლიან, რომ ამაში „ცუდი“ არაფირია, ასახელებენ წარმატებულ მაგალითებს, როდესაც ინტერნეტით გაცნობილ წყვილს ნამდვილი სიყვარული უპოვა, ოჯახიც კი შეუქმნია და ამბობენ, რომ ისინი, ვინც ონლაინ-ფლირტს არასერიოზულ გართობად მიიჩნევენ, უბრალოდ დროს ჩამორჩნენ.

„რა მნიშვნელობა აქვს, სად გაიცნობ, ინტერნეტში გაცნობილი ადამიანები განსხვავდებიან სხვაგან გაცნობილებთან თუ რა? მოგებონება, ლაპარაკს „შეუყვან“, მერე შეხვდები და შეიძლება ინტერნეტში ნათქვამი „გამარჯვობა“ საწოლში ან თუნდაც მმაჩის ბიუროში გაგრძელდეს. მე ორჯერ მქონდა ინტერნეტში სერიოზული ფლირტი და ორივეჯერ რეალურ ცხოვრებაში გავაგრძელე ურთიერთობა“, – ამბობს 24 წლის ლევანი.

სასიამოვნო მოგონებები აქვს 27 წლის ირაკლისაც: „ჩატში მოულოდნელად მომწერა, ვმუშაობდი, არ მეცალა და ვეუხეშე კიდეც. არც იმან დამაცლო... მოკლედ, ერთმანეთი შევამჟეთ. მერე ისევ მომწერა, მითხრა, რომ ასე გაცნობაში ცუდი არაფირია. დავინტერესდი. თან ჩვენი გემოვნება ბევრ რამები ერთმანეთს დაექმთხვა. სისტემატურად ვლაპარაკობდით, განსაკუთრებით ღამე. ცხადია, ფოტოებიც გავცვალეთ, ვიდეოვალიც ჩაგროთ, 3 თვეში კი პირველი პაემანიც გვეონდა. მოკლედ ერთმანეთი შეგვიყვარდა და ეს ისტორია 2 წელი გაგრძელდა“, – იხსენებს ირაკლი.

ვირტუალურ სიყვარულს, ისევე როგორც რეალურს აქვს წარმატებული და წარმატებელი ფინალები. სტატისტიკა ასეთია: ონლაინ-რომანების 50% რეალურ ცხოვრებაში გრძელდება, 10% კი ქორწინებით სრულდება. როგორც სოციოლოგები ამბობენ, გაცილებით მყარია ვიდრე რეალურ ცხოვრებაში

გაცნობილი წყვილების მიერ შექმნილი ოჯახები.

ვირტუალურ სივრცეში ადამიანები უფრო თამამები და გახსნილები არიან. მათ უადვილდებათ იყვნენ ისეთი, როგორიც რეალურად სურთ, რომ იყონ. თუმცა, მთავარი ხაფანგიც აქ იმაღება – ვირტუალური ურთიერთობები უფრო ხშირად ხდება იმედგაცრუების საბაბი, ვიდრე „რეალურები“.

„ისე არ მომენონა ადამიანი, რომელიც ინტერნეტით გავიცანი, რომ შეხვედრაზე ძლივს გავძელი. თან ცოლიანი აღმოჩნდა და ცოტა გომიტც. მოკლედ, საკუთარ თავზე ლეგენდა ჰქონდა შეთხული, რომელიც დაიჯერება და მხოლოდ შეხვედრისას აღმიგაჩინე, რომ ცრუობს და სულ სხვანარია“, – ჰყვება 32 წლის ელენე.

„ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. ეს ხომ მხოლოდ ვირტუალურ ურთიერთობებს არ ახასიათებს: საერთოდ ადამიანებს გვიყვარს ხატების შექმნა, არა მარტო ინტერნეტში, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც. რეალურად გაცნობილ ადამიანზეც სრული სურათი შეიძლება რამდენიმე წლის მერე შეგვემნას“, – ამბობს ფსიქოლოგი ნანა ალაპიშვილი, „მაგრამ ამ იმედგაცრუებას ისევე უნდა შეეგუსოს ადამიანი, როგორც რეალურ ცხოვრებაში შეიძლება ეგუებოდეს“.

შესაძლოა, სწორედ იმედგაცრუების ეშინიათ 27 წლის ნანას და მის ვირტუალურ პარტნიორს. 3 წლის განმავლობაში შეხვედრაზე საუბარი სულ არის, მაგრამ დღემდე – უშედეგოდ.

„მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ხანია, შეხვედრა ვერ მოვახერხეთ, ვერცერთი ვერ ვწყვეტოთ ამ ურთიერთობას. დღემდე, მისი შეტყობინების დანახვაზე „სასიამოვნო თავზარი“ მეცემა. დღემდე, ვინახავ ჩვენი მიმოწერის ისტორიას. დღემდე, დილაობით ვამონმებ, არის თუ არა ონლაინ და მიუხედავ იმისა, რომ ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრ ბიჭს შევხვედრივარ, ინტერნეტითაც ბევრი მიფლირტავია, ასეთი განცდა მქონდა მხერი მხოლოდ იმ ადამიანთან რომელიც არასდროს მინახავს“, – ამბობს ნანა. **ც**

კურტურის გადაცემის სტუდიაში სამი სტუმარია (+ ერთი ნამყვანი): ინტელექტუალი მამაკაცი, ინტელიგენტი ქალბატონი და მარგინალი. ნამყვანი (ანუ გადაცემისთვის აქცენტის მიმცემი) კმაყოფილი იღიმის, თუმცა ეტყობა, რომ განრისხებულია.



ლაშა ბუღაძე, მწერალი

გადაცემის სტუდიაში სამი სტუმარია (+ ერთი ნამყვანი): ინტელექტუალი მამაკაცი, ინტელიგენტი ქალბატონი და მარგინალი. ნამყვანი (ანუ გადაცემისთვის აქცენტის მიმცემი) კმაყოფილი იღიმის, თუმცა ეტყობა, რომ განრისხებულია.

გადაცემის თემა: „როდის უნდა ჩანვდეს ხალხი თავის იდიოტიზმს?“

ნამყვანი: მოდით, თავდაპირველად გავერკვეთ, არის თუ არა ეს თემა თვისობრივად გომური (ამასწინათ მეტად საინტერესო საუბარი შედგა საკულტო გადაცემა „სამოთხის ნიმუშებში“)?

ინტელიგენტი ქალბატონი: დიახ, სწორედ მე გახლით იმ გადაცემაში სტუმრად. გააჩნია ანტურაჟს, ჩემო კარგო, გარემოს, სივრცეს; სხვა-გან სავსებით შესაძლებელია, ეს თემა გომობად ჩაითვალოს, მაგრამ თქვენთან – ვერავითარ შემთხვევაში. თქვენს სივრცეზე ანტივირუსი მოქმედდებს.

ნამყვანი (გაუხარვდება): ოპ... ნუ ეს... ხო... (იცინის, სერიოზულდება) მაშინ, თქვენის ნებართვით, უშუალოდ მთავარ თემაზე გადავალ... (ინტელექტუალს) მაშ, ასე: შეიძლება თუ არა ქართული იდიოტიზმის დაყოფა კატეგორიებად?

ინტელექტუალი: საკითხი ასე უნდა დადგეს – არის თუ არა ყველა იდიოტი? ცხადია, არა.

ინტელეგენტი ქალბატონი: ისევე, როგორც ყველა ვერ ჩაითვლება გომად...

ნამყვანი (იცინის, სერიოზულდება): ოპ... ხო... ბუნებრივია...

ინტელექტუალი: მთავარია, გავარკვიოთ, არსებობს თუ არა კონსენსუსი ამ საკითხთან დაკავშირებით – ერთგვარი ნაციონალური მრნამსი – მართლაც იდიოტები ვართ, თავს მოვაჩვენებთ იდიოტებად თუ სხვები გვიყურებენ, როგორც იდიოტებს.

ნამყვანი: ჩვენს ხელისუფლებაში – ეს ერთმნიშვნელოვნად შემიძლია დაგიდასტუროთ – ბევრად უფრო ნაკლები იდიოტია, ვიდრე იგივე სამოქალაქო სექტორში... ამას უდიდესი გულისტყავილით ვამზობ...

ინტელიგენტი ქალბატონი: ელიტურობაც მეტია ხელისუფლებაში. მე ვიტყოდი, რაღაცნაირი ვრაუძონნი ელიტარიზმი... ბოდიშს გიხდით ამ მონლოლოიდური ჩანართისთვის...

ინტელექტუალი: ეს არცაა დასამალი – ქვედა ფენები ბევრად უფრო რთულად ითვისებენ იდიოტიზმის ისეთ მოდელს, რომელსაც ზედა ფენები სთავაზობენ. აქ სრულიად აუხსნელ სიჯიუტესთან გვაქვს საქმე. ჩემი აზრით, რაც უფრო მაღლ დააკმაყოფილებ ზედა ფენის მიერ შემოთავაზებულ მოდელს, მით უფრო იოლად მოიპოვებ სიმშვიდეს.

ნამყვანი: განვმარტოთ, რა მოდელებია ეს?

ინტელექტუალი: მაგალითად, არსებობენ მოლალატე-იდიოტები, ვითომ იბიექტური-იდიოტები, მორნმუნე-იდიოტები, ფარისეველი-იდიოტები, ინტელექტუალი-იდიოტები, ოპოზიციური იდიოტები და აკადემიუ-



რი წრეების იდიოტები. ამ ორმაგ კლიმებთან ერთად ბევრად უფრო ადვილია ცხოვრება... თავი რომ დავანებოთ ყველაფერს, სჯობს ისევ ზემოდან დაგერქვას სახელი და თანაც, ნებისმიერ შემთხვევაში, უკეთე-სია „რაღაცნაირი“ იდიოტი იყო, ვიდრე უბრალოდ იდიოტი. ეს, როგორც ჩანს, ჩვენზე უკეთ ესმის ხელისუფლებას.

ინტელიგენტი ქალბატონი: ყველაზე საშინელი ჰიბრიდი გომ-იდიოტია... თუმცა ჩვენ ქვეყანაში ამ მოდელითაც შეიძლება წარმატების მიღწევა. აქ ყველასთვის მოიძებნება ადგილი.



ში აღშფოთებას! როგორ გაბედეთ მართლაც სრულიად გოიმურ, ე. ნ. სოლიდარობის აქციაზე მისვლა? ფარისევლებო... როგორ დადექით მკვლელი, აგენტი და მოღალატე კოლია ზუგუაშვილის გვერდით? როგორ არ შეგვარცხა? როგორ იკადრეთ? როგორ დააყენეთ სამშობლოზე მაღლა ზოია გარდაფხაძე და მსგავსი ექსტრემისტი ოპოზიციონერები? პროდიუსერს ვთხოვ, გაუშვას ტანკებიანი კადრები... ტანკები, სისხლი, ფარული ჩანაწერები...

მარგინალი: მე არ...

ნამყვანი (უნდა, რომ მარგინალს საჭალდე ჩაჰკრას თავში, თავს იკავებს): ხმა, ბიჭოო! ვაიმე, ცუდად ვარ... თქვენ რომ მოქალაქეობრივი შეგნება გქონდეთ, მდუმარედ და ტაქტიანად, მაქსიმუმ ფეისბუქში გამოხატავდით თქვენს კრიტიკულ აზრს, თქვენ კი რა ცირკი მოაწყეთ? როგორ მოიქეცით? რა, ცოტა რამე ხდება საქართველოში, რისი კრიტიკაც სავსებით დასაშვებია? მაგალითად, გაეგლანდლათ რენი ჰარლინის გელფრენდის ზურგზე უგემოვნოდ ამოხატული ჭიაყელა! მოგეწონათ ეს სიმახინჯე? შეგიშალათ ვინმერ ამაში ხელი? ან ენდი გარსიას ორბორტიანი პიჯაკი...

ინტელიგენტი ქალბატონი: უგოიმურესი, ჩემის ღრმა რწმენით.

ინტელექტუალი (რომელიც აქამდე მესიჯებს აგზავნიდა ტელეფონიდან): ხო... რა იყო მართლა ეს...

ნამყვანი (მარგინალს): რა, ცოტაა ამ ქვეყანაში გასაკრიტიკებელი? მაგრამ თქვენ ხომ დაუნახავები ხართ! ვერ ხვდებით, რა არის მნიშვნელოვანი და რა არა! ვერ ხვდებით, სად რა თქვათ და როგორ! არაადამიანებო... თავხედებო... დამპლებო! (ფეხსაცმელს იხდის და თავში ურტყამს მარგინალს)

ინტელიგენტი ქალბატონი (წამყვანს): ეს ადრე უნდა გექნათ... დამაწყდა ნერვები...

ნამყვანი (მარგინალს ჩეჩევავს): ჩემი ხება რომ იყოს, წყალსაც მივასხამდი.

ინტელექტუალი: გაზი... გაზია საჭირო... ც

ნამყვანი: მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებაში იდიოტები სხედან... უკაცრავად, რომ ვმეორდები...

მარგინალი (უცაბედად ერთვება საუბარში): აი, მე კი ასე არ ვფიქრობი...

ნამყვანი (გაცხარდება მარგინალზე; არ ელოდა მის კომენტარს): რას არ ფიქრობთ ასე? (იცინის, მერე ბრაზობს, ხელით ინიავებს) ვაიმე, ცუდად ვარ... მე პროდიუსერს ვთხოვ სასწრაფოდ მოიძიოს ჩანაწერები... როგორ ბედავთ...

მარგინალი: არა, მე...

ნამყვანი (აყვირდება): რა „არა მე“,

რა! მთვარიდან ჩამოვარდით? როცა რამეს ამბობთ, ცოტა უფრო ღრმად უნდა გაერკვეთ თემაში... დეგენერატი! როგორ ბედავთ ჩემს გადაცემაში ამ მდგომარეობაში გამოცხადებას! პროდიუსერს ვთხოვ, სასწრაფოდ გაუშვას კრემლის კადრები... დაანახეთ ხალხს კრემლი! კრემლი, კრემლი... ვაიმე, ცუდად ვარ... (იცინის, ახველებს, ბრაზობს) უკვე აღარ ვიცი, ვიცინო თუ ვიტირო...

მარგინალი: მე აღშფოთებუ...

ინტელიგენტი ქალბატონი: გომს მხოლოდ სამარე გამოასწორებს.

ნამყვანი (მარგინალს): როგორ ბედავთ ამ ეტაპზე და ამ კონტექსტ-

ტექნოლოგიები

არატრადიციული ღომებითი



ICANN-მა ინტერნეტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ამიერიდან საკუთარი დომენები კომპანიებს, ქალაქებსა და რეგიონებსაც ექნებათ. რაც იმას ნიშნავს, რომ ტრადიციული .com-ის, .org-ის, info-ს და ა.შ. მსგავსად, ზედა დონის დომენებში შესაძლოა .apple, .bmw გაჩნდეს.

„ეს გადაწყვეტილება ინტერნეტის ახალი ეპოქის დაწყებას ნიშნავს“, – განაცხადა ICANN-ის საბჭოს თავმჯდომარემ პიტერ დენგერი ტრაშმა. მისივე თქმით, კორპორაციამ სრულიად განსხვავებული სისტემაც შექმნა, რომელიც სავაჭრო ნიშნის დარღვევის შემთხვევებსაც გამოავლენს.

განაცხადების მიღება ახალ დომენებზე მომდევნო წლის 12 იანვრიდან დაიწყება და 12 აპრილამდე გაგრძელდება. დომენური ზონის მიღება 185 ათასი დოლარი ეღირება, მისი მომსახურებისთვის კი მფლობელს წელიწადში 25 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. ახალი დომენების დარეგისტრირება მხოლოდ სახელმწიფოებსა და კერძო ორგანიზაციებს შეეძლებათ. კორპორაციაში ვარაუდობენ, რომ 2012 წელს ვებ-სივრცეში ასობით ახალი დომენი გაჩნდება. გადაწყვეტილების მხარდასაჭრად ICANN წლის ბოლომდე მასშტაბური PR კამპანიის ჩატარებას გეგმავს.

გარეუსონის 360გები iPhone-ზე

იტალიის პრემიერ-მინისტრის, სილვიო ბერლუსკონის ქალებისადმი

ლტოლვამ iPhone-სა და iPad-ში გადაინაცვლა. ახალი თამაში Angry Bunga, რომელშიც მინიშნება პოლოტიკოსის სასიყვარულო გატაცებებზეა გაკეთებული, კომპანია AppyMob-მა შექმნა და 79 ევროცენტი ღირს.

Angry Bunga ცნობილი Angry Birds-ის მოტივებზეა შექმნილი, მისი მთავარი გმირი კი თავად პრემიერ-მინისტრია. ბერლუსკონის მტრებს მოსამართლები ნარმადგენენ, რომლებიც მთავარმა გმირმა ხილითა და ბოსტნეულით უნდა გაანეიტრალოს. Angry Bunga-ში ფიგურირებს გალიაში დამწყვდეული გოგონაც, რომელიც ბერლუსკონიმ ფულით

წყობილობას სხვა ნოუთბუქებთან შედარებით მკვეთრად გაუმჯობესებული მახსიათებლები აქვს. იგი აღჭურვილია პროცესორი Intel Core i7-2630QM-ით, გრაფიკული დამაჩქარებელი Nvidia GeForce GTX 560M-ით, 3 გიგაბაიტიანი ვიდეომებესიერებითა და 12 გიგაბაიტიანი იპერატიული მეხსიერებით.

ნიუთბუქს Bluray-სა და USB 3.0-ის მხარდაჭერაც აქვს. მისი დისპლეის დიაგონალი 17 დიუმია. მოწყობილობას 2 მოდელი აქვს: 1745 დოლარიანი G74SX-A1 და უფრო ძვირადღირებული G74SX-3DE, რომელიც 3D დისპლეითაა აღჭურვილი და 1900 დოლარი ღირს.



უნდა გაათავისუფლოს. თუ გმირი ხილს ან ბოსტნეულს მოსამართლეს მოარტყამს, იგი გაქრება. ხოლო თუ პრემიერი გალიაში შეაღწევს, გოგონა ტანსაცმელს იხდის და მას ჰაეროვან კოცნას უგზავნის. საკმარისი თანხის გადახდის შემთხვევაში კი გოგონა თავისუფლდება.

ნოუთბუქი გაიმარიშეთვის

ტაივანურმა კომპანია Asus-მა სპეციალურად გეიმერებისთვის ახალი ნიუთბუქი Asus G74 წარადგინა. მო-

დევ ერთი 10 დიუმიანი მოწყობილობა შეემატება, რომელსაც Microsoft Windows-ის მხარდაჭერა ექნება. რიდის თქმით, ერთ-ერთ Android-პლანშეტს IdeaPad დაერქმევა და სამომხმარებლო სეგმენტისთვის იქნება განკუთვნილი, მეორე ThinkPad კი – ბიზნეს კლასისთვის.

ამჟამად კომპანიას პლანშეტის მხოლოდ ერთი მოდელი – LePad აქვს და იგი მხოლოდ ჩინეთში იყიდება. ეწარება კომპანიამ მარტის ბოლოს წარადგინა.



გაჯეტი *Android* 2.2-ის პლატფორმაზე მუშაობს, მისი ერთ-ერთი მოდელი, რომელსაც *Wi-Fi*-ს მხარდაჭერა აქვს, 530 დოლარი ლირს, ხოლო პლანშეტი 3G-თა და *Wi-Fi*-თ კი – 700 დოლარი. *Lenovo*-ში თვლიან, რომ პლანშეტები თანდათან ნოუტბუქებს ჩაანაცვლებენ, მომდევნო 3 წლის განმავლობაში კი პერსონალური კომპიუტერების ბაზრის 15%-ს დაიკავებენ.

ახალი „გუგლოფონი“ გამოდგომაზე



ნოემბრის ბოლოს შესაძლოა ახალი თაობის *Google Nexus* გამოჩნდეს. აპირებს თუ არა ინტერნეტ-გიგანტი *საკუთარი* ბრენდის ქვემ კიდევ ერთი ტელეფონის გამოშვებას, ოფიციალურად არ დასტურდება, თუმცა ტექნობლოგები სანდო წყაროებზე დაყრდნობით წერენ, რომ გაჯეტი მძლავრი ტექნოლოგიური მახასათებლების წყალობით „აპსოლუტური მონსტრი“ იქნება. სავარაუდო, მოწყობილობას *Qualcomm Snapdragon* ან *Texas Instruments OMAP 4460* პროცესორი ექნება და ოპერაციულ სისტემა *Android 4.0 Ice Cream Sandwich*-ზე იმუშავებს. „გუგლოფონი“ 1 გიგაბაიტიანი ოპერატული მეხსიერებით და 5 მეგაპიქსელიანი კამერით აღიჭურვება. არაოფიციალურად, სმარტფონის მნარმალებად 2 კანდიდატი *LG* და *HTC* სახელდება.

iPhone 5 მზადაა

ახალი თაობის *iPhone*-ზე მუშაობა დასრულდა და ძალიან მაღლ აპარატი სერიულ წარმოებაში გაეშვება. არაოფიციალური წყაროების ცნობით, მო-



ნუობილობა ბაზარზე სექტემბერში გამოჩნდება. ტელეფონს წინამორბედთან შედარებით უფრო მძლავრი მიკრო-პროცესორი A5 და 8 მეგაპიქსელიანი კამერა ექნება. *iPhone 5* ოპერაციულ სისტემა *iOS5*-ზე იმუშავებს.

ამ დრომდე *Apple iPhone*-ის განახლებულ ერსიებს ივნის-ივლისში წარადგნდა, თუმცა ექსპერტები ამბობენ, რომ *iPhone 4*-ს საკუთარი პოტენციალი ჯერ არ ამოუწურავს, ამიტომ კომპანიამ ახალ მოდელთან დაკავშირებით არ იჩქარა.

Apple-ისთვის შემოსავლის ნახევარი სწორედ *iPhone*-ს მოაქვს. IDC-ს ცნობით, მიმდინარე წელს სმარტფონების გაყიდვების 18,2% სწორედ *Apple*-ის ეკუთვნოდა.

Samsung NC215S-პირველი ცენტრი მზად ელემენტების

Samsung Electronics-მა მზის ელემენტებზე მომუშავე პირველი ნეტბუქი წარადგინა მსოფლიოში. მსუბუქი და მაღალმნარმობლური მოწყობილობა ეკონომიკურია და მაქსიმალურად აკმაყოფილებს თანამედროვე ეკოლოგიურ მოთხოვნებს. მზეზე 2 საათიანი დამუხტვა ნეტბუქს 1 საათიანი მუშაობისთვის სპეციალური პლაგინები უნდა დააინსტალირონ.



Interweb.in

ბისთვის ჰყოფნის, მოწყობილობას *Intel Atom*-ის პროცესორი აქვს და 1,3 კილოს ინტენსივური.

„Samsung“ ისწრაფვის ინოვაციური მოწყობილობების წარმოებისკენ, რომლებიც ზიანს არ უქმნიან გარემოს. ჩვენ ვამაყობთ უკანასკნელი ქმნილებით-პირველი 10 დიუმიანი „მწვანე“ ნეტბუქით. *NC215S* მობილურობასა და ეკონომიკურობას აერთინებს“, – აცხადებს კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი კიუპო უმი.

30ლევაზარი უკვე Chrome-ზე



Google-მა ბრაუზერ *Chrome*-ში აუდიო და ვიდეოჩატის ტექნოლოგიის *WebRTC*-ის ინტეგრირება დაიწყო. ინტერნეტ-გიგანტის სტრატეგია, პირველ რიგში, *Gmail*-ს საკომუნიკაციო ფუნქციების გაუმჯობესებას ემსახურება. ამჟამად მიბილურ ან ფიქსირებულ ტელეფონზე დასარეკად ელექტრონული ფოსტის მომხმარებლებმა ხმოვანი და ვიდეოჩატის შეუფერხებელი მუშაობისთვის სპეციალური პლაგინები უნდა დააინსტალირონ.

ექსპერტების განცხადებით, ინტერნეტ-გიგანტის გადაწყვეტილებაზე განსაკუთრებული გავლენა *Microsoft*-ის მიერ *Skype*-ის შეძენამ მოახდინა. სოფტვერული გიგანტისა და პოპულარული სერვისის გარიგებაზე ამერიკის მარეგულირებელმა ორგანოებმა თანხმობა უკვე განაცხადეს. ☐

მოამზადა ნინო ნატროშვილმა.

მსხვილი ნითები ხაზი



ტერენს მალიკის „სიცოცხლის ხეს“, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენს კინოგაქირავებაში უღიმდამო ინტერესი ერგო.

დავით ბუხრიკიძე

მაინც უცნაური გრძნობაა, როდესაც, ვთქვათ, „ამირანში“, რიგით კინოსეანსზე შედიხარ და „პოპკორნ-ნითა“ და „კოლათი“ გარშემორტყმული, არტ-ჰაუზად შერაცხულ ფილმს უყურებ. თანაც იცი, რომ ეს ფილმი სულ რაღაც ერთი თვის წინ, კანის კინოფესტივალის გამარჯვებულია. თითქოს არაფერი – ზიხარ და ელოდები „ადამიანისა და ბუნების“ შეერთება-გადარჩენის მეტაფორას (სადღაც ესეც ამოვიკითხე). საკუთარ შეერძნებებში გამოკეტილს, სიჩუმით დამუხტულ დაძაბულობაში, ნებისმიერი ბგერა თუ ხმაური გაღიზიანებს და ცდილობ, ყოვლად არაკინებატოგრაფიული ატმოსფერო, დამწვარი სიმინდის სუნი თუ მოსულელო კომენტარები ყურადღების მიღმა დატოვო.

კარგად ნაცნობი ფრაზა – „აუ, რა სირობაა!“ – აღარ მაკვირვებს. თუ დიდი თეატრალური რეჟისორის შესახებ (რომელსაც მსოფლიოს მრავალ ცნობილ სცენაზე მარტო შექსპირის 24 პიესა დაუდგამს!) შეიძლება ეს სიტყვები ღიად და საჯაროდ ითქვას, რატომ არ შეიძლება იგივე გაიმეორონ ექშენმოწყურებულმა ახალგაზრდებმა დახვეწილი, თუმცა მტანჯველი რეფლექსით შეპყრობილი, ამერიკული კინოს ყველაზე გამოუცნობი და მისტიკური რეჟისორის მიმართ... ტერენს მალიკის შესახებ მოგახსენებთ, დაახლოებით ყოველ ათწლეულში ერთ ფილმს რომ იღებს; სულ კი ხუთი აქვს გადაღებული...

ტერენს მალიკის „სიცოცხლის ხე“, რომელიც კანის 64-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზით, ოქროს „პალმის რტოთი“ დაჯილდოვდა, საკონკურსო პროგრამაში ჯერ

კიდევ გასულ წელს უნდა ეჩვენებინათ. რეჟისორმა გადაღება ვერ და-ასრულა და ამერიკელი რეჟისორის მაგივრად დაფნის გვირგვინებიც და სკანდალიც ლარს ფონ ტრიერს ერგო ფილმისათვის „ანტიქრისტე“. მედიის მიერ ამ ორი რეჟისორის ხელოვნური მისტიფიცირება სხვა საუბრის თემაა, ამჯერად კი მხოლოდ ტერენს მალიკის ფილმებს შეგახსენებთ.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ფილმ-სიფიის ფაკულტეტის ფრიადოსანი ტერენს მალიკი, დისერტაციის დაცვას და სწავლის გაგრძლებას ოქსფორდში აპირებდა. თემაც შერჩეული ჰქონდა: „სამყაროს კონცეფცია კირკეგორის, ჰაიდეგერისა და ვიტგენშ-

■ მალიკი არ ღალატობს თხრობის განსაკუთრებულ და პოეტურ სტილს, თუმცა მის ფილმში ახალი ვნება – თვითმყოფადი და ველური ბუნების ულამაზესი სურათები და სოციალური პრობლემების ანტინომია ჩნდება.

ტაინის მიხედვით, თუმცა როგორც ხშირად მომხდარა, მეათე მუზამ – კანებატოგრაფმა – ისიც აცდუნა. თუმცა ცხადია, სამყაროს ფილმისოფიური ჭვრეტა, ადამიანისა და ბუნების მარადიული ჰარმონისა თუ დისპარმონის თემა მის ფილმებშიც აისახა. 70-იანი წლების დასაწყისში გადა-

დებული პირველივე სრულმეტრაჟიანი ფილმის „უდაბნოს მიწების“ შემდეგ, ტერენს მალიკი კრიტიკოსებმა ამერიკული დამოუკიდებელი კინოს იმედად შერაცხეს, ხოლო „მკის დღეებმა“ (1978 წელი, პრიზი საუკეთესო რეჟისორისათვის კანის კანიფესტივალზე) მას საკულტო რეჟისორის იმიჯი უმტკივნეულოდ დაუმკვიდრა.

ჯეიმს ჯონსის მოთხოვბის მიხედვით, ომის თემაზე გადაღებული მომდევნო ფილმი „ნერილი წითელი ხაზი“, 1998 წელს გამოვიდა ეკრანებზე და მოვლენად იქცა კინოს სამყაროში. „ოქროს დათვი“ ბერლინის კინოფესტივალზე და „ოსკარის“ შვიდი ნომინაცია (ამავე დროს, მოულოდნელი მარცხიც მთავარ ნომინაციებში) რეჟისორისათვის თითქოს მუდმივი „ველური ბარათი“ აღმოჩნდა, რის წყალობითაც ის დღემდე ახერხებს ნებისმიერ კინოფესტივალზე მოხვედრას. მომდევნო „გაჩერება“ ისევ ბერლინიდა (2005), სადაც ტერენს მალიკმა საკუთარი რეჟისორული ფანტაზიის ნაყოფი „ახალი სამყარო“ პუბლიკასა და კრიტიკოსებს ნარუდგინა.

მალიკი არ ღალატობს თხრობის განსაკუთრებულ და პოეტურ სტილს, თუმცა მის ფილმში ახალი ვნება – თვითმყოფადი და ველური ბუნების ულამაზესი სურათები და სოციალური პრობლემების ანტინომია ჩნდება. ფილმი იმ დროს აღნერს, როდესაც ახლად აღმოჩენილი ამერიკის აბორიგენები ერთმანეთთან და ბუნებასთან ჰარმონიულ ურთიერთობას არღვევენ და ამისათვის ისჯებიან კიდეც.

„სიცოცხლის ხეში“ ტერენს მალიკი კაცობრიობის ისტორიასა და სამყაროს მასშტაბს 50-იანი წლების ტეხას-



კადრი ფილმიდან „სიცოცხლის ხე“

ში მცხოვრები ჩვეულებრივი ოჯახის კუნძლიქტებში ჩაატევს. სიყვარული, სიძულვილი თუ სხვადასხვა კომპლექსები დაპირისპირების ერთიანობას ჰგავს, დუალიზმს, ან გორდიას კვანძს, რომელსაც ვერაფრით გახსნი. მაგალითად, მდელოზე ბავშვები თამაშობენ, რომელთაც უზარმაზარი ხის ტოტები დაჰყურებს. და ყველაფერი, რაც მერე ბავშვებს თავს გადახდებათ, თითქოს ხის ფოთლებზეა დაწერილი. გზა, რომელსაც კაცობრიობა შეცდომებით და ცოდვებით მიუყვება, უმცროსმა ძმამ, ჯერმა უნდა გამოისყიდოს (უკვე „გაზრდილი“ ჯეკის საკმაოდ უმნიშვნელო როლს შონ პენი თამაშობს).

მამის – მისტერ ა' ბრაიანის როლს უკვე „დაკაცებული და მომწიფებული“ (ამერიკელი კრიტიკოსის, ჯონ ჰიპერმანის სიტყვებია) ბრედ პიტი თამაშობს. ზუსტად, ცხადად და მკაცრად;

როგორც 50-იანი წლების კლასიკურ ამერიკულ დრამებში, დედას – მგრძნობიარე, ფაქიზ, მაგრამ თავგანწირულ არსებას – ჯესიკა ჩესტენი განასახიერებს. სადღაც ფილმის შუაში გამოკრთება ფიონა შოუს სანაქებო დრამატიზმი, რომელიც ბების როლს ასრულებს. მოკლედ, მსახიობებს მართლაც არაფერი დაეწუნებათ.

ვერც პირველხარისხოვანი ოპერატორის, ემანუელ ლუბეცკის კოსმიური კატასტროფების ამსახველი სამყაროს (მოქმედი ვულკანების, პლანეტებისა და უჯრედების დონეზე) კადრების მშვენიერებაში შეიტანი ეჭვს. ცოტა სასაცილოა, მაგრამ ბახის, მოკარტის, შუბერტის, ბრამისია და კიდევ სხვა ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებების ფონზე (მათ შორისაა, გია ყანჩელის „დილას ლოცვანიც“) ფრანგი კინოკომპოზიტორი ლექსანდრ დესპლა არ ტოვებს ურიგო შთა-

ბეჭდილებას. სცენარი გამართულია და მონტაჟიც სრულყოფილი. დრო და დრო, კლასიკოს ტომას ვულფის რომანის „მოხედე შენს სახლს, ანგელოზო“, ტექსტი გახსენდებათ, ხანაც სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, პოეტური და ფხიზელი უსასობა... თუმცა ამ ბიბლიურ-კლასიკური ციტატებით გაჯერებული სილამაზის მიღმა კიჩის ზღვრამდე მისული მაღალფარდოვნება იკითხება.

რეჟისორი 12 წლის ჯეკს თითქოს იპბის იპოსტატაში განიხილავს. და ვიდრე ქალური და მამაკაცური საწყისები, სტიქიური ბუნება და გონება ერთმანეთთან კომპრომისს გამოძებნიან, ხედებით, რომ ზნეობრივ-ფილოსოფიური პრეტენზიების მიღმა მაინც მიუღწეველ მიზნად რჩება უბრალოება და პოეზია. როგორც მაგალითად, ვიტორიო დე სიკას „ველოსიპედების გამტაცებლების“ გენიალურ ფინალში. **■**

ისე პარაბზე და ისე უმფიც იპოეთობზე



კახა თოლორდავა

მე მთელი სერიოზულობით ვამბობ ხოლმე, რომ ყოფილი იპოდრომის ტერიტორია ერთგვარი კარიბჭეა, საიდანაც ქალაქს დადგებითი ენერგია მიეწოდება. რა თქმა უნდა, გამიძელდება იმის ახსნა, თუ რატომ, მაგრამ ჩემი ყოველი იქ მოხვედრა (და ეს საქმიად ხშირად ხდება) მარწმუნებს იმაში, რომ ერთა-დერთი არ ვარ, ვინც ასე ფიქრობს. საკმარისია თუნდაც სულ ცოტა ხანი გაატარო იქ, მარტომ ან ვინმესთან ერთად, რომ და-რწმუნდე, ქაურობის ენერგეტიკული მუხტი განსაკუთრებული სიმძლავრით მოქმედებს ადამიანებზე, იქ უფრო თავისუფლად სუნთქავ, ის არასდროს გიშვებს ცუდ ხასიათზე და ყოველთვის გიტოვებს უკან დაბრუნების სურვილს. ყოველთვის!

დიდი ქალაქების შეუგულში არსებული გაძლილი სივრცეების პარკებისთვის გამოყენების ტრადიციას გრძელი ისტორია აქვს და ყველა ჩენგანს, ვისაც მოგზაურობის საშუალება მისცემია, ჩვენივე თავზე გამოვიცდია ღაზზათიანად დაგეგმარებული და გამნენებული ქალაქური პარკების ხიბლი. თოთქმის ყველა ცნობილ პარკს, იქნება ეს ცენტრალური პარკი ნიუ-იორკში, ჰაიდ პარკი ლონდონში, ლინკოლნ პარკი ჩიკაგოში, თუ სტენლი პარკი ვანკუვერში, ერთი მნიშვნელოვანი რამ აერთიანებთ, - რამდენადაც ეს შესაძლებელია - ნაკლები ბეტონი, სწორედ განაწილებული გაძლილი და დაბურული მონაკვეთები და ათასობით კვადრატული მეტრი ხასხას მ რ ლ ი, რომელზეც ადამიანებს უფლება ეძლევათ, წამოწენენ, ირბინონ, ითამაშონ, იკითხონ, ეძინოთ და ერთმანეთი უყვარდეთ. ასეთი პარკები წელიწადში მილიონობით ადამიანს, ადგილობრივებს თუ ჩამოსულებს, დაწმენდილი ენერგეტიკული მუხტით კურნავენ და ეს ყველაფერი ჩემი მოგონილი ნამდვილად არაა. ეს კარგად იცოდნენ და იციან მათ, ვინც ასეთი პარკების შექმნაზე მუშაობდნენ და მუშაობენ.

ვიცი, რომ სულ მაღლე თბილისის შეუგულში შეიძლება, ბოლოს და ბოლოს გაჩნდეს კიდევ ასეთი პარკი, უფრო სწორად, აუცილებლად გაჩნდება, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევს სულ უფრო და უფრო ხშირი, თუმცა აქამდის ბინდით მოცული საუბრები იმის თაობაზე, თუ ვინ, რამდენხად, და რაც მთავრია, რა მიზნით, შეისყიდა (თუ ჯერ კიდევ ვერ შეისყიდა) ყოფილი იპოდრომის ტერიტორია. ვერ წარმომიდენია, რომ ეს დიდებული სივრცე, მნიშვნელოვანი რეკრეაციული პოტენციალით, შეიძლება უსახო (ან თუნდაც სახიან) ურბანულ სივრცედ იქცეს, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს და სიმართლე რომ გითხრათ, ვერც კი ვხვდები, თუ როგორ შეგვიძლია ამას ხელი შევუშალოთ. უბრალოდ, არ ვიცი.

მეორე მხრივ, ჩემი ასეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება ყოფილი იპოდრომის ტერიტორიის, უფრო სწორად, მისი



აზოვი პარკის მოხატვისათვის

პოტენციალის მიმართ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მიკერძოებულად უგულებელყოფ თბილისში პარკების მშენებლობას-თან დაკავშირებულ ყველა სხვა დანარჩენ ძალისმევას. პირი-ქით, მთელი გულით მივესალმები, მაგრამ მაინც დავამატებ, რომ თბილის ჯერ კიდევ არა აქვს ისეთი პარკი, რომელიც რეკრეაციული აქტივობების ს რ უ ლ, არაკომერციულ სპექტრს შესთავაზებდა თბილისელებს და რომელიც გარკვეული თვალ-საზრისით, განსაზღვრავდა აქაურების ცხოვრების რიტმს. სწორედ ესაა ყველა მნიშვნელოვანი ქალაქური პარკის ძირითადი დანიშნულება და ყველა წარმატებულ შემთხვევაში, სწორად შერჩეული სივრცე გადამწვეტია.

ყოფილი იპოდრომის ტერიტორიას ნამდვილად შეუძლია ამ ფუნქციის ტვირთვა, ნანილობრივ მაინც. და ვერაფრით ვხვდები, თუ რატომ არ შეიძლება ამაზე სერიოზულად დაფიქრება. ის აუცილებლად ქალაქის, და არა ვინმე კონკრეტული პირის თუ დაჯგუფების, საკუთრება უნდა იყოს და დამერწმუნეთ, არცერთი თბილისელი, არცერთი ქართველი, არც კი იფიქრებს გააპროტესტოს ქალაქისვე ინიციატივა, ამ ადგილზე ნამდვილი სახალხო პარკის მშენებლობის შესახებ, რამდენადაც ძირი არ უნდა დაჯდეს ეს ყველაფერი.

ვიცი, რომ ვმეორდები, რადგანაც ამ ერთი წლის წინათ უკვე შევეხე ამ თემას ტექსტში სახელწოდებით “მომე პარკი!” მაგრამ არის ისეთი რამეები, რის შესახებაც ხშირად უნდა შეახსენო გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. არ ვიცი რატომ, მაგრამ ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თვით მათაც უჭირთ გადაწყვეტილების მიღება. ეს ტექსტი სწორ გადაწყვეტილებაზეა. **■**



თალავი, ყვარელი, ლაგოდები
გორი, ქარელი, ხაშური
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, გათახი
ვოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5
FM 103.0
FM 104.5
FM 101.0
FM 101.9



WWW.LIBERALI.GE
